

თბილისის იგანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტი

გიორგი იგანიაშვილი

გლობალიზაცია და ერი-სახელმწიფოს მომავალი:  
ერი-სახელმწიფოს პონდჟრენტუნარიანობის სტრატეგია  
გლობალიზაციის მარჩაში

ფილოსოფიის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაკრძალად ჭარბოდენილი

დ ი ს ე რ ჭ ა ც ი ა

სპეციალობა: საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი ზურაბ დავითაშვილი



თბილისი-2008

## წინასიტყვაობა

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა მიმდინარეობდა როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში ჩემი სამეცნიერო და პროფესიული მივლინებების დროს დიდი პრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ავსტრიისა და გერმანიის უნივერსიტეტებსა და ანალიტიკურ ცენტრებში, სადაც ინტენსიურად ვიყენებდი იქ არსებულ მდიდარ ბიბლიოგრაფიულ რესურსებსა და გამოჩენილ მეცნიერთა მსარდაჭერასა და რეკომენდაციებს. ამ მხრივ განსაკუთრებულ მადლობას ვუძღვი თქსფორდის უნივერსიტეტში მსოფლიო ბანკის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს, პროფესორ იან გოლდინს, კემბრიჯის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრის დირექტორს, ქრისტოფერ ჰილს, ზალცბურგში ლატვიის ყოფილი პრეზიდენტს, პროფესორ ვაირა ვაიკე ფრაიბერგას, ისრაელის ეროვნული საინოვაციო საბჭოს დირექტორს, პროფესორ მანუელ ტრახტენბერგს, ლონდონის საერთაშორისო ურთიერთობების სამეფო ინსტიტუტის ყოფილ პრეზიდენტს, ოლინ რობისონს, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორებს, სტრატეგიული მართვის თეორეტიკოსებსა და ექსპერტებს მაიკლ პორტერს, მარკ მალეცს, ლონდონის უნივერსიტეტში ჩემი კვლევის ხელმძღვანელს, დოქტორ ქრის რამფორდს, კემბრიჯის ენერგეტიკული ასოციაციის ექსპერტებს ლორენს რუზეცასსა და დენიელ ბერკოვს, ჰულის უნივერსიტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრის ყოფილ დირექტორს, ლორდ ფილიპ ნორტონს, აგრეთვე ნობელის პრემიის ლაურეატს ვერნონ სმიტს.

## შინაარსი

<b>შესავალი</b>	<b>6</b>
<b>თავი 1.</b> გლობალიზაციის პრიტიკული ანალიზი	18
1.1. თანამედროვე გლობალიზაციის გამოწვევები	18
1.2. გლობალისტურ შეხედულებათა კონცეფციების პრიტიკული ანალიზი	23
1.3. გლობალიზაციის ფარმარიტვები და მამოძრავებელი ქაღალდები	31
1.4. გლობალური მმართველობა	36
1.5. ინტენსიური თუ კოლარიზაცია? გლობალური უთანაბრობა თანამედროვე მსოფლიოში	41
<b>თავი 2.</b> გლობალიზაციის ზეგავლენა ერ-სახელმწიფოზე	51
2.1. ერ-სახელმწიფოს ონეროლობიური ანალიზი	51
2.2. ეროვნული კონკურენტული სტრატეგია და სახელმწიფოს ძლიერების განვითარები ზარფორმები	54
2.3. თანამედროვე მსოფლიო სისტემა	64
<b>თავი 3.</b> ეროვნული საინოვაციო სისტემა	
3.1. ეროვნული საინოვაციო სისტემის კონცეფცია	67
3.2. ეროვნული საინოვაციო სისტემის მთაგარი აზროვნები	73
3.3. რეგიონალური საინოვაციო სისტემების ანალიზი	76
3.4. კლასტერული განვითარების ასპექტები	80
<b>თავი 4.</b> საინოვაციო სტრატეგიის ასპექტები	88
4.1. ინსტიტუციონალური ფყობა	88
4.2. სახელმწიფო და საჯარო კოლექტივის როლი	92
4.3. ეროვნული საინოვაციო სისტემა განვითარებად მგებელები	97
4.4. ინოვაციურობის გაზომის ინდიკატორები	103
<b>თავი 5.</b> საქართველოს კონკურენტულობის სტრატეგია	108
5.1. საქართველო გლობალური გამოწვევების პირისკირ	108
5.2. სიღარიბის დაძლევის სტრატეგია და განვითარების პროცესითებები	111
5.3. ეროვნული საინოვაციო სისტემის შექმნის შესაძლებლობა საქართველოში	114
5.4. საქართველო-ევროპაგვირის სამეზოგადო კოლექტივის სამოქმედო გეგმა	120
5.5. საქართველოს კონკურენტულობის SWOT ანალიზი	124
<b>დასკვნა გიგლიორგაზია</b>	<b>134</b>
	140

## ცხრილები

ცხრილი 1. კაპიტალიზმის განვითარების ისტორია	21
ცხრილი 2. გლობალისტურ შეხედულებათა სამი მოდელის შედარება	24
ცხრილი 3. გლობალური მმართველობის ფორმები და დონეები	40
ცხრილი 4. მხარდაჭერის ხედრითი წილი	43
ცხრილი 5. გლობალური უთანაბრობა თანამედროვე მსოფლიოში	45
სიმდიდრის განაწილება 2004წ.	
ცხრილი 6. შიმშილობის კრიზისის მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით 2003 წ	46
ცხრილი 7. მდიდრები და ღარიბები გლობალური დაჯგუფების მიხედვით 2004 წ	47
ცხრილი 8. გლობალიზაციის ინდექსი	60
ცხრილი 9. საინვაციო სისტემები - შემაჯამებელი ცხრილი	77
ცხრილი 10. საჯარო პოლიტიკის გავლენა ინვაციებზე	94
ცხრილი 11. კვლევისა და განვითარების ხარჯები 160 ქვეყანაში 2006 წლისათვის (ათ. აშშ დოლარი)	104
ცხრილი 12. ევროპის ინვაციის მონაცემთა ინდიკატორები	106
ცხრილი 13. ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა	112
ცხრილი 14. ცოდნის შეფასების მეთოდოლოგიის ინდექსების შედარებითი ანალიზი	117
ცხრილი 15. საქართველოს კონკურენტუნარიანობის SWOT ანალიზი	126

## ნახაზები

ნახაზი 1. საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერის ხვედრითი წილი	42
ნახაზი 2. გლობალური უთანაბრობა თანამედროვე მსოფლიოში სიმდიდრის განაწილება 2004წ.	44
ნახაზი 3. შიმშილობის კრიზისის მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით 2003 წ.	45
ნახაზი 4. მდიდრები და დარიბები გლობალური დაჯგუფების მიხედვით 1997 წ.	46
ნახაზი 5. მაიკლ პორტერის “ალმასის მოდელი”	54
ნახაზი 6. ერი-სახელმწიფოსა და ცენტრალური ხელისუფლების ძალაუფლების ტრანსფორმაცია გლობალიზაციის პროცესში	57
ნახაზი 7. ეროვნული საინოვაციო სისტემა	71
ნახაზი 8. ეროვნული ინოვაციური სისტემა (ამერიკული მოდელი)	72
ნახაზი 9. გლობალური, ეროვნული და რეგიონალური ინოვაციის სისტემები	76
ნახაზი 10. რეგიონალური ინოვაციური გარემოს შიდა და გარე ფაქტორები	77
ნახაზი 11. მაიკლ პორტერის “ალმასის” მოდელი”	82
ნახაზი 12. შიდა ურთიერთობები ეკონომიკურ განვითარებასა და ინსტიტუციონალურ წყობას შორის	90
ნახაზი 13. სამმაგი სპირალის მოდელი	91
ნახაზი 14. ინოვაციის სისტემა	92

## შესავალი

### პრობლემის აქტუალობა

გლობალიზაციის ეპოქაში სულ უფრო აშკარა ხდება ერი-სახელმწიფოს ტრანსფორმაცია, რაც იწვევს მათი სახელმწიფოებრივი მმართველობის სისტემისა და პოლიტიკური ეკონომიკის რესტრუქტურიზაციას. განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები განსხვავებულ რეაგირებას ახდენენ გლობალურ გამოწვევებზე, ეს კი თავისებურად აისახება მათი კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებზე. ასინქრონული და ასიმეტრიული საგაჭრო სივრცის პირობებში, განვითარებად ქვეყნებს უჭირთ გლობალიზაციის პროცესის მიმართ ადაპტირება, რის შედეგადაც მათი პოლიტიკური და ეკონომიკური კლიმატი ხდება არასტაბილური, ხოლო მმართველი ინსტიტუტები კი განიცდიან ენთროპიას (Held, D., McGrew, A. (2000), *The Great Globalization Debate: An Introduction*, In D. Held and A. McGrew, eds., *The Global Transformations Reader: An Introduction to the Globalization Debate* (Cambridge: Polity), pp. 1-45.)\*

ნეოლიბერალიზმის დოქტრინაზე დაფუძნებული პოლიტიკურ-ეკონომიკური გლობალიზაცია ქმნის სტრატიფიკაციის ახალ მოდელებს, რომლებზეც ზოგიერთი სახელმწიფო და საზოგადოება კარგად ახდენს ადაპტირებას, ზოგიერთი კი იზოლირებული რჩება. ეკონომიკური ასიმეტრიულობა იწვევს გლობალურ უთანაბრობას, რის შედეგადაც სუსტი ქვეყნები გლობალური თამაშიდან გარიყელნი რჩებიან და განიცდიან მარგინალიზაციას. ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუტების ქოლგის ქვეშ, განვითარებული ინდოუსტრიული სახელმწიფოები ცდილობენ გახსნან და გააფართოვონ მსოფლიო ბაზრები საკუთარი პროდუქტის რეალიზაციისათვის და გამოიყენონ განვითარებად ქვეყნებში არსებული იაფი მუშა ხელი და ბუნებრივი რესურსები. განვითარებადი ქვეყნები კი, *Laissez-faire-ისა*\*\* და კომპრადორული პოლიტიკის\*\*\* ზეგავლენის შედეგად,

\* ენთროპია—მენეჯმენტის თეორიაში, სისტემის დაუბლურება, როდესაც მას ადარ შესწევს უნარი ადაპტირება მოახდინოს გარემოს მიმართ.

\*\* იგივე დერეგულაციის პოლიტიკა, რომელიც ცენტრალური მთავრობის მხრიდან კერძო სექტორის საქმიანობაში ჩაურეველობას გულისხმობს

\*\*\* დამატებითი ღირებულების შემცველი პროდუქციის გასაღება განვითარებად ქვეყნებში და მათი ნედლურლის ბაზად გადაქცევა

განიცდიან ეროვნიას (Panitch L. (1996), “Rethinking the Role of the State” in Mittelman J.H. (ed.), Globalization: Critical Reflections, Lynne Rienner Publishers).

განვითარებადი ქვეყნების ეროვნული მთავრობები, ექცევიან რა ბრეტონ-ვუდსის სტრუქტურებისა და ტრანსაციონალური კორპორაციების ზეგავლენის ქვეშ, ამ უკანასკნელთ სთაგაზობენ თავისუფალ სატარიფო სივრცეს, რაც კაბალურ პირობებში აქცევს მათ ეკონომიკას და სერიოზულ დარტყმას აუკენებს სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკას.

ვინაიდან ნეოლიბერალური დოქტრინა, კომპრადორული პოლიტიკის გაძლიერებას უწყობს ხელს, განვითარებადი ქვეყნების წინაშე დგება საკუთარი იდენტურობისა და ადგილის განსაზღვრის პრობლემა. თვითიდენტიფიკაციის აუცილებლობა გამოწვეულია როგორც საკუთარი არსებობის გამართლების, ისე მიღწეული დონის შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

ხაზი უნდა გაესვას აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ ეროვნების გლობალურ დონეზე ინტეგრაცია, თავის მხრივ, იწვევს ადგილობრივ დონეზე მათ დეზინტეგრაციას (Mann, M. (1997), Has Globalization Ended the Rise and Fall of the Nation-State?, *Review of International Political Economy*, 4(3), pp. 472-496). გლობალიზაციის ეპოქაში, დემოკრატიული ქვეყნის ცენტრალური მთავრობა აღარ წარმოადგენს ერთადერთ დომინანტ ძალას მმართველობაში, ვინაიდან თანამედროვე დემოკრატია მოითხოვს დეცენტრალიზაციას, რის შედეგადაც, ხელისუფლების დელეგირება ხდება ცენტრალურიდან ადგილობრივ მმართველ სტრუქტურებზე, რაც სერიოზულად აძლიერებს ამ უკანასკნელის როლს და ასესტებს ცენტრალური მთავრობის პოზიციებს. შესაბამისად, რეგიონალური განვითარების სტრატეგია სულ უფრო მეტ აქტუალურობას იძენს, რადგან თანამედროვე მსოფლიოში რეგიონები ქმნიან კონკურენტულ უპირატესობას (Porter, Michael L., *The Competitive Advantage of Nations*. The Free Press, New York, 1990. p.29).

ვინაიდან შეუძლებელია, რომ ერთმა, ცალკე აღებულმა ქვეყანაშ, ყველა სფეროში თანაბარ წარმატებას მიაღწიოს, დღის წესრიგში დგება განსაზღვრული პრიორიტეტების გამოკვეთის საკითხი. ეს თანაბარწილად ეხება როგორც დიდ და განვითარებულ, ისე (განსაკუთრებით) მცირე და განვითარებად სახელმწიფოებს.

გლობალიზაციის საკითხების კვლევა ერთმანეთთან მჭიდროდ  
დაკავშირებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და  
კულტურული ასპექტების რთული და ცვალებადი მახასიათებლების  
გათვალისწინებას მოითხოვს, სადაც ზოგიერთი ფაქტორი  
ურთიერთთანხვდრადია, ზოგიერთი კი ურთიერთსაწინააღმდეგო. როგორც  
ირკვევა, გლობალიზაციის შესახებ ავტორიტეტ პოლიტოლოგთა,  
ეკონომისტთა და სოციოლოგთა კვლევები არ კმარა ერი-სახელმწიფოს  
ტრანსფორმაციის შესახებ სრულყოფილი ანალიზის გასაკეთებლად,  
ვინაიდან ცალკეულ დისციპლინათა ფარგლებში მოქცეული პოზიციები  
ხშირ შემთხვევაში ემიჯნება ერთმანეთს. ეკონომისტებისათვის,  
გლობალიზაცია კაპიტალის ტრანსნაციონალიზაციასა და გლობალური  
ბაზრების წარმოქმნას ნიშნავს, ისტორიკოსებისათვის იგი გლობალური  
კაპიტალიზმის ეპოქაა, სოციოლოგებისათვის სოციალურ-კულტურული  
დირებულებების შერწყმასთან ასოცირდება; პოლიტოლოგთა მთავარ  
კვლევის ობიექტს კი მსოფლიო პოლიტიკური პროცესების ანალიზი და  
ერი-სახელმწიფოს ტრანსფორმაცია წარმოადგენს.

დღევანდელ სწრაფად ცვალებად მსოფლიოში, გლობალური  
ტრანსფორმაციისა და დრმა ძირებული ცვლილებების ფონზე,  
აუცილებელი ხდება პრობლემებისადმი ახლებულად მიღება, მათი  
ინტერდისციპლინარულ ჭრილში გაანალიზება და გადაჭრის  
კომპლექსური გზების ძიება. სამწუხარო ფაქტია, რომ ქართულ  
სამეცნიერო ლიტერატურაში, ერთეულ გამონაკლისთა გარდა, არ  
მოიპოვება გლობალიზაციის, ქვეყნის კონკურენტულობის, ეროვნული  
საინოვაციო სისტემის, სტრატეგიული მართვის თეორიის საკითხებში  
დირებული ბიბლიოგრაფიული წყაროები. ამ დეფიციტის გამო, ძირითადად  
ვევრდნობით დასავლეთის წამყვან (ძირითადად ბრიტანელ და ამერიკელ)  
მეცნიერთა შრომებსა და რეკომენდაციებს. თუმცა, უნდა აღნიშნოს, რომ  
პრობლემის კომპლექსურობიდან გამომდინარე, გლობალიზაციის სფეროში  
მოღვაწე დასავლელ მეცნიერთა და ექსპერტთა დიდი ნაწილის  
ურთიერთგამომრიცხავი პოზიციებიც ვერ ახდენენ საკითხთა სრულყოფილ  
პოსტულირებას.

ამ მიზეზთა გამო, დღის წესრიგში დგება ზოგიერთი კონცეფციის  
კრიტიკული ანალიზი და ახალი ორიგინალური მიღების ძიება.

მკვლევართა დივერსიფიცირებული მიღგომების მიუხედავად, თითქმის არ არსებობს ფართო კორელაციური ხედვა, რომელიც გულისხმობს პოლიტიკური, ეკონომიკური, სახელმწიფო მართვისა და სტრატეგიული მართვის თეორიების ერთიან კონტექსტში მოქცევას. მაგალითად, დღემდე არ არის შესწავლილი გლობალზაციის თეორიული ასპექტები, ტრანსნაციონალიზაციის, ეროვნული და რეგიონალური საინოვაციო სისტემების, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და ზეგავლენა ქვეყნების კონკურენტუნარიანობაზე, აგრეთვე მთლიანი შიდა პროდუქტებისა და მთლიანი ეროვნული პროდუქტის პრიორიტეტულობის შეფარდებითი ანალიზი. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში მოცემული შეფასების ინდიკატორები არ მოიცავს მთლიან ეროვნულ პროდუქტს, როგორც სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის ერთერთ უმნიშვნელოვანებს კომპონენტს.

გარდა თეორიული კონტექსტისა, უურადღება უნდა გამახვილდეს ქართულ რეალობაზე პრაქტიკული თვალსაზრისით, ვინაიდან საქუთარი ნიშის დაკავება გლობალურ არენაზე წარმოადგენს საქართველოს კონკურენტუნარიანობის უმთავრეს წინაპირობას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საზოგადოებრივ კეთილდღეობას და პირდაპირ კავშირშია სიდარიბის დაძლევასთან. აღნიშნულ შესაძლებლობათა შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დასახელდეს ჩრდილო ატლანტიკურ სივრცეში ქვეყნის ინტეგრაცია და ეკონომიკური სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში მიღებული ვალდებულებების დროული შესრულება. საკუთარი ადგილის ძიების პროცესში საქართველომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაითვალისწინოს გეოპოლიტიკური კონტექსტი, კერძოდ, ევროპული არეალისადმი კუთვნილება და ტრანსატლანტიკური ინტეგრაცია. აქედან გამომდინარე, ქართული პოლიტიკის მიერ აღებული ევროკავშირთან ინტეგრაციის კურსი უალტერნატივა, რაც გულისხმობს ევროპული სტანდარტების შესაფერისი სისტემის ჩამოყალიბებას და უველა იმ მექანიზმის სრულად ამოქმედებას, რომელიც ქვეყნას გამოწვევების დაძლევაში შეუწყობს ხელს.

საქართველო ცოდნის ეკონომიკის ინდექსით, ეკონომიკური სტიმულირებით და ინსტიტუციონალური რეჟიმით, ინოვაციურობით და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების მხრივ,

ჩამორჩება არა თუ ეგროკავშირის წევრ, არამედ თავის უახლოეს მეზობელ ქვეყნებსაც. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ცოდნის ეკონომიკაზე დაფუძნებული ქმარის კონკურენტუნარიანი უპირატესობის გრძელვადიანი განვითარების კლასტერული, ინოვაციური სტრატეგია შექმნილია და მუშაობს ჩვენს უშუალო მეზობლებთან სომხეთში, რუსეთში, ყაზახეთში, მოლდოვაში, სტრატეგიის შექმნის პროცესში არიან უკრაინელები.

2005 წლის 2 მარტს გაეროს ინიციატივით ხელი მოაწერა ათასწლეულის მიზნების განვითარების დეპლარაციას, ე.წ. პარიზის დეპლარაციას, რომელიც წარმოადგენს რომის და მარაკეშის ფორუმების გაგრძელებას და მიმართულია ათასწლეულის განვითარების მიზნების დაჩქარებული მიღწევის მიზნით სიდარიბისა და უთანასწორობის შემცირების წინააღმდეგ მიმართული ზემოქმედების გაძლიერებისაკენ.

ამ დეპლარაციის მთავარი გზავნილი პარტნიორი ქვეყნების (მათ შორის საქართველოს) მიმართ არის ის, რომ პარტნიორი ქვეყნები ვალდებულებას იღებენ შექმნან განვითარების ეროვნული სტრატეგია, რომელთაც ექნებათ წლიურ ბიუჯეტებში ასახული, საშუალოვადიან დანახარჯებთან დაკავშირებული ზუსტი სტრატეგიული პრიორიტეტები. დეპლარაციის მოთხოვნების შეუსრულებლობა საქართველოს 2010 წლისთვის იმ ქვეყნათა რიგში მოაქცევს, რომლებიც დონორი ორგანიზაციების დახმარების გარეთ, განვითარებად ქვეყნათა უკანასკნელ ეშელონში მოექცევა.

2009 წლის 9 იანვარს ვაშინგტონში, სახელმწიფო დეპარტამენტი გაიმართა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ხელმოწერა. ქარტია ეფუძნება ორ სახელმწიფოს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის პრინციპებს, სადაც პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებს, ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ.

მზარდი კონკურენციის პირობებში, საქართველოს სტაბილური განვითარებისათვის აუცილებელია ახალი გზების გამონახვა, რომელიც ინოვაციურ მიდგომებსა და თანამშრომლობის ახალი ფორმების დაწერგვას ითვალისწინებს. ზემოთ აღნიშნული მკვეთრი კონტრასტების ფონზე, საქართველოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ისეთი პოლიტიკური, მიკრო- და მაკროეკონომიკური რეფორმების

განხორციელება, რომლებიც ხელს შუწყობენ ქვეყნის მდგრად განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის გაზრდას გლობალურ სივრცეში.

ზემოთ აღნიშნულმა საკითხებმა განაპირობეს ჩვენი დაინტერესება კვლევის თემატიკით, რამაც საშუალება მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა კვლევის მიზანი და ამოცანები წინამდებარე დისერტაციაში.

### **კვლევის ობიექტი, მიზანი და ამოცანები**

სადისერტაციო ნაშრომში კვლევის ძირითად ობიექტს წარმოადგენს გლობალიზაციის პროცესი და მისი ზეგავლენა ერი-სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობაზე, რისი განხორციელებისათვისაც საჭირო ხდება სხვადასხვა შეხედულებების მქონე მკვლევართა პოზიციებისა და არგუმენტაციების შესწავლა და მათი კრიტიკული ანალიზი. ამ პროცესში ყურადღების ფოკუსში ექცევა შემდეგი ამოცანები, რომლებიც საჭიროებენ გადაჭრას:

- გლობალიზაციის პოლიტიკურ-ეკონომიკური კონტექსტი და მისი ონტოლოგიური ანალიზი;
- გლობალიზაციის წარმმართველი და მამოძრავებელი ძალების (ბრეტონ გუდსის ინსტიტუტების პოლიტიკა, ტრანსნაციონალური კორპორაციები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები) ზეგავლენა სახელმწიფოების კონკურენტუნარიანობაზე;
- გლობალურ გარემოში ტრანსნაციონალური ბიზნესის ფუნქციონირებისა და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე მისი ზემოქმედების შესწავლა;
- მთლიანი შიდა პროდუქტისა და მთლიანი ეროვნული პროდუქტის შედარებითი ანალიზი; მათი მნიშვნელობა ეროვნული სახელმწიფოს კონკურენტულობაში;
- ეროვნული და რეგიონული საინვესტიციო სისტემების ონტოლოგიური ანალიზი და მათი როლი ეროვნული კონკურენტუნარიანობის სტრატეგიაში;
- ცოდნის ეკონომიკის როლი ეროვნულ კონკურენტულობაში.

ამ ამოცანების გადაჭრის შემთხვევაში მიღწეული იქნება კვლევის ძირითადი მიზანი — შევისწავლოთ გლობალიზაციის პროცესის ზეგავლენა სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობაზე და მოვახდინოთ იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც ხელს უწყობენ ან ხელს უშლიან ეროვნული კონკურენტულობის ზრდას. ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი პიპოთეზის დასაბუთება, და დეტალური ანალიზი, თუ რა როლს თამაშობენ მერიტოკრატიული ფასეულობები, ცოდნის ეკონომიკის პრინციპები, ინსტიტუციონალური რეგულირება, ეროვნული ბიზნესის ტრანსნაციონალიზაცია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მთლიანი ეროვნული პროდუქტი, ეროვნული და რეგიონული საინოვაციო სისტემები ეროვნული კონკურენტუნარიანობის სტრატეგიაში.

უაღრესად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია თანამედროვე ქართული სახელმწიფო პოლიტიკის საკითხების კონცეპტუალური ანალიზი, დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება გლობალურ პრობლემატიკურ საკითხებთან მიმართებაში. საქართველოს კონკურენტუნარიანობის პოტენციალის განსაზღვრისათვის მიზნად ვისახვთ გამოვიყენოთ SWOT და PEST ანალიზის მეთოდები, და მათი საშუალებით მოვახდინოთ იმ შიდა და გარე ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ქვეყნის განვითარებაზე.

### **მთავარი კითხვა**

მთავარი კითხვა გამომდინარეობს კვლევის მიზნიდან და გულისხმობს იმას, თუ რა წარმოადგენს ერი-სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელ ფაქტორებს გლობალიზაციის გარეშე და როგორია მათი ზემოქმედების ხარისხი.

### **ჰიპოთეზა**

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში, ჩვენ შევეცდებით დავასაბუთოთ, რომ გლობალიზაციის ეპოქაში, ეროვნული კონკურენტულობის მთავარ დასაყრდენ და მამოძრავებელი ძალას წარმოადგენს ეროვნული ბიზნესის ტრანსნაციონალიზაციის მაღალი

ხარისხი, რომელიც ექსპანსიონდება გლობალურ სივრცეში და ზრდის მთლიან ეროვნულ შემოსავალს. კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ხელს უწყობს ცოდნის ეკონომიკისა და საინვაციო პოლიტიკის პრინციპებზე ორიენტირებული სინერგიული ურთიერთობების მთავრობას, კერძო სექტორსა და უნივერსიტეტებს შორის, რაც უზრუნველყოფს პროდუქტიულობის მაღალ ხარისხს.

განვითარებად ქვეყნებში დომინირებს რესურსებითა და ინვესტიციებით მართული ეკონომიკა, სადაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობენ მთლიანი შიდა პროდუქტის, და არა მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდას. ამიტომ ჩვენი მოსაზრებით, ეს ვერ ჩაითვლება კონკურენტუნარიანობის მახასიათებლად, ვინაიდან უცხო ქვეყნების ტრანსნაციონალური კომპანიები ზღუდავენ ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას. ჩვენი მსჯელობა კონცენტრირებულია იმ არგუმენტაციაზე, რომ ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობას ქმნის ცოდნის ეკონომიკა, სოციალური კაპიტალი და მერიტოკრატიული ფასეულობები, რაც წარმოადგენს აუცილებელ ფაქტორებს თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებისა და დამატებითი ღირებულების მქონე კონკურენტული პროდუქტის წარმოებისათვის. ამიტომაც, კონკურენტული უპირატესობის მოპოვების თვალსაზრისით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად იქმნება ქვეყანაში ცოდნის კომერციალიზაციისა და ინოვაციური ტექნოლოგიებისათვის აუცილებელი გარემო, ვითარდება ეროვნული წარმოება და ბიზნესი, რომელიც ექსპანსიონდება გლობალურ სივრცეში და ზრდის მთლიან ეროვნულ შემოსავალს.

### **თეორიები**

კვლევის ობიექტის ფართო კონტექსტში განხილვისა და საკუთარი პიპოლების არგუმენტალური დასაბუთებისთვის, სადისერტაციო ნაშრომში მოცემულია გლობალიზაციის, ნეოლიბერალიზმის, ეროვნული კონკურენტული უპირატესობის, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების, მსოფლიო სისტემის, საინვაციო სისტემების თეორიების, აგრეთვე პროგრესიული პოლიტიკის არსის კრიტიკული ანალიზი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გვესახება დევიდ პელდის მიერ კლასიფიცირებული სამი დიამეტრალურად პოლარიზებული მიმდინარეობის—ჰიპერგლობალისტური, სკეპტიკური და ტრანსფორმაციონისტური პოზიციების შედარებითი ანალიზი, ვინაიდან ჰიპერგლობალისტები (ქენიში ომე, მ. ზაჩერი) გამორიცხავენ ერისახელმწიფოს არსებობას გლობალიზაციის ეპოქაში, სკეპტიკოსები (პ. ჰირსტი, გ. ტომასონი, ე. კეპსტეინი) არ მიიჩნევენ გლობალიზაციას რეალურად და მას რეგიონალიზაციის კონტექსტში განიხილავენ, ტრანსფორმაციონალისტები (დ. პელდი, ე. მაქგროუ, ი. შოლტე, გ. გილენისი) კი მსჯელობების ქაოტურობაზე და რაიმე კონკრეტული დასკვნების გაკეთებისაგან თავს იკავებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ერი-სახელმწიფოს ტრანსფორმაციასა და მის კონკურენტულ სტრატეგიასთან მიმართებაშიც ძალზე როგორია რაიმე კორელაციის მონახვა თანამედროვე მკვლევართა პოზიციებს შორის, ვინაიდან ერთნი (ჯოზეფ ნაი, რობერტ კიოშეინი, სამუელ ჰანტინგთონი, ზბიგნევ ბჟეზინსკი, თომას ფრიდმანი და სხვები) ბიზნესის ტრანსნაციონალიზაციას ამერიკის ეროვნული ინტერესების კონტექსტში განიხილავენ, მეორენი (იმანუელ ვალერსტაინი, ჯოზეფ შტიგლიცი, დანიელ ბელი, დევიდ პელდი, ენტონი გილენისი, იან შოლტე და სხვები) ტრანსნაციონალურ კომპანიებსა და მულტიეროვნულ ინსტიტუტებს სახელმწიფოს დასუსტების ძირითად მიზეზად მიიჩნევენ. მესამენი კი (მაიკლ პორტერი, ქრისტოფერ ფრიმენი, პენრი ეცკოვიჩი, ლოეტ ლედესდორფი და სხვები) ხაზს უსვამენ რეგიონული კონკურენტულობის უპირატესობას, კლასტერული განვითარების სტრატეგიას, ეროვნულ და რეგიონალურ საინოვაციო სისტემებს.

### **სიახლე, სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა**

გლობალიზაციის პროცესისა და ერი-სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის საკითხების ინტერდისციპლინარულ კონტექსტში განხილვა, შეიძლება ითქვას, რომ თავისოფავად წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერულ დირექტულებას. უფრო მეტიც, გლობალიზაციის ეპოქაში სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის თემატიკის წინა პლანზე წამოწევას უაღრესად დიდი

მნიშვნელობა აქვს საქართველოს კონკურენტული სტრატეგიის ჩამოყალიბებაში.

ინოვაციურად მიგვაჩნია სტრატეგიული კვლევისა და ანალიზის მეთოდების გამოყენება, ვინაიდან ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, საქართველოში კვლევების დროს ასეთი მოდელების გამოყენებას აქამდე ადგილი არ ჰქონია.

მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ერი-სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის სტრატეგიაში ახალი დამატებითი ფაქტორებისა და პარამეტრების შემოტანა, აგრეთვე, ეროვნული კონკურენტულობის, ეროვნული და რეგიონალური საინივაციო სისტემებისა და ტრანსნაციონალიზაციის ფართო ინტერდისციპლინარულ ჭრილში გაანალიზება და ახალი ხედვის ჩამოყალიბება.

დისერტაციაში დასმული საკითხების კვლევას მოყვა პრაქტიკული აღიარება, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. 2007-2008 წლებში, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების დაკვეთითა და დაფინანსებით, ჩემი თანაავტორობით ჩატარდა კვლევა და გამოიცა ნაშრომი –*National Innovation System Strategy Framework for Georgia*, სადაც ჩამოყალიბებულია თანამედროვე მიდგომები ეროვნული კონკურენტუნარიანობისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის, მთავრობის, უნივერსიტეტებისა და ბიზნესის სინერგიული ურთიერთქმედების კონტექსტში.

2008 წელს, კემბრიჯის უნივერსიტეტმა მომანიჭა მიწვეული მკვლევარის სტიპენდია, რომლის ფარგლებშიც კემბრიჯის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრში, მომზადდა ჩემი სამეცნიერო ნაშრომი – *Implications of European Neighbourhood Policy in on National Competitiveness of Georgia*.

2008 წლის ივლისში, მშვიდობის საკითხების კვლევის საერთაშორისო ასოციაციის (IPRA) მიწვევით, სპიკერის რანგში ვიმუოფებოდი ბელგიაში, ლოვენის უნივერსიტეტში, გლობალურ კონფერენციაზე, სადაც გაგაკეთე მოხსენება ”გლობალიზაციის ზეგავლენა ევროპის სამეზობლო პოლიტიკაზე.” მოხსენება გამოქვეყნებულია კონფერენციის ვებგვერდზე:

<http://soc.kuleuven.be/iieb/ipraweb/papers/Implications%20of%20Globalisation%20on%>

[20European%20Security%20Black%20Sea%20Region%20in%20the%20Context%20of%20Future%20Eastern%20Enlargement.pdf](#)

2008 წლის აპრილში, ლონდონის საგაჭრო პალატის მიერ მომენტა მიწვეული მკვლევარის სტიპენდია, რომლის ფარგლებშიც ჩავატარე კვლევა “გლობალიზაცია და ეროვნული საინოვაციო სისტემა”, აგრეთვე წავიკითხე მოხსენება და გავაკეთე პრეზენტაციები მერთონის კოლეჯში (ოქსფორდის უნივერსიტეტი).

2008 წლის აპრილში, ზალცბურგის გლობალური სემინარის მიწვევითა და დაფინანსებით გავაკეთე პრეზენტაციები და წავიკითხე მოხსენება თქმაზე “ინოვაციები და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა”

2007 წელს, ნორვეგიის საერთაშორისო განვითარების ინსტიტუტის გრანტის მხარდაჭერით, ჩავატარე კვლევა და გამოვეცი ნაშრომი *Analyzing EU-Georgia Neighbourhood Policy Action Plan: Modern Benchmarking Approaches to Knowledge Management and Innovations in Georgia.*

### **კვლევის მეთოდები**

სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის პარამეტრების განსაზღვრისა და კონცეფციის შემუშავებისათვის, საჭიროდ მივიჩნიეთ მოგვეხდინა საერთაშორისო ურთიერთობების, ეკონომიკის, სახელმწიფო მართვისა და სტრატეგიული მართვის თეორიათა სინთეზი, რისთვისაც ხარისხობრივი კვლევის, პროგნოზირებისა და შედარებითი ანალიზის გარდა ვიხელმძღვანელებთ ბენჩმარკინგული ანალიზის, SWOT და PEST ანალიზის მეთოდებით, აგრეთვე პორტერის ალმასის მოდელითა და სამმაგი სპირალის მოდელით.

### **წყაროების და ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა**

სამეცნიერო ლიტერატურის სარგებლობისას ძირითადი აქცენტი გაკეთდა თანამედროვეობის გამოჩენილ მეცნიერთა შრომებსა და მონოგრაფიებზე: მაიკლ პორტერის (Porter, Michael L., *The Competitive Advantage of Nations*. The Free Press, New York, 1990), ჯრისტოფერ ფრიმენის (Freeman, C. *Technology Policy and Economic Performance: Lessons from Japan*, 1987,) ჩარლზ ედქვისტის (Edquist Ch., *Systems of Innovation Approaches*, 1997), რიჩარდ ნელსონის (Richard R. Nelson, (eds), *Technology, Learning, and Innovation*:

*Experience of Newly Industrializing Economies*, Cambridge: Cambridge University Pres), რობერტ კიოჰენისა და ჯოზეფ ნაის (Robert O. Keohane and Joseph S. Nye, *Power and Interdependence in the Information Age*, 1999, Keohane, R.O., Nye, J.S. (2000), Globalization: What's New? What's Not? (And So What?), *Foreign Policy*), ენონი გიდენსის (Giddens, A. (1990), *Runaway World: How Globalization is Reshaping Our Lives*, Cambridge, Polity), დევიდ ჰელდის (Held et al., *Global Transformations: Politics, Economics and Culture* 1999), ჯოზეფ შტიგლიცის (Stiglitz, Joseph e. Global Playing Field: More Level, but It Still Has Bumps; The New York Times 04-30-2005), იან შოლტეს (Scholte, J. A., Globalization: A Critical Introduction (London: McMillan, 1997), სამუელ ჰანტინგტონის (An interview with Samuel P. Huntington, BRIAN LAMB / SAMUEL P. HUNTINGTON, March 29, 1985), ჰანს მორგენთაუს (Morgenthau, Hans. *Politics Among Nations. The Struggle for Power and Peace*, N. Y., 4th Ed.), იმანუელ ვალერსტაინის (Wallerstein, Immanuel M., *Geopolitics and Geoculture: Essays on the Changing World-System*, Cambridge University Press, 1991), თომას ფრიდმანის (Friedman, L. Thomas., *The Lexus and the Olive Tree: Understanding Globalization*, Farrar Straus Giroux, New York, 1999), მარტინ შოუს (Shaw, M. (2000), *Theory of the Global State: Globality as Unfinished Revolution* (Cambridge: Cambridge University Press), დენი როდრიკის (Rodrik, D. (1997), *Has Globalization Gone Too Far?* (Washington: Institute of International Economics), დანიელ ბელის (Bell, D., *The End of Ideology: On the Exhaustion of Political Ideas in the Fifties, with "The Resumption of History in the New Century"*, 1962), და სხვა შრომები.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სადისერტაციო ნაშრომში აქტიურად არის გამოყენებული გაეროს, ეპროკავშირის, თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციის, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის, საერთაშორისო საგადუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, მსოფლიო საგაჭრო ორგანიზაციის, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის, გლობალიზაციის სოციალურ პრობლემებზე მომუშავე მსოფლიო კომისიის, საერთაშორისო განვითარების ასოციაციის, სხვადასხვა ანალიტიკური ცენტრების ოფიციალური დოკუმენტები, წლიური ანგარიშები და სტატისტიკური ცნობარები, აგრეთვე, ინტერნეტი.

## თავი 1. გლობალიზაციის კრიტიკული ანალიზი

### 1.1. თანამედროვე გლობალიზაციის გამოწვევები

1990-იან წლებში, მას შემდეგ, რაც დასრულდა “ციფრი ომის” ეპოქა და დაირღვა ორპოლუსიანი მსოფლიოსათვის დამახასიათებელი ძალთა ბალანსის საერთაშორისო პრინციპი, ყოფილ პოლარიზებულ მსოფლიოში დაიწყო გლობალური მასშტაბის ინტეგრაციული პროცესები, რომლებმაც მოიცვეს არა მარტო მეზობელი ქვეყნები და რეგიონები, არამედ მთელი საკონტინენტო შორისო სივრცე. ტექნოლოგიების, ინფორმატიკისა და კომუნიკაციების სწრაფად და დინამიურად განვითარებამ დაარღვია ადგილობრივი და ეროვნული საზღვრები და სტიმული მისცა გლობალური კავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულების ქსელების შექმნას, რასაც მოყვა ფუნდამენტალური პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცვლილებები მსოფლიოში. განვითარებულმა პროცესებმა ცხადყვეს, რომ კაპიტალი, ბიზნესი, ინფორმაცია და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ვეღარ დაეტეოდა ცალკეულ სახელმწიფოებრივ ფარგლებში, და თანამედროვე მსოფლიო მოითხოვდა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უნივერსალიზაციას.

თუმცა ინტეგრაციულმა პროცესებმა, რომლებსაც ერთი შეხედვით ხელი უნდა შეეწყოთ მსოფლიო პომოგენიზაციისათვის, წარმოშვეს მთელი რიგი წინააღმდეგობები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ასპექტებში. ამ წინააღმდეგობებმა კი უფრო მეტად გააღრმავეს უთანხმოება განვითარებულ და განვითარებად სამყაროს შორის.

ტრანსნაციონალური კაპიტალის, ინტელექტუალური დირექტებებისა და დემოკრატიული მმართველობის ბალანსირებული ექსპანსია მულტიკონტინენტალურ (რამოდენიმე კონტინენტის მომცველ) სივრცეში, ეროვნული ტერიტორიული საზღვრების შენარჩუნების ფონზე, ალბათ, ერთერთი საუკეთესო მოდელი იქნებოდა წინააღმდეგობებით აღსავსე მსოფლიოს პარმონიული განვითარებისთვის, რომ არ წარმოჩენილიყო გლობალიზაციის თანმხლები უკუფექტები, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიან კაცობრიობას. ტრანსნაციონალიზაცია არ

ნიშნავს პომოგენიზაციას. უფრო მეტიც, განვითარებული პროცესების ფონზე აღმოჩნდა, რომ გლობალიზაცია უფრო მეტად აღრმავებს ეკონომიკურ და სოციალურ უთანასწორობას და ზრდის დისტალანსს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის.

ტერმინს ’ეკონომიკური გლობალიზაცია’ ოფიციალურ კონტექსტი განსაკუთრებული დატვირთვა მიენიჭა 1986 წელს, ტარიფებსა და ვაჭრობაზე ზოგადი შეთანხმების\* ეგიდით ურუგვაიში გამართულ მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების დროს, სადაც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნები\*\* საინვესტიციო პირობების გაუმჯობესებაზე მსჯელობდნენ (Rupert, M. (2000), *Ideologies of Globalization: Contending Visions of a New World Order* (London: Routledge, p.13)).

ეს იყო ის ეტაპი, როდესაც მსოფლიო ეკონომიკა განვითარების ახალი რეალობების წინაშე იდგა, რაც თავის მხრივ ვაჭრობისა და ფინანსების ლიბერალიზაციისათვის აუცილებელ ქმედითი დონისძიებების შემუშავებას მოითხოვდა.

ახალი გლობალური წესრიგისაპერ სწრაფვამ მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში და გარდენულწილად შეასუსტა ძველი გეოპოლიტიკური კონცეფცია, რომელიც აქტუალური იყო ადრეული ტექნოლოგიების განვითარების, იმპერიალიზმისა და ციფრი ომის პერიოდში. 1992 წელს, თავის ნაშრომში ”გლობალური ფინანსური ინტეგრაცია”, რიჩარდ ო’ბრაიანმა გამოთქვა აზრი გეოგრაფიის დასასრულის შესახებ. თანამედროვე ეტაპზე, მართალია ჯერ არ წაშლილა ადგილის, მანძილისა და ტერიტორიული საზღვრების მნიშვნელობა მსოფლიო პოლიტიკაში, მაგრამ ვირტუალური სივრცის, ელექტრომაგნიტური ტალღების მეშვეობით დამყარებულმა კომუნიკაციის პროცესმა სოციალურ ურთიერთობებში გეოგრაფიის ახალი განზომილებები წარმოაჩინა. სამი წლის შემდეგ, ო’ბრაიანის კონცეფცია განვითარა თანამედროვე ამერიკელმა პოლიტოლოგმა პოლ ვირილიომ: „სივრცე და ტერიტორია აღარ არსებობს გეოგრაფიაში, მათ

\* ზოგად შეთანხმებას ტარიფებსა და ვაჭრობაზე, რომელიც 1995 წელს ჩაანაცვლა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ, ხელი მოეწერა 1947 წელს

\*\* OECD, ოფიციალურად დაარსდა 1961 წელს და ჩაანაცვლა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (OEEC), რომელიც შეიქმნა 1948 წელს

ელექტრონიკაში გადაინაცვლეს... გეოპოლიტიკა გადადის ქრონოპოლიტიკაში.” (Virilio, P. *The Art of the Motor* (Minneapolis: University of Minnesota Press, 1995), pp. 133-156).

გლობალიზაციის მკვლევართა გარკვეული ნაწილის აზრით, მოძველდა დამოკიდებულების თეორიაც,\* ვინაიდან საერთაშორისო არენაზე გამოჩნდნენ ახალი ძალები ტრანსნაციონალური კორპორაციების, მულტიეროვნული მმართველი ინსტიტუტებისა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების სახით, რომლებმაც არა მარტო შეარყიეს ერი-სახელმწიფოს საზღვრები, არამედ დაიწყეს საკუთარი წესების დამკვიდრება გლობალურ მმართველობაში. ბიზნესის, სამოქალაქო საზოგადოებისა და მთავრობის “გლობალური ტრიადა”— როგორც Stanley Foundation-ის პრეზიდენტი რიჩარდ სტენლი მათ მოიხსენიებს, ხდება მთავარი ინსტრუმენტი ახალ რეალობაში. (Stanley, A. (1999). Opening Remarks presented at the Stanley Foundation's 34<sup>th</sup> United Nations of the Next Decade Conference. Adare Manor, Adare, Country Limerick, Ireland, June 13-18, 1999. p.44).

თავისი ფართო და მრავალმხრივი დატვირთვიდან გამომდინარე, სოციალურ მეცნიერებაში არ არსებობს გლობალიზაციის ერთი კონკრეტული და სრულყოფილი დეფინიცია. პოლიტოლოგების, სოციოლოგებისა და ეკონომისტების განმარტებები არ არის ამომწურავი და მათი აზრი ხშირ შემთხვევაში ემიჯნება ერთმანეთს.

გლობალიზაციის სრულყოფილი განმარტება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ასპექტების რთული და ცვალებადი მახასიათებლების გათვალისწინებას მოიხსენება, სადაც ზოგიერთი ფაქტორი ურთიერთთანხვედრადია, ზოგიერთი კი ურთიერთსაწინააღმდეგო. ეკონომისტებისათვის, გლობალიზაცია კაპიტალის ტრანსნაციონალიზაციასა და გლობალური ბაზების წარმოქმნას ნიშნავს, ისტორიკოსებისათვის იგი გლობალური კაპიტალიზმის გპოქა, სოციოლოგებისათვის სოციალურ-კულტურული დირებულებების შერწყმასთან ასოცირდება; პოლიტოლოგთა მთავარ კვლევის ობიექტს კი

\* Dependency Theory, თეზისი, რომლის მიხედვითაც მესამე სამყაროს ქვეყნებს არ შეუძლიათ საკუთარი ეკონომიკის კონტროლი პირველი სამყაროს ინდუსტრიული ქვეყნების ზეგავლენის გამო

მსოფლიო პოლიტიკური პროცესების ანალიზი და ერო-სახელმწიფოს ტრანსფორმაცია წარმოადგენს.

აქამდე არსებულ განმარტებათან მე გამოვყოფი ენტონი გიდენსის (Giddens, A. (1990), *Runaway World: How Globalization is Reshaping Our Lives*, Cambridge, Polity. P. 28), რობერტ ჸიოპეინისა და ჯოზეფ ნაის (Robert O. Keohane and Joseph S. Nye, *Power and Interdependence in the Information Age*, 1999. p.18) განმარტებებს, და მათზე დაყრდნობით, გლობალიზაციას დავახასიათებდი, როგორც დროსა და მულტიპონტინენტალურ სივრცეში სპონტანურად განვრცობილ პროცესს, რომელიც იწვევს ფუნდამენტალური მნიშვნელობის რეალურ ცვლილებებს თანამედროვე მსოფლიოში: პოლიტიკის, ეკონომიკის, ვაჭრობის, ფინანსების, საინფორმაციო ქსელების, ცოდნისა და სოციალურ-გულტურული ღირებულებების ინტეგრაციას, რაც ქმნის საერთო საკანონმდებლო სივრცეს, ბაზარსა და სამომხმარებლო კულტურას.

მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა გლობალიზაცია თანამედროვე ტერმინოლოგიაში დამკვიდრების სულ ოციოდე წელს ითვლის, მისი განვითარების პროცესი კაცობრიობის ისტორიის უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს. ევოლუციურ ძვრებს ყოველთვის წინ უძღვდა ისეთი დიდი და ფართო მასშტაბის პროცესები, როგორიცაა დაპყრობითი ომები, მიგრაციული დინებები, რელიგიისა და კულტურის გავრცელება, სავაჭრო ურთიერთობების განვითარება და სხვა, და თავისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობით, თანამედროვე გლობალიზაცია გარკვეულწილად წარმოადგენს ამ პროცესების, და უწინარეს ყოვლისა კაპიტალიზმის განვითარების უმაღლეს სტადიას. (Robert O. Keohane and Joseph S. Nye, *Power and Interdependence in the Information Age*, 1999. p24).

#### ცხრილი 1. კაპიტალიზმის განვითარების ისტორია

პერიოდები	პირველი	მეორე	მესამე	მეოთხე
ხანგრძლივობა	1492-1789	1789-1900	1900-1990-იანი	1990-იანიდან
ეპოქა	აღმოჩენების, დაპყრობის ეპოქა	რევოლუციების, კაპიტალისა და იმპერიის ეპოქა	იმპერიალიზმისა და 'ცივი ომის' ეპოქა	'ინფორმაციისა და ცოდნის ეპოქა'
კაპიტალიზმის ფორმა	მერკანტი-ლიზმი	ინდუსტრიული კაპიტალიზმი	მონოპოლისტური კაპიტალიზმი	გლობალიზაცია (მსოფლიო კაპიტალიზმი)

<b>სიმბოლური მოვლენები</b>	კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენა	საფრანგეთის რევოლუცია	მსოფლიო ომები კომუნიზმი და ფაშიზმი	ბერლინის კედლის დანგრევა, ‘ციფი ომის’ დასახრული; სსრკ-ს დაშლა
<b>პოლიტიკური მანიფესტაციები</b>	ხელოსნების გამოსვლები ევროპაში	ბურჟუაზიის წამოყალიბება	იმპერიალისტური ომები	სოციალისტური ბანაკის დაშლა; ანტი- გლობალისტი გამოსვლები

**წყარო:** V. Wei-cheng Wang, Globalization and Asian Crisis, 1999

გაცილებით რთულია გლობალიზაციის პროცესის ონტოლოგიური ანალიზი, რომელიც მისი ასპექტების\* ღრმა ინტერდისციპინარულ ჭრილში განხილვას მოითხოვს. ერთი შეხედვით, თითქოს ალოგიურია გლობალიზაციასა და ერი-სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულებაზე საუბარი, ვინაიდან ეს ორი ფენომენი ურთიერთსაპირისპირ მიმართულებით გითარდება. მაშინ, როდესაც გლობალიზაცია უნიფიკაციას, უნივერსალიზაციასა და ჰომოგენიზაციას გულისხმობს, ერი-სახელმწიფო დეცენტრალიზაციის, რეგიონალიზაციის და დიფერენციაციისა პროცესების წინაშე დგას. შესაბამისად ისმის კითხვა: არიან ისინი ურთიერთგამომრიცხავნი, თუ ქმნიან ერთიან დიალექტიკას, რომელიც სამყაროს ახალი განვითარებისაკენ მიაქანებს.

გლობალიზაციის უაღრესად რთული ბუნებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე ძალიან რთულია დაზუსტებით იმის თქმა, თუ რა კონკრეტული ცვლილებებია მოსალოდნელი მსოფლიოში. (Held et al., *Global Transformations: Politics, Economics and Culture* 1999. p.37). ამჯერად მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მომავლის პროგნოზირების ხარისხი დამოკიდებულია თანამედროვე რეალობის ზუსტ ანალიზსა და ადექვატურ ლონისძიებებზე როგორც ეროვნული მთავრობების, ისე საზოგადოებისა და საერთაშორისო ინსტიტუტების მხრიდან.

\*იგივეა რაც გლობალიზაციის განზომილებები—პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული, სამხედრო, სამართლებრივი, ეკოლოგიური, ხშირად გენეგება აგრეთვე ტერმინები: პოლიტიკური გლობალიზმი, ეკონომიკური გლობალიზმი, სამხედრო გლობალიზმი და ა.შ.

## 12. გლობალისტურ შეხედულებათა კონცეფციების პრიტიკული ანალიზი

გლობალიზაციის მკვლევართა ურთიერთგამმიჯნავი პოზიციები და შეხედულებები დევიდ ჰელდმა სამ კატეგორიად დაქო (Held, D., McGrew, A., Goldblatt, D., Perraton, J. 1999, *Global Transformations: Politics, Economics and Culture* (Cambridge: Polity) p.44)

1. პიპერგლობალისტები, რომლებიც აღიარებენ ტრანსნაციონალური კაპიტალისა და მსოფლიო ბაზრების პეგემონიას, რაც თავის მხრივ იწვევს დენაციონალიზაციასა და ტერიტორიული საზღვრების მოშლას (კენიში რმე, მ. ზაჩერი);

2. სკეპტიკოსები, რომლებიც ხაზს უსვამენ სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების აუცილებლობას და მიაჩნიათ, რომ ბაზრების რეგულირება და ბიზნესის მართვა სახელმწიფოს პრეროგატივას წარმოადგენს (პ. პირსტი, გ. ტომპსონი, ე. კეპსტეინი);

3. ტრანსფორმაციონისტები, რომლებსაც შუალედური პოზიცია უკავიათ ამ ორ უკიდურესობას შორის, და რომლებიც მსჯელობენ პროცესების ქაოტურობაზე, გლობალურ უთანაბრობაზე, ეროვნული სახელმწიფოსა და მსოფლიო პოლიტიკის ტრანსფორმაციაზე (დ. ჰელდი, ე. მაქგროუ, ი. შოლტე, ე. გიდენსი).

პიპერგლობალისტებისა და სკეპტიკოსების კამათს ენთონი მაქგროუ მცდარ ინტელექტუალურ შეხედულებათა ჭიდილს უწოდებს, (McGrew, A., (1997). *The Transformations of Democracy?*, Milton Keynes, Polity/Open University, (p. 9), რასაც მე ნაწილობრივ არ ვეთანხმები. მართალია ჩემი პოზიცია უფრო მეტად ტრანსფორმაციონისტებისაკენ იხრება, მაგრამ მრავალრიცხოვან ავტორთა შრომებში პოზიციათა გულმოდგინედ გაანალიზების შემდეგ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ შეუძლებელია ამ ორ კონცეფციათაგან რომელიმეს ცალსახად აღიარება ან უარყოფა, ცალკეულ საკითხებში მათი დამაჯერებელი თუ არადამაჯერებელი არგუმენტაციის გამო. ამ საკითხების კვლევამ და შესწავლამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა საკუთარი ანალიტიკური დასკვნები, როგორც პიპერგლობალისტური და სკეპტიკური მოძღვრებების, ისე ტრანსფორმაციონალისტური თეორიის შესახებ, რომლებიც ქვემოთ იქნება ჩამოყალიბებული.

**ცხრილი №2: გლობალისტურ შეხედულებათა სამი მოდელის შედარება**

	პიპერგლობალისტები (კენიში ომე)	სკეპტიკოსები (პ. პირსტი, გ. ტომპსონი)	ტრანსფორმაციონალისტები (დ. ჰელდი, ე. მაქგროუ, ე. გიდენსი)
რა არის ახალი?	გლობალური ერა	შედარებით მცირე საყვარე ბლოკები; უფრო სუსტი ზე-ეროვნული მმართველობა ადრინდელ პერიოდებთან შედარებით	გლობალური ურთიერთდამოკიდებულების ისტორიულად უპრეცენდენტო დონეები
რა არის გლობალური ეპონომიკის მთავარი მახასიათებელი?	გლობალური კაპიტალიზმი; გეოგრაფიული საზღვრების მოშდა; გლობალური კულტურა; გლობალური სამოქალაქო საზოგადოება	მსოფლიო უფრო ნაკლებად არის ურთიერთდამოკიდებული ვიდეო 1890-იან წლებში. მულტიეროვნული კომპანიები არ არიან ტრანსნაციონალური	"ეშირი" გლობალიზაცია; უფრო ინტენსიური და ექსტენსიური ურთიერთდამოკიდებულება
რა არის გლობალიზაციის მამოძრავებელი ძალა?	კაპიტალიზმი და ტექნოლოგია	სახელმწიფოები და მათ მიერ რეგულირებული პაზრები	სხვადასხვა პროცესთა ერთიანობა: ძალიან უწესრიგო
რა ემართება ერ-სახელმწიფოს	ეცემა და ოშლება	ძლიერდება და ოზრდება	იცვლება ძალიან უწესრიგოდ
როგორ ესმით მათ გლობალიზაცია	როგორც პიროვნული ქმედების სტრუქტურის რეორგანიზაცია	ინტერნაციონალიზაცია და რეგიონალიზაცია	ცვლილებები საერთაშორისო ურთიერთობებში (უწესრიგო)
რა არის მოსალოდნელი მომავალში?	გლობალური ცივილიზაცია	რეგიონული ალიანსების შექმნა, ცივილიზაციათა შეჯახება	გაურკვევლობა. გლობალური ფრაგმენტაცია და ინტეგრაცია
მათი მთავარი არგუმენტი	ერი-სახელმწიფოს დასასრული	ინტერნაციონალიზაცია ეყრდნობა სახელმწიფოთა მხარდაჭერასა და შეთანხმებას	გლობალიზაცია იწვევს სახელმწიფო ძალაუფლებისა და მსოფლიო პოლიტიკის გარდაქმნას

## პიპერგლობალისტური კონცეფცია

პიპერგლობალისტური მოძღვრება ძირითადად ნეოლიბერალურ და ნეომარქისტულ შეხედულებებს აერთიანებს, რომლებიც გლობალიზაციას კაპიტალიზმის განვითარების უმაღლეს სტადიად მიიჩნევენ, სადაც ერი-სახელმწიფოები ფუნქციების გარეშე რჩებიან და გლობალურ ბლოკებსა და ალიანსებში შთაინთქმებიან. ამასთანავე, საზოგადოების სულ უფრო დიდი ჯგუფები ხდებიან სოციალური დაუცველობის მსხვერპლი, ვინაიდან მთავრობის შესაძლებლობები აღარ არის საკმარისი მათი მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. დიდი ბრიტანეთის ყოფილი ფინანსთა მინისტრი, დენის ჰილი, მიანიშნებს აგრეთვე გარიყელი და გაუცხოებული საზოგადოებრივი ფენების უკმაყოფილებაზე, საერთაშორისო დანაშაულისა და ტერორიზმის პრობლემებზე, რომელთა მოგვარება აღმატება ეროვნული მთავრობის შესაძლებლობებს. (A precis of an article in by Dennis Healey, former Chancellor of the Exchequer and Foreign Secretary in The Sunday Times, 5 March 1995. pp. 64-65).

კენიში ომეს აზრით, ბაზრების განვითარება და ეკონომიკური რეგიონალიზმი ზღუდავენ ერი-სახელმწიფოს ფუნქციებს და ასუსტებენ მას. (Ohmae, K., *The Borderless World, Rev Ed: Power and Strategy in the Interlinked Economy*, HarperBusiness. pp.8-12). მისივე აზრით ერი-სახელმწიფო შესაძლოა ჩაანაცვლოს ქალაქმა-სახელმწიფოებმა, მაგალითად პონქონგმა, ბარსელონამ, ნიუ-იორქმა ან ლონდონმა.

პიპერგლობალისტები უმთავრესად შეიარაღებულნი არიან იმ არგუმენტაციით, რომ ტრანსნაციონალური ბიზნესი, აფართოებს რა თავის გეოგრაფიულ არეალს, ხდება ერი-სახელმწიფოს ტერიტორიულ საზღვრებში არსებული საკუთრების—ეროვნული საკუთრების მფლობელი.\* ტრანსნაციონალური კორპორაციები ყიდულობენ სამრეწველო ობიექტებს, უძრავ-მოძრავ ქონებას, ბუნებრივ რესურსებს, ქირაობენ ადგილობრივ მუშახელს, რის შედეგადაც ადგილობრივი სიმდიდრე გადადის უცხო კერძო მესაკუთრის ხელში.

\* ეროვნულ საკუთრებას წარმოადგენს სახელმწიფოს ტერიტორიულ საზღვრებსა და მის ფარგლებს გარეთ არსებული სამთავრობო, კერძო თუ არასამთავრობო სექტორების საკუთრებაში მყოფი ქონება. (აგზ.)

აქ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ნებისმიერი ტრანსნაციონალური კომპანია წარმოადგენს არა რაიმე კოსმოპოლიტურ წარმონაქმნს, არამედ იგი გამოხატავს კონკრეტული ქვეყნის ბიზნეს ინტერესს გლობალურ სივრცეში. ამიტომ ტრანსნაციონალური კომპანიის შემოსავალი და მის საკუთრებაში არსებული ქონება (ისევე, როგორც თავად ეს კომპანია) წარმოადგენს იმ ქვეყნის მთლიანი ეროვნული პროდუქტის\* შემადგენელ ნაწილს, სადაც ეს კომპანია არის დაუუძნებული. ტრანსნაციონალური კომპანია წარმოადგენს კონკრეტული ქვეყნის ბიზნესს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიულ სივრცეში. შედეგად ხდება ადგილობრივი, სუსტი ბიზნესის შთანთქმა უფრო ძლიერი, გლობალურის მიერ, რაც ნიშნავს ძლიერი სახელმწიფოს უფრო მეტად გამდიდრებას და სუსტის უფრო მეტად გადარიბებას. უაზრობა იქნებოდა იმის თქმა, რომ კოპა-კოლასა და მაკდონალდის ბიზნესი არ გამოხატავს ამერიკულ ინტერესებს, ან ტოიოტას ტრანსნაციონალური ექსპანსია ხელს არ უწყობს იაპონიის ეკონომიკურ მდგრადობას.

მე ვეთანხმები იმ აზრს, რომ, თანამედროვე გლობალიზაციის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ეკონომიკა, რომლის დროსაც ერთ ცალკეულ სახელმწიფოს არ შესწევს ტრანსნაციონალური კაპიტალის, მულტიეროვნული ბიზნესის, განსაკუთრებით ფინანსებისა და საბანკო სისტემების რეგულირების უნარი. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ჩემთვის რთულია პიკერგლობალისტთა უკიდურესად ხისტი შეხედულებების გაზიარება ერთ-სახელმწიფოს აღსასრულთან დაკავშირებით. მათი უმრავლესობა გლობალიზაციის პროცესში ერთ-სახელმწიფოს განიხილავს მხოლოდ კაპიტალის ტრანსნაციონალიზაციისა და მხოლოდ ბაზრების ინტეგრაციის კონტექსტში, რაც ჩემი აზრით მოკლებულია დამაჯერებლობას.

ომეს ნაშრომთა გულმოდგინეთ გაანალიზების შემდეგ, ჩემი უურადღება მიიპყრო ერთმა საინტერესო დეტალმა. იგი გლობალიზაციის პროცესს განიხილავს მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის ჭრილში და კონცენტრირებას ახდენს ტრანსნაციონალური ბიზნესის მარკეტინგულ სტრატეგიაზე,\*\* ხოლო სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ ინსტიტუტებს მნიშვნელოვან ძალებად არ

\* Gross National Product (GNP)— ეკონომიკური ის რაც წარმოებულია მოქალაქეების, კორპორაციების და მთავრობების მიერ ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ ერთი წლის განმავლობაში

\*\* ომეს 3 C-ს სტრატეგიული მოდელი (company, customer, competition) აღიარებულია თანამედროვე ბიზნესის ერთეულ უმთავრეს პარადიგმად

მიიჩნევს. ჩემი აზრით, აქ აუცილებელი ხდება გარკვეული საკითხების დაზუსტება. პირველ რიგში, ტრანსნაციონალური ბიზნესი ეს არის ეროვნული ბიზნესის ფუნქციონირება გლობალურ გარემოში, რომელიც საყრდენს აცლის იმ სუსტი განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკას, რომელშიც ის თპერიოდებს. მაგრამ იმავდროულად, იგი მდგრადს ხდის იმ ინდუსტრიული სახელმწიფოთა სიძლიერეს, რომელთა წიაღშიც მას ფესვები აქვს გადგმული. ძლიერი ინდუსტრიული ქვეყნები ახერხებენ იმას, რომ პოლიტიკა და ბიზნესი ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს დაუქვემდებარონ, სუსტი სახელმწიფოები კი გადარჩენის მიზნით ცდილობენ სხვადასხვა ბლოკებსა და ალიანსებს შეაფარონ თავი.

### **სკეპტიკური კონცეფცია**

სკეპტიკური პოზიციის პროპონენტი, გაზეთ *Financial Times*-ის ეკონომიკური ექსპერტი მარტინ ვულფი გლობალიზაციას მიუღწევს დანიშნულების ადგილამდე—გლობალიზებულ მსოფლიომდე მოგზაურობას უწოდებს. (Wolf, Martin., Will the Nation-State Survive Globalization? From *Foreign Affairs*, January/February 2001. pp3-4.). მისი აზრით, თანამედროვე ეტაპზე თუ რაიმე მნიშვნელოვანი შეინიშნება, ეს არის რეგიონალიზაცია, რომელიც იმართება განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების მიერ, და რომელსაც არაფერი აქვს საერთო ფართოდ აუტირებულ გლობალიზაციასთან.

სკეპტიკური თეორიის ყველაზე გამორჩეული წარმომადგენლის, ბირბეგის კოლეჯის (ლონდონის უნივერსიტეტი) პროფესორის, პოლ ჰირსტის განმარტებით, გლობალიზაცია წარმოადგენს კომერციული ლიბერალიზმის საერთაშორისო სისტემის უწყვეტ განვითარებას, სადაც სისტემა რჩება ეროვნებათშორისი (*inter-national*) და არა გლობალური, და სადაც თამაშის წესებს კარნახობენ განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნები. (Hirst, P., *Globalization and the Nation State*, SEF-Symposium 2002 pp.9-12). მისივე აზრით, გლობალიზაცია არის მითი და იდეოლოგია, რაც გულისხმობს დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების პეგემონიას მსოფლიო პოლიტიკაში. გლობალური ეკონომიკა, რომელიც დაფუძნებულია საზღვრებს გარეთ არსებულ საბაზრო ძალებზე, არ არის განვითარებული, და

მიგრაციული პროცესებიც უპრეცენდენტო ეროვნულ კონტროლს ექვემდებარებიან.

გვიქრობ, რომ ეს კონცეფცია საფუძველს არის მოკლებული, ვინაიდან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და უახლესი საკომინიკაციო სისტემების განვითარების შედეგად თანამედროვე მსოფლიო არასდროს ყოფილა ისე გლობალიზებული და ურთიერთდამოკიდებული, როგორც ამჟამად.

მე ვეთანხმები პროფესორ პირსტს იმ ასპექტში, რომ განვითარებული ინდუსტრიული სახელმწიფოები კვლავაც დიდ როლს თამაშობენ გლობალურ ეკონომიკურ მმართველობაში. აგრეთვე ვიზიარებ მის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ქვეყნების მიერ ჩამოყალიბებული ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუციონალური სისტემა მათსავე ინტერესების განხორციელებისათვის იყო გამიზნული. მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია იმის აღნიშვნაც, რომ სკეპტიკოსები გვერდს უვლიან ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომლის თანახმადაც საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ განვითარებადი ქვეყნებისათვის შემუშავებულმა ნეოლიბერალურმა გეგმამ (რომელსაც დევიდ ჰელდი მზაკვრულს უწოდებს) საშუალება მისცა განვითარებულ მსოფლიოს მისთვის სასარგებლო, ასიმეტრიული სავაჭრო სივრცის პირობებში მიედწია მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდადობისათვის. შედეგად, ამ ასიმეტრიულმა სავაჭრო ეკონომიკურმა კლიმატმა და არაჯანსაღმა კონკურენციამ უფრო მეტად გააღრმავეს გლობალური უთანაბრობა და ეკონომიკური დისბალანსი ამ ორ სამყაროს შორის.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1940-იანი წლების ბოლოს, ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუციონალური სისტემის შემქმნელ ერ-სახელმწიფოებს წარმოდგენაც არ შეეძლოთ იმის შესახებ, თუ რა მასშტაბებს მიაღწევდნენ ეკონომიკური, სამრეწველო, სავაჭრო და საინფორმაციო-ტექნოლოგიური პროცესები. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, განვითარებული ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოები თავადაც დადგნენ გლობალური—სოციალური, ეკოლოგიური და ტერორიზმის პრობლემების წინაშე.

საერთაშორისო ბიზნესი და ტრანსნაციონალური კაპიტალი მოითხოვენ საკანონმდებლო სივრცის უზრუნველყოფას ტერიტორიულ სივრცეში, რაც თავის მხრივ მთავრობის პრეოგატივას წარმოადგენს. სკეპტიკოსი ანალიტიკოსები ამ რეალობის საფუძველზე აყალიბებენ კონცეფციას, რომ ვინაიდან ბაზრებს არ შესწევთ მართვის უნარი, საერთაშორისო ეკონომიკა

საჭიროებს სახელმწიფო სექტორის პოზიციების განმტკიცებას. პროფესორ ჰირსტის მოსაზრებით, ეროვნული კანონმდებლობა ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო ბაზრებზე, იგი უზრუნველყოფს სატარიფო და საგადასახადო სისტემას, რაც ხაზს უსვამს სახელმწიფოს სიძლიერეს. (Hirst, P., *Globalization and the Nation State*, SEF-Symposium 2002. p.23.). ეს პოზიცია, ჩემი აზრით, სუსტად არგუმენტირებულია შემდეგი ფაქტორების გამო:

1. გლობალიზაცია წარმოადგენს კაპიტალიზმის განვითარების უმაღლეს სტადიას, რომლის დროსაც ტრანსნაციონალური კაპიტალი და ბაზრები სერიოზულ ზეგავლენას ახდენენ ეროვნულ პოლიტიკაზე. ამდენად, საერთაშორისო ეკონომიკა კი არ საჭიროებს სახელმწიფო სექტორის განმტკიცებას, არამედ იგი ავიტროებს ამ უკანასკნელს. ამ ფონზე, კერძო ბიზნესისათვის საკანონმდებლო კლიმატის უზრუნველყოფა ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, რაც ეკონომიკური აუცილებლობით არის ნაკარნახევი. სახელმწიფო კი არ ადგენს თამაშის წესებს, ის თავისთავად ხდება ამ თამაშის მონაწილე.

2. ქვეყნის სიმდიდრეს ქმნის არა გადასახადები, არამედ წარმოება და ბიზნესი. მოწესრიგებული საგადასახადო სისტემა ხელს უწყობს მხოლოდ ბიუჯეტის შევსებას იმპორტიდან მიღებული შემოსავლებით, კონკურენტუნარიანობის სტრატეგია კი დამოკიდებულია ექსპორტის მოცულობაზე. ჰირსტის პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით აბათილებს მაიკლ პორტერის ‘ალმახის სტრატეგიის’ მოდელი.

3. გლობალიზაცია ხელს უწყობს ინტეგრაციას, რაც თავის მხრივ წარმოშობს და აფართოებს რეგიონალურ და გლობალურ სტრუქტურებს მულტიეროვნული მმართველობითი ინსტიტუტების სახით, რომლებიც ცდილობენ უზრუნველყონ საერთაშორისო კანონმდებლობის პარმონიზაცია და პოლიტიკურ-სამართლებრივი კლიმატი.

4. თანამედროვე დემოკრატია მოითხოვს დეცენტრალიზაციას, რომლის შედეგად, ხელისუფლების დელეგირება ხდება ცენტრალურიდან ადგილობრივ მმართველ სტრუქტურებზე, რაც სერიოზულად აძლიერებს ამ უკანასკნელის როლს და ასუსტებს ცენტრალური მთავრობის პოზიციებს. იმავდროულად, სულ უფრო აშკარა ხდება ძალაუფლების გადანაწილება ცენტრალური ხელისუფლებიდან კერძო და არასამთავრობო სექტორებზე, და

სახელმწიფო უნივერსიტეტი პოლიტიკა წარმოადგენს ამ სამი სექტორის ერთიანი ურთიერთქმედების პროდუქტს.

### **ტრანსფორმაციონისტური პროცესი**

ტრანსფორმაციონისტების აზრით, გლობალიზაცია წარმოადგენს სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების უკან მდგარ ცენტრალურ მამოძრავებელ ძალას, რომელიც იწვევს თანამედროვე საზოგადოებისა და მსოფლიო წესრიგის გარდაქმნას. (Giddens, A. (1990), *Runaway World: How Globalization is Reshaping Our Lives*, Cambridge, Polity. P. 42). ამ შეხედულებათა პროპრენტები, გლობალიზაციის თანამედროვე პროცესს მიიჩნევენ ისტორიულად უპრეცენდენტო მოვლენად, რომლის დროსაც მთავრობები და საზოგადოებები ცდილობენ შეეწყონ ისეთ მსოფლიოს, რომელშიც არ არსებობს მკვეთრი საზღვარი ეროვნულ და საერთაშორისო ურთიერთობებში. ენტონი გიდენსისათვის გლობალიზაცია წარმოადგენს გიგანტურ მატრანსფორმირებელ ძალას, რომელიც იწვევს ძირებს ეკონომიკაში, მმართველ ინსტიტუტებში, მსოფლიო წესრიგსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. (Giddens, A. (1990), *Runaway World: How Globalization is Reshaping Our Lives*, Cambridge, Polity .p 53).

სკეპტიკური და პიპერგლობალისტური პოზიციებისაგან განსხვავებით, ტრანსფორმაციონისტებს არ გააჩნიათ მომავლის პროგნოზირების პრეტენზიები, ვინაიდან ზემოთ აღნიშნული ძირეული ძვრები ქაოტურად მიმდინარეობს და მრავალ გაურკვევლობასთან არის დაკავშირებული. ისინი არც აწმუნებ განიხილავენ ერთ რომელიმე ‘იდეალური’ განზომილების პონტუქსებში, და ამის სანაცვლოდ გლობალიზაციას, წინააღმდეგობებით აღსავს ისტორიულ პროცესად მიიჩნევენ, რომელიც მრავალწახნაგოვან ჭრილში გაანალიზებას მოითხოვს.

ვირტუალურად, მსოფლიოს ყველა ქვეყანა და საზოგადოება წარმოადგენენ დიდი გლობალური სისტემის ერთიან შემადგენელ ნაწილებს, რომლებიც არ არიან თანხვედრადი და ‘უცორმის’ სტადიაში იმყოფებიან. ამასთანავე, გლობალიზაცია ასოცირდება გლობალური სტრატიგიკაციის ახალ მოდელებთან, რომელშიც ზოგიერთი სახელმწიფო და საზოგადოება კარგად ახდენს ადაპტირებას, ზოგიერთი კი იზოლირებული რჩება. ინკლუზიურობა და ექსკლუზიურობა იწვევენ პოლარიზაციასა და ასიმეტრიულობას, რის

შედეგადაც სუსტები და უმწეოები გლობალური თამაშიდან გარიყელნი რჩებიან და განიცდიან მარგინალიზაციას. მხოლოდ მდგრადი ინდუსტრიული სახელმწიფოები ახერხებენ სრული სუვერენული ძალაუფლების შენარჩუნებას და ცვალებადი ისტორიული რეალობის მიმართ ადაპტირებას.

უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ საკითხებში შეინიშნება ტრანსფორმაციონისტთა და პიპერგლობალისტთა შეხედულებების თანხვედრა, მაგრამ ეროვნული მთავრობის ხელისუფლების გარდაქმნის საკითხთან დაკავშირებით ტრანსფორმაციონისტები უგულებელყოფენ ოპონენტთა რიტორიკას, რომ სახელმწიფო ადარ იარსებებს.

პიპერგლობალისტური და სკეპტიკური კონცეფციებისაგან შედარებით, ტრანსფორმაციონისტურ კონცეფციას უფრო არგუმენტირებულად მივიჩნევ იმ გარემოების გამო, რომ დღევანდელ სწრაფად ცვალებად მსოფლიოში აუცილებელი ხდება პრობლემებისადმი კომპლექსური მიდგომა და მოვლენების რაციონალური ანალიზი.

### 13. გლობალიზაციის წარმმართველი და მამოძრავებელი ძალები

გლობალიზაცია არ იქნებოდა ასეთი ინტენსიური და დინამიური, რომ არა მისი მთავარი წარმმართველი და მამოძრავებელი ძალები, რომლებმაც იგი თანამედროვე კაპიტალიზმის ნეოლიბერალურ მოდელად აქციეს. ამ ძალებს წარმოადგენენ საზღვარმკვეთი სისტემები, რომელთა კონტროლიც ერთ, ცალკეულ სახელმწიფოს არ ძალუდს. ეს ძალებია: ვაჭრობა, ფინანსები, მომსახურება, საკომუნიკაციო სისტემები, ტრანსპორტი, გარემო, მედია.

პროტექციონიზმი, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დამკვიდრდა, გახდა ლიბერალიზაციის\* მთავარი საყრდენი ინდუსტრიული სახელმწიფოებისათვის. ამ მიზანს ემსახურება მსოფლიო სავჭრო ორგანიზაცია, რომლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირება.

\* ლიბერალიზმი (ფრანგ. libéralisme) — იდეოლოგია, ფილოსოფიური შეხედულება და პოლიტიკური ტრადიცია, რომლის მიხედვით თავისუფლება ძირითადი პოლიტიკური დირქებულებაა.

ვაჭრობის ლიბერალიზაციასთან ერთად, განვითარებული ქვეყნებიდან დაიწყო მსხვილი ინვესტიციების დინება განვითარებადი ქვეყნებისაკენ, რომელთა სუსტი ეკონომიკა მოითხოვდა მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებებს. ამის განხორციელება კი შესაძლებელი იყო ტრანსნაციონალური კომპანიების მეშვეობით, რომლებმაც არა მარტო შეარყიეს ერი-სახელმწიფოების საზღვრები, არამედ სერიოზული გამოწვევა გამოუცხადეს მათ.

თანამედროვე ეტაპზე, თანდათანობით ხდება ადგილობრივი სამრეწველო ობიექტების შერწყმა ტრანსნაციონალურ ბიზნესთან, რომელიც მოიცავს ტექნოლოგიის დიზაინს, მეცნიერულ კვლევებს, პროდუქციის წარმოებას, მიწოდებასა და დისტრიბუციას, რაშიც უაღრესად დიდ როლს თამაშობენ სატელიტური კავშირები, უახლესი სატრანსპორტო საშუალებები და მედია. ურთიერთდამოკიდებულება ამ ძალებს შორის სრულიად ნათელია: ვაჭრობის გაფართოება ქმნის დამატებით მოთხოვნას ფინანსებზე, ტრანსპორტსა და კომუნიკაციებზე. იმავდროულად, ინტერნეტისა და მობილური სატელეფონო სისტემების დანერგვა მკვეთრად ზრდის პროდუქტიულობას.

ელექტრონულმა კომერციამ გადატრიალება მოახდინა თანამედროვე ბიზნესში. ინტერნეტის საშუალებით დამყარებული კავშირი მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის აღარ საჭიროებს დილერებს, რაც მნიშვნელოვნად აიაფებს მომსახურებას და ინტენსიურს ხდის სავაჭრო ურთიერთობებს მულტიკონტინენტალურ სივრცეში. ელექტრონული კომუნიკაცია საშუალებას აძლევს ადამიანებს ოცდაოთხი საათის განმავლობაში, ნებისმიერ დროს გადარიცხონ თანხა ნებისმიერ ადგილზე, შეუკვეთონ და შეიძინონ მათთვის სასურველი პროდუქტი. ადამიანები ისწრაფვიან სოციალური კომფორტისაკენ, ამიტომაც ისინი სწრაფ ადაპტირებას ახდენენ ტექნოლოგიური სიახლეების მიმართ და იქმაყოფილებენ მოთხოვნილებებს, რის შედეგადაც ტრადიციულ გეოგრაფიულ საზღვრებში მოქცეული ბიუროკრატიული ბარიერები მათთვის არარელევანტური ხდება.

გლობალიზაციის არსის ნათლად გაშუქებისათვის მნიშვნელოვანია ტრანსნაციონალური კორპორაციების ანალიზი. ტრანსნაციონალური კორპორაცია, წარმოადგენს კერძო ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს წარმოებასა და ბიზნესს იმ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, სადაც იგი არის დაფუძნებული, სულ მცირე ორ ქვეყანაში დაფუძნებული ფილიალების ან ადგილობრივი პარტნიორი კომპანიების მეშვეობით. ტრანსნაციონალური

კორპორაციები დებენ ინვესტიციებს უცხო ქვეყნების ეკონომიკაში, რაც გამოიხატება როგორც ადგილობრივი კომპანიების შესყიდვაში, ისე ახალი წარმოების ან მომსახურების საქმიანობის განხორციელებაში.

ტრანსნაციონალურმა კომპანიება საკუთარი ბიზნეს ოპერაციების წარმართვა ქვეყნის ფარგლებს გარეთ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე დაიწყეს. მათი მიზანი იყო დაეზოგათ საკუთარი ქვეყნის ნედლეული მასალები, ბუნებრივი რესურსები, და ინვესტიციები ჩაედოთ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში. ჯერ კიდევ 1907 წელს ვუდრო ვილსონი აცხადებდა: “ვინაიდან ვაჭრობა ახდენს ეროვნული საზღვრების იგნორირებას, მეწარმე ცდილობს მსოფლიო ბაზრად აქციოს. იგი არის ეროვნული მედროშე, რომელსაც საკუთარმა სახელმწიფომ მხარი უნდა აუბას, ხოლო იმ სახელმწიფოთა კარები, რომელიც დახშული იქნება მისთვის, უნდა დაიმსხვრეს.” (The Papers of Woodrow Wilson, Volume 17: 1907-1908). ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1953 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სხვა პრეზიდენტი დუაიტ ეიზენჰაუერი თითქმის იგივეს იმეორებდა: “ჩვენი საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს შევქმნათ ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი უცხოურ ტერიტორიულ საზღვრებში”. (Krieg, Joann P. ed. Dwight D. Eisenhower, Soldier, President, Statesman (1987).

1990-იან წლებში ამ ინვესტიციების მასშტაბი გასცდა კონკრეტულ ქვეყნებსა და რეგიონებს და მთელი საკონტინენტო შორისო სივრცე მოიცვა. ტრანსნაციონალური კომპანია წარმოადგენს მსხვილ ბიზნესს, რომელიც დაფუძნებულია განვითარებულ ქვეყანაში. მსოფლიოს 500 ‘იდელიან’ მულტიეროვნულ კომპანიათაგან, ნახევარზე მეტი დაფუძნებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1/6 იაპონიაში, 1/10 კი ინგლისში (Forbes International, 2005). 1980-იანი წლებიდან სწრაფად იზრდება ახალ ინდუსტრიული განვითარებადი ტერიტორიებიდან წამოსული ტრანსნაციონალური ბიზნესი. მათ რიცხვს მიეკუთვნება მაღაიზია, სინგაპური, სამხრეთ კორეა, პონეკონგი.

ნებისმიერი ტრანსნაციონალური კომპანია წარმოადგენს კონკრეტული ქვეყნის ბიზნესის ექსანსირებას საერთაშორისო და გლობალურ დონეზე. ამიტომ ტრანსნაციონალიზაცია ნიშნავს არა მის კოსმოპოლიტიზაციას, არამედ ბიზნეს არგალის გაფართოებას გლობალურ სივრცეში. ტრანსნაციონალური კომპანიის შემოსავალი წარმოადგენს იმ ქვეყნის მთლიანი ეროვნული პროდუქტის შემადგენელ ნაწილს, სადაც ეს კომპანია არის

დაფუძნებული. ტრანსნაციონალური კომპანია წარმოადგენს კონკრეტული ქვეყნის ბიზნესს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიულ სივრცეში. შედეგად ხდება ადგილობრივი, სუსტი ბიზნესის შევიწროება უფრო ძლიერის მიერ, რაც ნიშნავს ძლიერი სახელმწიფოს უფრო მეტად გამდიდრებას და სუსტის უფრო მეტად გადარიბებას.

ტრანსნაციონალური კორპორაცია კლასიფიცირდება სამი კატეგორიის მიხედვით:

- **პრიზონერული ინტეგრირებული—ბიზნესის მართვა სხვადასხვა ქვეყნებში, რომლის მიზანია იგივე ან მსგავსი პროდუქციის/მომსახურების წარმოება;**
- **კერტიკალური ინტეგრირებული—ბიზნესის მართვა კონკრეტულ ქვეყანაში ან ქვეყნებში, რომლის მიზანია პროდუქციის/მომსახურების წარმოება და დამკვიდრება იმ გეოგრაფიულ სივრცეში;**
- **დივერსიფიცირებული—ბიზნესის მართვა სხვადასხვა ქვეყნებში ახალი პროდუქციის/მომსახურების დანერგვის მიზნით.**

კონკურენცია აიძულებს ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, რომ იმუშაონ მაქსიმალურ მოგებაზე და დაიპყრონ ბაზრები. ეს ნიშნავს იმას, რომ მათ უნდა დახარჯონ მინიმალური კაპიტალი და მიიღონ გაცილებით მეტი მოგება. ამიტომაც მათ ურჩევნიათ თავიანთი საქმიანობა წარმართონ ისეთ ქვეყნებში, სადაც მუშახელი და ბუნებრივი რესურსები გაცილებით იაფია. საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად, ეს კომპანიები შეიარაღებულნი არიან ძლიერი ულტრა-თანამედროვე საკადრო, საინფორმაციო და ტექნოლოგიური რესურსებით, რომლებსაც სუსტი ეროვნული მთავრობები კონკურენციას ვერ უწევენ. შედეგად, ხელისუფლება, კვალიფიცირებული ექსპერტების დეფიციტის, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის და პირადი დაინტერესების გამო, მიღის მთელ რიგ სახელმწიფოებრივ დათმობებზე და აფორმებს კაბალურ კონტრაქტებს, რათა მიიღოს თუნდაც მინიმალური სარგებელი ტარიფების, ტექნოლოგიური ექსპერტიზის, ტექნიკური აღჭურვილობის, საინვესტიციო კაპიტალისა ან სხვა სახით.

ეროვნულ მთავრობები, ექცევიან რა ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და საბანკო სტრუქტურების ზეგავლენის ქვეშ, ამ უკანასკნელთ სთავაზობენ თავისუფალ სატარიფო სივრცეს, რაც ამცირებს

შემოსავლებს ბიუჯეტში და სერიოზულ დარტყმას აყენებს სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკას.

მსოფლიო ბაზარზე ტრანსნაციონალური კორპორაციები აგრეთვე აკონტროლებენ საერთაშორისო ვაჭრობას მსოფლიო ბაზარზე და ლიდერებად არიან მიჩნეულნი კომერციული მნიშვნელობის მქონე ინოვაციების წარმოებაში, რომელიც მოიცავს ახალ ტექნოლოგიებს, პროდუქტებს და ახალ ორგანიზაციულ ფორმებს. ეს მათ საერთაშორისო ტექნოლოგიების გავრცელების მძლავრ ბერკეტებს აძლევს. მკვლევართა ნაწილი მიუთითებს უარყოფით დამოკიდებულებას პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ძირითადი ეროვნული კაპიტალის ჯამურ ფაქტორთა პროდუქტიულობას შორის. თუმცა ბ. ქსუმ, კვლევაში, რომელიც 40 ქვეყანას მოიცავდა, აღმოაჩინა პოზიტიური დამოკიდებულება პროდუქტიულობის ზრდასა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის. (Xu, B. (2000), ‘Multinational Enterprises, Technology Diffusion and Host Country Productivity Growth’, *Journal of Development Economics*, 62: 2, pp. 477–493).

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზეგავლენა პროდუქტიულობაზე უფრო ძლიერი და აქტიურია მოწინავე ქვეყნებისათვის, ვიდრე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის. განვითარებადი ქვეყნების მიერ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, ლიბერალიზაციის პოლიტიკის მეშვეობით კონტროლის სისტემების გაუქმებას დიდი დახმარება არ გაუწევია მათი საინოვაციო პორენციალის ამოქმედებისათვის.

მხოლოდ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსებობა, რა თქმა უნდა, საგრძნობლად ვერ შეცვლის ტექნოლოგიური ცოდნის მდგომარეობას და მისგან გამომდინარე მოგებას, სანამ განვითარებადი ქვეყნები არ მიაღწევენ ტექნოლოგიის ათვისების, ადაპტირების, დაუფლების და გაუმჯობესების ზრდას. ამიტომაც არის, რომ მრავალი განვითარებადი ქვეყნის მიერ ინოვაციური შესაძლებლობებისა და უნარების არ ქონის შემთხვევაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ინიციატივებიდან შემოსული მოგება მიედინება განვითარებულ ქვეყნებში.

## 14. გლობალური მმართველობა

ამჟამად სულ უფრო ხშირად საუბრობენ სუპრა-ორდინარული სისტემის შექმნაზე, რომელსაც ხელ-ეწითება დაარეგულიროს თანამედროვე გლობალური პრობლემები, როგორიცაა გლობალური უთანაბრობა, ეკოლოგიური პრობლემები, განვითარებადი ქვეყნების დისკრიმინაცია და სხვ.

პოლიტიკური თვალსაზრისით, გლობალური მმართველობის კონცეფციის ჩამოყალიბებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია და მას საფუძვლად უდევს კანონის უზენაესობა, საერთაშორისო წესრიგი და მსოფლიოში მშვიდობის დამყარება. ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში, ინგლისელი ფილოსოფოსი თომას პობსი არგუმენტირებულად მსჯელობდა იმის შესახებ, რომ ადამიანები უნდა დამორჩილებოდნენ საყოველთაო კანონსა და საერთო ძალაუფლებას, რათა კაცობრიობას მშვიდობიან თანაარსებობაში ეცხოვრა. მოგვიანებით ეს იდეა განვითარებს მე-18 საუკუნის ფილოსოფოსებმა ჟან ჟაკ რუსომ საფრანგეთში და იმანუილ კანტმა გერმანიაში. მე-20 საუკუნის დასაწყისში, პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, შეიქმნა ერთა ლიგა, რომელიც მოწოდებული იყო ხელი შეეწყო თვითგამორკვევის პრინციპებისათვის, კოლექტიური უსაფრთხოებისა და მშვიდობისათვის და შეიარაღების შემცირებისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელმა პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა მოუწოდა სახელმწიფოებს ძალისმიერი ურთიერთობების დასრულებისაკენ და ამის სანაცვლოდ შესთავაზა საერთო პრინციპებისა და იდეების გარშემო ერთა ლიგაში გაერთიანება. თუმცა, მიუხედავად ვილსონის მცდელობისა, აშშ-ს კონგრესმა უარი განაცხადა ხელშეკრულების რატიფიცირებაზე.

გლობალიზაციის ეპოქაში მსოფლიო პოლიტიკა სუვერენული სახელმწიფოებრიობის ძირები პრინციპებს ადარ ეფუძნება, და ვინაიდან ტრანსნაციონალური კაპიტალი, ბაზრები და კომუნიკაციები ველარ კონტროლირდება ცალკეულ ტერიტორიულ საზღვრებში, დგება საკითხი ზესახელმწიფოებრივი, ანუ სუპრანაციონალური მმართველობის შემოღების თაობაზე.

ჯერ კიდევ 1962 წელს, პარგარდის უნივერსიტეტის ემერიტუსი დანიელ ბელი თავის მონოგრაფიაში—“იდეოლოგიის დასასრული”, აღნიშნავდა რომ სახელმწიფო მეტისმეტად მცირეა გაუმკლავდეს დიდ პრობლემებს, და

მეტისმეტად დიდი რომ შეძლოს მცირე პრობლემების გადაჭრა. (Bell, D., *The End of Ideology: On the Exhaustion of Political Ideas in the Fifties, with "The Resumption of History in the New Century"*, 1962. p. 52),

ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის პროფესორი, რომ სიმერლი გლობალური მმართველობის აუცილებლობას იმ შექმნილი სახელისუფლებო გაკუუმით ხსნის, რომელიც ერთ-სახელმწიფოს არაქმედითუნარიანობის შედეგად შეიქმნა. (Simerly, Roy L. The global economy and the new role of governments. B>Quest 2000, <http://www.westga.edu/~bquest/2000/global.html>). სუპრანაციონალიზმის ძირითად კონცეფციას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სახელმწიფოები უძლურნი ხდებიან გაუმკლავდნენ ძალებს, რომლებიც ვერ ექცევიან მათ ტერიტორიებში, და მხოლოდ გაერთიანებისა და ერთიანი ძალისხმევის შედეგად შეძლებენ ისინი გადაჭრან გლობალური პრობლემები. ამავე დროს, გაეროს მსგავს ახალ და უკვე არსებულ მსოფლიო მასშტაბის ორგანიზაციათა ამოცანებიც გაფართოვდა. მართლაც, მათი ინიციატივებისა და გავლენის ზრდის ფონზე, საერთაშორისო ორგანიზაციებს შესაძლებელია გლობალური მმართველობის უწყებები ეწოდოს.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავისი არსებობის მანძილზე, გაერო ურთელესი პრობლემების წინაშე დგას კონფლიქტების მოგვარების საკითხებთან დაკავშირებით. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ უშიშროების საბჭოში მუდმივი წევრებისა და ვეტოს უფლების ხუთ წევრზე დაყვანა, ისევე როგორც კვოტებზე დაფუძნებული ხმის მიცემის სისტემა საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკში, სადაც წევრ სახელმწიფოთა ერთი მეოთხედი ხმათა სამ მეოთხედს აკონტროლებს, უსამართლო და არადემოკრატიულია.

ზესახელმწიფოებრივი რეგულირების ზრდა ძალიან ფართო სპექტრს მოიცავს. მაგალითად, მაკროეკონომიკური პოლიტიკის სფეროში, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაშ (OECD) 1960-იანი წლებიდან გამოსცა გავლენიანი დირექტივები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები, სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფოს ხარჯების შეკვეცა, სამუშაო ადგილების შექმნა და ტრანსნაციონალური კორპორაციების ქცევის კოდექსი. 1979 წლიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა ლიკვიდურობისა და განვითარების თავის ისედაც მნიშვნელოვან ფუნქციებს დაუმატეს შორს

მიმავალი სტაბილიზაციის პოლიტიკა და სტრუქტურულ ცვლილებათა პროგრამები 100-მდე ქვეყანაში. განვითარებულ ქვეყნებში გაიგზავნენ ამ საერთაშორისო ინსტიტუტების ოფიციალური წარმომადგენლები. 1995 წელს დაარსებული მსოფლიო საგაჭრო ორგანიზაცია უფრო ფართო სამოქმედო ასპარეზითა და არსებითად მეტი ძალაუფლებით სარგებლობს, ვიდრე მისი წინამორბედი "ზოგადი შეთანხმება ტარიფებისა და კაჭრობის შესახებ." იმავდროულად, საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანქმა 1970-იანი წლების შემდეგ სანებიდან გლობალურ საფინანსო ბაზრებზე გარკვეული კონტროლი დააწესა.

რაც შეეხება ელექტრონულ მედიას, საერთაშორისო ტელეკომუნიკაციო კავშირის მიერ დადგენილ ტექნიკურ სტანდარტთა სახელმძღვანელო დღეისათვის 10000 გეგმა აღწევს. როგორც ზემომოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ხელისუფლების წევრებმა და მოქალაქეებმა ერთნაირად აღიარეს, რომ სახელმწიფოთა ტერიტორიულ მმართველობას არ შეუძლია იმ ფეხომენების აღექვატურად გაკონტროლება, რომლებიც დაკავშირებულია თანამედროვე საინფორმაციო, საკომუნიკაციო და შეიარაღების ტექნოლოგიებთან, გლობალურ ეკოლოგიურ ცვლილებებთან, გლობალურ ბაზრებთან და ა.შ.

რა თქმა უნდა, ზესახელმწიფოებრივ მმართველობას საგრძნობი შეზღუდვები გააჩნია. საერთაშორისო სამართალი ჯერ კიდევ დაუხვეწელია სხვადასხვა სფეროში, მათ შორის კონკურენციის პოლიტიკაში, შრომის სტანდარტებსა და შეიარაღებაზე კონტროლში. გარდა ამისა, გლობალური მმართველობის ინსტიტუტთა უმრავლესობა არასათანადო კადრებითაა დაკომპლექტებული და მუდმივად განიცდის დაფინანსების ნაკლებობას. უწევებათა შორის სუსტი კოორდინაცია და გადაწყვეტილებათა აღსრულების არაეფექტურობა პრობლემებს უქმნის გლობალური სამართლის რეპუტაციას. თუმცა, ზესახელმწიფოებრივი რეგულირება იმდენად ფართოდ გავრცელდა, რომ დღევანდელ გლობალიზებულ მსოფლიოში მმართველობის უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს.

თანამედროვე მსოფლიო მმართველობაში, გარდა ზესახელმწიფოებრივ დონეზე მოქმედი ოფიციალური ინსტიტუტებისა, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბაზრები. გლობალურ პოლიტიკაში კერძო სექტორის ინიციატივები კორპორატიული და ეთიკური ნორმების დამკვიდრებასაც ითვალისწინებს. ასე

მაგალითად, 1971 წელს დაარსებული მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ამჟამად 900-მდე მსხვილ კომპანიას აერთიანებს ლოზუნგის ქვეშ: „მეწარმოება გლობალური საზოგადოებრივი ინტერესებისათვის.“ ფორუმის მრავალ ინიციატივას შორის, რამდენიმე მნიშვნელოვანი სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტის, მათ შორის არაბთა და ებრაელთა დაპირისპირების მოგვარების მცდელობაც არის. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი მსოფლიო სავაჭრო მოლაპარაკებათა ურუგვაის რაუნდის გამართვის ინიციატორიც იყო, რომლის შედეგადაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია შეიქმნა. უამრავი კერძო ფონდი აქტიურად მონაწილეობს გლობალური პოლიტიკის შემუშვებაში. ამ მხრივ, ორი თვალსაჩინო მაგალითია: ფორდის ფონდი, რომელიც 1960-იანი წლებიდან განსაკუთრებით გავლენიანი გახდა განვითარებისათვის დახმარების სფეროში, და სოროსის ფონდი, რომელიც ყოფილ საბჭოთა სიკრცეში ლიბერალიზაციის პროცესის ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობია.

1991 წელს დაარსებულმა „მსოფლიო ბიზნესის საბჭომ მდგრადი განვითარებისათვის“ კორპორატიული მუხტი შეიტანა გლობალური გარემოს დაცვაში. გაერო-ს გენერალური ასამბლეის გვერდით მუდმივი „კომპანიათა პალატის“ შექმნის წინადადებაც შეიტანეს. ეს შემოთავაზება, ალბათ, არ იქნება მიღებული, მაგრამ, ამის მიუხედავად, ნათელია, რომ გლობალური მმართველობა მხოლოდ საზოგადოებრივი სექტორის საქმე არ არის.

გლობალურ მმართველობას გააჩნია თავისი ფორმები და დონეები (Robert O. Keohane and Joseph S. Nye, *Power and Interdependence in the Information Age*, 1999.-p.79), სადაც ცენტრალური ხელისუფლების ძალაუფლება და კონკურენტუნარიანობა გარკვეულწილად იზღუდება გლობალურისა და ადგილობრივის შერწყმის ფონზე. ამ პროცესს გლობალიზაციის პროცესად მოიხსენიებენ, რომელიც გულისხმობს უახლესი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით ადგილობრივი პოლიტიკის, ეკონომიკისა და სოციალურ-კულტურული ღირებულებების შერწყმას გლობალურთან ეროვნული მმართველობის გვერდის ავლით. ეს ტერმინი წარმოადგენს გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის პროცესების შეთანაწყობას. ბრუნვაში შემოიტანა იაპონური ტრანსნაციონალური კორპორაციის ხელმძღვანელმა აკიო მორიტამ გ.კ). ეს არის ლოკალური კულტურების მოდერნიზაციის შეთანაწყობა ფორმირებად მულტიკულტურული ცივილიზაციის მიღწევებთან. ეს ტერმინი ნაკლებად ცნობილ ტერმინთა რიგს განეკუთვნება. „გლობალიზაციის“

განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს ზ. ბაუმანი. იგი თვლის, რომ „გლობალიზაცია” ეს არის პროცესი, რომელიც ეფუძნება პრივილეგიებისა და დისკრიმინაციის გადანაწილებას, სიმდიდრესა და სიღარიბეს, ძალასა და უძლურებას, თავისუფლებასა და დამოკიდებულებას. ეს არის მსოფლიოს რესტრატიფიკაციის (დანაწევრების საწინააღმდეგო) პროცესი.

მაშინ, როდესაც გლობალიზაცია წარმოადგენს ზემოდან ქვემოთ მიმდინარე ცალმხრივ ვერტიკალურ პროცესს, გლობალიზაცია დივერსიფიცირებითა და ინტერაქციულობით გამოირჩევა, რაც უფრო მეტად კომპლექსურს ხდის ერი-სახელმწიფოს ტრანსფორმაციის პროცესს.

### ცხრილი 3. გლობალური მმართველობის ფორმები და დონეები

	პერძო	სამთავრობო	მესამე სექტორი
სუპრანაციონალური	ტრანსაციონალური კორპორაციები	საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციები	საერთაშორისო NGO-ები
ნაციონალური	პერძო ფირმები და კომპანიები	ცენტრალური მთავრობა	NGO-ები
სუბ-ნაციონალური	ადგილობრივი	ადგილობრივი	ადგილობრივი

წყარო: Robert O. Keohane and Joseph S. Nye, *Power and Interdependence in the Information Age*, 1999

## 15. ინტეგრაცია თუ პოლარიზაცია? გლობალური უთანაბრობა თანამედროვე მსოფლიოში

გლობალიზაცია, ანუ ‘კაპიტალიზმის ტრიუმფი’, როგორც მას მეცნიერებმა უწოდეს, მრავალმხრივ სიკეთესთან ერთად გახდა უკომპრომისო პოლიტიკური და ეკონომიკური ბრძოლის პროცესი მსოფლიო ბაზრებზე ხელსაყრელი პოზიციებისა და სადავეების მოსაპოვებლად.

ქაციონიობის ისტორიაში პირველად დადგა ის დრო, როდესაც ვირტუალურად, პლანეტაზე მცხოვრები თითოეული ადამიანი შეიგრძნობს მის მაჯისცემას. ზოგიერთი მათგანი გლობალური ცვლილებების მსხვერპლი ხდება, ზოგიერთი კი მოგებას ნახულობს ამ ცვლილებების შედეგად, მაგრამ ძალზე მცირეა იმ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ხელშეუხებელი რჩება გლობალურ თრომტრიალში. ( Bleifuss, J., *Dictatorship or Democracy, In These Times magazine*, May 27, 2002. p.77).

ცივი ომის პერიოდი წარმოადგენდა კაპიტალისტურ და კომუნისტურ იდეოლოგიათა ჭიდილს, რომელშიც ეს უკანასკნელი დამარცხდა და ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული დემოკრატიული მმართველობის ფორმა გახდა ერთადერთი დომინანტი აღტერნატივი თანამედროვე მსოფლიოში. მმართველობის ეს ფორმა დაფუძნებულია კერძო საკუთრებაზე და ბიზნესზე კონკურენტუნარიან გარემოში, სადაც არიან მოგებულნიც და ხელმოცარულნიც. ჯონ ნეშის უყაიმო თამაშის თეორიის პრინციპი\* გარდაუგალი რეალობა გახდა გლობალურ სივრცეში, რაც ძალაუფლების ხელახლა გადანაწილებასა და დაძაბულობის ახალი კერების წარმოქმნას უწევობს ხელს.

მსოფლიო სისტემა ხასიათდება უთანაბრობით, რომლის მიზეზს წარმოადგენს გლობალური ასიმეტრიულობა თავისი ინკლუზიური და ექსკლუზიური პროცესებით. იმავდროულად, გლობალური მასშტაბით მოქმედი ეკონომიკა ძირს უთხრის ეროვნულ ეკონომიკასა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ საფუძვლებს. (Beck, U. (1999), *What is Globalization?* (Cambridge: Polity Press. p.83).


ჯერ კიდევ 1950 წელს, ცნობილი მეცნიერი და თამაშის თეორიის ფუძემდებელი ჯ. ფ. ნეში, რომელიც შვედეთის სამეფო აკადემიის მიერ

\* თეორია, რომლის თანახმადაც ერთი მოთამაშის მოგება მეორეს წაგების ტოლფასია

ნობელის პრემიით დაჯილდოვდა ეკონომიკის დარგში, თავის ნაშრომში “ვაჭრობის პრობლემა”, აღნიშნავდა, რომ ეკონომიკაში მთავარი არის არა მოგება, არამედ მისი განაწილება, და თუ ამ საკითხში არ იქნა მიღებული რაციონალური გადაწყვეტილებები, შესაძლოა წარმოიშვას რევანშისტულ თეორიათა ახალი წყება და ისტორიის ჩარხი უკუდმა დატრიალდეს.

სავაჭრო შეთანხმებები ხელს უწყობენ საერთაშორისო ვაჭრობას, მაგრამ იმავდროულად სხვადასხვა ზეგავლენას ახდენენ, როგორც ქვეყნებსა და რეგიონებზე, ისე ადამიანებზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის პროტექციონისტური პოლიტიკა ხელს უწყობს ტარიფებისაგან თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნას ინდუსტრიული სახელმწიფოების ექსპორტისათვის, რაც ზიანს აუკენებს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკას და ქმნის არაჯანსაღ კონკურენტუნარიან გარემოს (ნახ. 1, ცხრ. 4).

ნახ. 1.



ვებსაიტი: Data Source: The World Bank, The IMF

## ცხრილი 4 მსარდაჭერის ხვედრითი წილი

G-20*	IMF 182 ტეტრი	IBRD 181 ტეტრი	IFC 174 ტეტრი	IDA 161 ტეტრი	MIGA 151 ტეტრი
არგენტინა	1,01%	1,13%	1,60%	1,09%	1,07%
ავსტრალია	1,54%	1,54%	1,98%	1,32%	1,41%
ბრაზილია	1,44%	2,08%	1,66%	1,63	1,24%
კანადა	3,03%	2,80%	3,40%	3,03%	2,34%
ჩილე	2,23%	2,80%	1,03%	1,87%	2,47%
სავარანგეთი	5,11%	4,33%	5,05%	4,24%	3,76%
გერმანია	6,19%	4,52%	5,38%	6,99%	3,92%
ინდონეზია	1,98%	2,80%	3,40%	3,13%	2,41%
ინდოენდია	0,99%	0,95%	1,20%	0,90%	0,91%
იტალია	3,36%	2,80%	3,40%	3,03%	2,24%
იაპონია	6,33%	7,91%	5,89%	10,68%	5,38%
კორეა	0,78%	1,00%	0,67%	0,42%	0,47%
მაქსიკა	1,23%	1,18%	1,16%	0,75%	---
რუსეთი	2,83%	2,80%	3,40%	0,27%	2,47%
საუდ. არაბ.	3,32%	2,80%	1,26%	3,52%	2,47%
სამხ. აზრიდ	0,89%	0,85%	0,67%	0,28%	1,10%
თურქეთი	0,46%	0,47%	0,62%	0,66%	0,48%
დიდი ბრიტ.	5,11%	4,33%	5,05%	4,97%	3,76%
აშშ	17,67%	16,49%	23,73%	15,09%	15,44%
ევრო ბარო.	30,61%	25,49%	29,12%	28,58%	24,58%

დამატებითი მასალა: Data Source: The World Bank, The IMF

IMF: საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ)

IBRD: რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (რგბ)

IDA: საერთაშორისო განვითარების ასოციაცია (სგა)

IFC: საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (სფკ)

MIGA: მრავალმხრივი ინვესტიციების მსარდაჭერის სააგენტო (მიმს)

ინდუსტრიულ წილში აღმოცენებული ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოადგენენ უმსხვილეს ეკონომიკურ წარმონაქმნებს მსოფლიოში, რომლებიც ზეწოლას ახდენენ მესამე სამყაროს ქვეყნებზე. ეს უკანასკნელი მიმართავენ მარეგულირებელ ცვლილებებს და ითვისებენ უცხოურ ინვესტიციებს ბიუჯეტის შესავსებად, რაც მათი არსებობისათვის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს.


ქვემოთ მოყვანილი (ნახ. 2 და ცხრ. 5) მაჩვენებლები გვიჩვენებენ მკვეთრ კონტრასტებს მსოფლიოში მთლიანი შიდა პროდუქტის, საქონლისა და

\* The Group of Twenty (G20)—შეიქმნა 1999 წლის 25 სექტემბერს

მომსახურების ექსპორტის, უცხოური ინვესტიციებისა და ინტერნეტის მოხმარების სფეროებში. გლობალური ასიმეტრიულობა და უთანაბრობა იწვევენ სიდატაკესა შიმშილს, რაც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს მსოფლიოსათვის (ნახ. 3, ცხრ. 6).

ქვეყნის სიდარიბის ერთერთი ძირითადი მიზეზია გადამამუშავებელი მრეწველობის არარსებობა, რის გამოც ვერ ხერხდება ბუნებრივი რესურსებისა და ნედლეული მასალების რაციონალურად გამოყენება და მზა პროდუქციის ექსპორტი. ცენტრალური მთავრობები, იმის ნაცვლად რომ შექმნან მოქნილი და ეფექტური საგადასახადო სისტემა ეროვნული ბიზნესის განვითარებისათვის ხელშეწყობის მიზნით, ასევისებენ ეროვნულ სიმდიდრეს საეჭვო წარმოშობის უცხოურ კომპანიებზე, რაც წარმოადგენს უდიდეს სტრატეგიულ შეცდომას.

**ნახ. 2. გლობალური უთანაბრობა თანამედროვე მსოფლიოში  
სიმდიდრის განაწილება 2004წ.**




დანართი: Human Development Report, 2004

**ცხრილი 5. გლობალური უთანაბრობა თანამედროვე მსოფლიოში  
სიმდიდრის განაწილება 2004წ.**

სექტორი	მსოფლიო GDP	საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	უცხოური ინგესტიციები	ინტერნეტით სარგებლობა
მდიდარი 20%	86	82	68	93.3
საშუალო 60%	13	17	31	6.5
დარიბი 20%	1	1	1	0.2

ყმარო: *Human Development Report, 2004*

ნახ. 3. შიმშილობის კრიზისის მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით 2003 წ.




ყმარო: *Human Development Report, 2004*

ცხრილი 6. შიმშილობის კრიზისის მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით 2003 წ.

რეგიონი	მოთხოვენილება (მლნ. აშშ ლოდ.)	დოფიციტი (მლნ. აშშ ლოდ.)	დებოტი %
აღმ. ავრიპა	709,3	166,9	23,5
დას. აფრიკა	80,1	19,6	24,5
სამხ. ავრიპა	291,4	65,2	22,4
აღმ. ევროპა	47,6	13,8	29,0
დას. ამერიკა	27,2	5,5	20,2
შუა აღმოსავლეთი და ცენტ. აზია	222,5	15	6,7
აზია	241,7	113	46,8
სელ	1,61990	399	24,6

ყვარლი: *Human Development Report, 2004*

ნახ. 4. მდიდრები და დარიბები გლობალური დაჯგუფების მიხედვით 1997 წ.



ყვარლი: *Human Development Report, 2004*

**ცხრილი 7. მდიდრები და დარიბები გლობალური  
დაჯგუფების მიხედვით 2004 წ.**

0ცსტიტუტი	მსოფლიო მშპ	მსოფლიოს მოსახლეობა
P-5	40,9	30,6
G-7	64	11,8
G-10	67,8	12,5
G-22	81,7	64,8
G-24	8,9	34,6
G-77	16,9	76

**ყვარლი:** Human Development Report, 2004

*P-5—უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები*

*G-7—დიდი შეიღებული*

*G-10—გაფართოებული დიდი ათეული*

*G-22—დასაკლების ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოები და ახალი ბაზრები*

*G-24—ძირითადი განვითარებადი ქვეყნები*

*G-77—განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნები*

მრავალი მკვლევარი გლობალურ უთანაბრობას და სოციალურ კრიზისს საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის უსამართლო პოლიტიკას უკავშირებს. ეს პრობლემა იმდენად შემაშფოთებელი გახდა მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის, რომ 2001 წლის ნოემბერში შეიქმნა გლობალიზაციის სოციალურ პრობლემებზე მომუშავე მსოფლიო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ ფინეთის პრეზიდენტი ტ. პალონენი, ტანზანიის პრეზიდენტი ბ. მკაპა, იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ჯულიანო ამატო, ტოიოტას დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ტ. ნაშიმურო, ნობელის პრემიის ლაურეატი, პროფესორი ჯ. შტიგლიცი და მსოფლიოს სხვა მაღალი რანგის მოღვაწეები. კომისია აქტიურად თანამშრომლობს ეროვნულ მთავრობებთან, ტრანსნაციონალური კომპანიების მმართველ საბჭოებთან და საერთაშორისო ინსტიტუტების ხელმძღვანელებთან და მოუწოდებს ცივილიზებულ მსოფლიოს უნივერსალური მობილიზაციისაკენ, რათა სამართლიან გარემოში თანაბარი შესაძლებლობები გააჩნდეს ყველას.

ზოგიერთი მკვლევარი გლობალიზაციას მიიჩნევს ამერიკანიზაციად, და ამის დასასაბუთებლად გარკვეული არგუმენტაციაც მოყავს. ომას ფრიდმანი ფიქრობს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული სამხედრო ძალაუფლება ნებისმიერი მოწინააღმდეგის მიმართ, რათა შეინარჩუნოს გლობალური ფინანსური ინსტიტუტების დომინანტობის სტატუსი:

“მაკდონალდს ესაჭიროება მაკდონელ-დაგლასი.” \* (Friedman, L. Thomas., *The Lexus and the Olive Tree: Understanding Globalization*, Farrar Straus Giroux, New York, 1999. p.64).

ჯოზეფ ნაი მსოფლიოს სამგანზომილებიან საჭადრაკო დაფას ადარებს, სადაც იკვეთება სამი პოლუსი. დაფის ზედა ნაწილში მოქცეულია უნიპოლარული პეგემონია—ამერიკის შეერთებული შტატები, შეა ნაწილი მოიცავს ეკონომიკურ სივრცეს, სადაც ძალაუფლება ნაწილდება აშშ-ს, ევროკავშირსა და იაპონიას შორის; მესამე ქვედა ნაწილი კი უკავია ეროვნული მთავრობის კონტროლს მიღმა არსებულ ტრანსნაციონალურ კერძო და არასამთავრობო ძალებს. (Nye, Joseph S. *The Paradox of American Power: Why the World's Only Superpower Can't Go It Alone*, Oxford Press, 2003. p. 83).

ზბიგნევ ბუზინსკი, თავის მონოგრაფიაში—“დიდი საჭადრაკო დაფა: ამერიკული პეგემონია და მისი გეოსტრატეგიული დირექტივები”, (Brzezinski, Zbigniew., *The Grand Chessboard: American Primacy and Its Geostrategic Imperatives*, HarperCollins Canada, 1998. p.12.). პირდაპირ მიუთითებს: “შეერთებული შტატებისათვის ევრაზიული გეოსტრატეგია დამყარებულია სამ უმნიშვნელოვანეს პრინციპზე:

- თავიდან ავიცილოთ კონსპირაციები და დავიცვათ უსაფრთხოების წესრიგი ჩვენს მიერ კონტროლირებად ქვეყნებს შორის;
- შევინარჩუნოთ ჩვენი ვასალების ერთგულება და დავიცვათ ისინი საჭიროების შემთხვევაში;
- არ მივცეთ ბარბაროსებს\*\* გაერთიანების საშუალება.

მრავალი ექსპერტი მიიჩნევს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები ჯერჯერობით კვლავაც რჩება ერთადერთ სუპერსახელმწიფოდ, სამხედრო, ეკონომიკური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰუბერტ ვედრინი მას პიპერსახელმწიფოდ, იგივე ზესახელმწიფოდ მოიხსენიებს (Védrine, Hubert. *France in an Age of Globalization*, Brookings Institute, 2001. p.48). არის თუ არა ამერიკა იმდენად იმპერიალისტული, რომ მისი პეგემონია ერთპიროვნულად შეიძლება იქნას მიჩნეული თანამედროვე გლობალიზებურ მსოფლიოში?

\* მაკდონელ-დაგლასი—ამერიკული კომპანია, რომელიც აწარმოებს სამხედრო თვითმფრინავებს  
\*\* ისლამური ქვეყნები

ჩვენი აზრით, დღევანდელ სწრაფად ცვალებად მსოფლიოში, საკმაოდ დიდია ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენა, რომცა ისიც აშკარად შესამჩნევია, რომ ევროპული და აზიური კონგლომერატული სტრუქტურები სერიოზულ გამოწვევებს სთავაზობენ მას. ამ რეალობას კარგად ხედავენ ვაშინგტონში და გარკვეულ დონისძიებებსაც მიმართავენ.

ამჟამად განსაკუთრებული ინტერესების სფეროში მოქცეულია ცენტრალური ევრაზიის რეგიონი ჩინეთის ექსპანსიის შესაჩერებლად. დღეს ჩინეთის ეკონომიკური ზრდის ტემპი ერთერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში, რაც ხელს უწყობს მის სამხედრო სიძლიერეს და ზრდის მის როლს მსოფლიო პოლიტიკაში. ჩინეთი, როგორც ბირთვული იარაღის მფლობელი სახელმწიფო და გაერთს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, განსაკუთრებულ ფენომენს წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოში. ჩვენი მოსაზრებით, ჩინეთის ეკონომიკის ასეთი სწრაფი ზრდა განპირობებულია სამი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიით:

1. ჩინეთმა უარი თქვა შოკური თერაპიისა და დერეგულაციის პოლიტიკაზე (რაც გამაჩანაგებელი აღმოჩნდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის) და აირჩია ქეინსის პრინციპი, რაც თავის დროზე ნოუიერ ნიადაგს უქმნიდა განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებს სოციალური უსაფრთხოებისათვის. ამის შედეგად, პრივატიზაცია შეეხო მხოლოდ მცირე და საშუალო ბიზნესს, ხოლო მსხვილი ბანკები და სხვა სტრატეგიული ობიექტები კვლავაც სახელმწიფოს მფლობელობაში დარჩა, რაც საუკეთესო ბერკეტს წარმოადგენს ცენტრალური ხელისუფლებისათვის იზრუნოს ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე.

2. ჩინეთმა მიმართა სრულიად უნიკალურ და ორიგინალურ კონკურენტუნარიანობის სტრატეგიას და საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენების შედეგად შეძლო დაეპურო მსოფლიო ბაზრები. მან შესანიშნავად გათვალა, რომ თანამედროვე მაღალ კონკურენტუნარიან გარემოში საკუთარი ბრენდების<sup>\*</sup> შექმნასა და მათ ტრანსნაციონალიზაციას საკმაოდ დიდი დრო და რესურსი დასჭირდებოდა, რაც შეაფერებდა ექსპორტის წარმოებას. ამიტომაც აქცენტი გაკვთდა პატენტების წარმოებასა და პროდუქციის დაბალ თვითდირებულებაზე კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით.

\* კომპანიისა და პროდუქტის სამარკო ნიშანი

3. განათლებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტიზაციამ საშუალება მისცა ჩინეთს განვითარებინა და დაენერგიულების ტექნოლოგიები. ყოველწლიურად სწრაფი ტემპით იზრდება მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში მყოფი ჩინელი სტუდენტებისა და მეცნიერების რიცხვი, რომლებიც წარმატებით ითვისებენ თანამედროვე მიღწევებს და ახდენენ საკუთარი ინტელექტუალური რესურსების კაპიტალიზაციას.

4. ზემოთ აღნიშნული ფაქტორები დახდა საფუძველი თავისუფალი ეკონომიკური ზონებისა, რისი შექმნითაც ჩინეთმა საგრძნობლად გაზარდა საკუთარი კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები. ზოგიერთი ავტორის აზრით, არსებული ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში, 2025 წლისათვის მოსალოდნელია, რომ მთლიანი ეროვნული პროდუქტის საერთო მოცულობითა და შემოსავლებით ეს ქვეყანა გაუსწრებს ამერიკის შეერთებულ შტატებს და შესაძლოა მსოფლიოს ახალ ჰეგემონად მოგვევლინოს.

## თავი 2. გლობალიზაციის ზეგავლენა ერ-სახელმწიფოზე

### 2.1. ერი-სახელმწიფოს ონტოლოგიური ანალიზი

ერი-სახელმწიფოს კლასიკური მოდელი წარმოადგენს ერთი მთავრობის მიერ კონტროლირებად სუვერენულ ტერიტორიას, რომელიც დასახლებულია საერთო ენის, ეთნიკური ნიშნისა და კულტურის მქონე მოსახლეობით. საინტერესოა როჯერსის უნივერსიტეტის პროფესორის ფრენკ ელველის განმარტება, რომლის მიხედვითაც, ერი-სახელმწიფო წარმოადგენს თანამედროვე სახელმწიფოს, რომელშიც მთავრობას გააჩნია სუვერენული ძალაუფლება განსაზღვრულ ტერიტორიულ ფარგლებში, რომლის მოსახლეობას წარმოადგენენ მოქალაქეები.

(<http://campus.murraystate.edu/academic/faculty/frank.elwell/prob3/glossary/socgloss.htm#N>).

უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევართა შორის არ არის მტკიცე პოზიცია იმასთან დაკავშირებით, თუ ცალსახად რომელი სახელმწიფო შეიძლება იქნას მიჩნეული ერ-სახელმწიფოდ და რომელი არა. უფრო მეტიც, ხშირად მათი დიდი ნაწილი ერ-სახელმწიფოში გულისხმობს თანამედროვე ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოს. ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორი ჯეიმს ბენქსი ერ-სახელმწიფოებად მიიჩნევს ამერიკის შეერთებულ შტატებს, კანადას, დიდ ბრიტანეთს, ავსტრალიასა და იაპონიას (Banks, James A., *Educating Global Citizens in a Diverse World*, February, 2003. <http://www.newhorizons.org/strategies/multicultural/banks2.htm>), რომლებიც სხვა მკვლევართა აზრით, განსხვავებულ მიზეზთა გამო არ მიუკუთვნებიან ერ-სახელმწიფოთა რიცხვს (<http://www.reference.com/browse/wiki/Nation-state>). ჩემი კვლევის ობიექტს არ წარმოადგენს ნაციონალიზმი და სახელმწიფოს ეროვნული სტრუქტურის ანალიზი, ამიტომ წინამდებარე ნაშრომში ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმება სუვერენული სახელმწიფო თავისი კონცეპტუალური გაგებით, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოსათვის აუცილებელი ყველა ატრიბუტიკა—კონსტიტუციონალური სისტემა, ეროვნული სიმბოლოები, საკუთარი ჯარი, პოლიცია, საბაჟო და საგადასახადო სტრუქტურები და სხვ.

აქვე აუცილებლად მიმაჩნია, გამოვხატო ჩემი პოზიცია ქართულ ლექსიკაში ხშირად გამოყენებული სიტყვის—‘ეროვნული სახელმწიფო’ს

შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკურ მეცნიერებაში არ არსებობს ტერმინი ‘*national state*’, და შესაბამისად, ქართულ ტერმინოლოგიაში დამკვიდრებული სიტყვა ‘*ეროვნული სახელმწიფო*’ ინგლისური ‘*nation-state*’-ის არასწორ ინტერპრეტაციად მიმაჩნია. თუნდაც შინაარსობრივი თვალსაზრისით ამ ტერმინის ხმარება არალოგიკურია, ვინაიდან სახელმწიფო თავისთავად გულისხმობს ეროვნულობას და მისი არსებობა ერთს ან ეროვნულობის გარეშე წარმოუდგენელია.

დიდი ხნის განმავლობაში, თანამედროვე გლობალიზაციის პროცესის დაწყებამდე, მსოფლიო პოლიტიკა უმთავრესად ეწ. ვესტფალიის სისტემის პრინციპებზე იყო დაფუძნებული. ვესტფალიის სისტემა სახელმწიფოებრივი მმართველობის სტრუქტურას წარმოადგენდა და იგი საზოგადოებრივი წესების ჩამოყალიბების, ზედამხედველობისა და აღსრულების ზოგად მიმართულებებს განსაზღვრავდა. მმართველობის ამ ფორმის სათავეებთან სახელმწიფოებრიობისა და სუვერენულობის პრინციპები იდგა. სახელმწიფოებრიობა გულისხმობდა ევროპის ტერიტორიულ ნაწილებად დაყოფას, რომელთაგან თითოეულს ცალკე მთავრობა მართავდა. ეს ახალი სახელმწიფო ცენტრალიზებული, საზოგადოებრივი ძალაუფლების ფორმალურად ორგანიზებული აპარატი იყო, რომელიც თავისი იურისდიქციის სფეროში შეიარაღებული ძალადობის საშუალებებზე კანონიერ მონოპოლიას ფლობდა. ამასთანავე, ვესტფალიური სახელმწიფო სუვერენული იყო და თავის კუთვნილ ტერიტორიულ სივრცეში უზენაეს შეუზღუდავ და ექსკლუზიურ კონტროლს ახორციელებდა. ყოვლისმომცველი ხელისუფლება ნიშნავდა იმას, რომ სუვერენული სახელმწიფო ყველა საქმიანობაზე ავრცელებდა იურისდიქციას. შეუზღუდავი ხელისუფლება ნიშნავდა იმას, რომ სახელმწიფოს მიერ სრული იურისდიქციის გავრცელების უფლება სხვა სახელმწიფოთა მიერ ხელშეუხებლად იყო აღიარებული. და ბოლოს, ექსკლუზიური ხელისუფლება ნიშნავდა იმას, რომ სუვერენული სახელმწიფოები თავიანთ უფლებამოსილებას არავის უნაწილებდნენ.

უნდა აღინიშნოს რომ, ვესტფალიის წესრიგი მმართველობის ერთ-ერთ სტრუქტურას წარმოადგენდა, რომელიც კონკრეტულ დროს, ცალკეული პერიოდისათვის დამახასიათებული გარემოებების გამო წარმოიშვა.

გლობალიზაციის პროცესმა სერიოზული კორექტივები შეიტანა სახელმწიფოებრივი მმართველობის ამ სისტემაში და გამოიწვია ერი-

სახელმწიფოს ტრანსფორმაცია. ადმოჩნდა, რომ ტერიტორიულ სახელმწიფოს არ შესწევს უნარი გააკონტროლოს გლობალური მასშტაბით მოქმედი ტრანსნაციონალური კაპიტალი და კომპანიები, თანამგზავრული დისტანციური მართვის საკომუნიკაციო სისტემები, გლობალური ვაჭრობა და ეკოლოგიური პრობლემები (Scholte, J. A., Globalization: A Critical Introduction (London: McMillan, 1997. p. 111-112).

ზემოდჩამოთვლილი საზღვართმკვეთი ძალები არ ექცევიან ერთულ ტერიტორიულ სივრცეში, რის გამოც სახელმწიფოს თავისი ექსკლუზიური იურისდიქციის განხორციელება არ ძალუდს. ამ პროცესების ფონზე, სახელმწიფოებმა გარკვეული თავდაცვის მექანიზმები შეიმუშავეს, მაგრამ პროცესის შეჩერება უჭირთ. თვით ჩინეთის მთავრობამაც კი, რომელიც სუვერენულ სახელმწიფოებზე დამყარებული მსოფლიო წესრიგის შენარჩუნებისაკენ ისტრაფვის, ცდილობს გლობალური ურთიერთდამოკიდებულების სტრატეგიასაც დაუჭიროს მხარი.

ასუსტებს თუ არა გლობალიზაცია ერ-სახელმწიფოსა და მის ინსტიტუტებს? ეს დამოკიდებულია სახელმწიფოსა და მისი მმართველობის ტიპებზე. ალბათ, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ გლობალიზაციის პროცესში ერი-სახელმწიფო განიცდის ტრანსფორმაციას და გადადის ახალ ტრანსნაციონალურ ფაზაში, ანუ ხდება მისი ინტეგრირება კომპლექსურ გლობალურ სტრუქტურებში. ამჟამად ეს პროცესი ქაოტურად მიმდინარეობს და „ზორმინგის“, ფაზაშია,\* რაც იწვევს სისტემათა შორის არსებულ ლირებულებათა შეჯახებასა და წინააღმდეგობებს.

არავითარ ეჭვს არ ბადებს ის გარემოება, რომ გლობალიზაცია იწვევს საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის ტრანსფორმაციასა და რესტრუქტურიზაციას, ზრდის კონკურენციას, მასშტაბებსა და სიჩქარეს, რაზეც ერ-სახელმწიფოს სათანადო რეაგირების მოხდენა უჭირს.


\* Forming, Storming, Norming, Performing—მენეჯმენტის თეორიაში გუნდის ჩამოყალიბების ფაზები. Storming-ის დროს მიმდინარეობს პიროვნული ფაქტორებისა და ლირებულებების ადაპტირების პროცესი, რომელიც გარკვეული ქონფლიქტებითა და წინააღმდეგობებით ხასიათდება.

## 2.2. მროვნული პოპულარული სტრატეგია და სახელმწიფოს ძლიერების განვითარების უაჭროობი

ტრადიციულად სახელმწიფოს ძლიერების ფუნდამენტად ცენტრალიზებული პოლიტიკური ძალაუფლების კონსოლიდაცია მიიჩნეოდა. მაგრამ სტაბილური ეკონომიკური კლიმატის არარსებობის შემთხვევაში პოლიტიკური ინსტიტუტები სუსტდებიან და ენთროპიას განიცდიან. ცივი ომის პერიოდში, სახელმწიფოს ძლიერების განვითარების ფაქტორების შესახებ პანს მორგენთაუს მიერ ჩამოყალიბებულ კონცეფციას 1990-იან წლებში გამოუწენდა ახალი ალტერნატივები მაიკლ პორტერის ეროვნული კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის თეორიის სახით, რომლის თანახმადაც გლობალურ კონკურენტუნარიან გარემოში ეროვნული უპირატესობა მიიღწევა კერძო ეროვნული ბიზნესის წარმატებული საქმიანობის შედეგად, რომელიც დაფუძნებულია კლასტერებზე.

ეროვნული კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის თეორია სქემატურად გამოსახულია ‘ალმასის მოდელი’; სადაც ეროვნული მთავრობა, კერძო ბიზნესი, შესაძლებლობები, მოთხოვნა და კონკურენცია ქმნიან ერთიან ინტეგრირებულ სტრუქტურას, რომელიც მოქმედებს სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად (Porter, Michael L., *The Competitive Advantage of Nations*. The Free Press, New York, 1990. p-123-124).

**ნახ. 5 მაიკლ პორტერის ‘ალმასის მოდელი’**



**წყარო:** Michael Porter, “*The Competitive Advantage of Nations*,” 1990

სახელმწიფოს პოლიტიკური და სამხედრო ძლიერება განისაზღვრება მისი ეკონომიკური სიმდიდრით, რომელსაც ქმნიან მოქალაქეები, სამთავრობო და კერძო სექტორები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ქვეყნის შიგნით კონკურენტული პროდუქტის წარმოება განსაზღვრავს ექსპორტის ხვედრით წილს, რომელიც უნდა აღემატებოდეს იმპორტის მოცულობას. ამიტომ რაც მეტ კონკურენტულარიან პროდუქტს აწარმოებს ქვეყანა და გააქვს საერთაშორისო ბაზარზე, მით უფრო მდგრადია მისი ეკონომიკური პოტენციალი. ქვეყნის ფარგლებს გარეთ პროდუქტის წარმოება დამოკიდებულია იმ ბიზნეს ოპერაციებზე, რომლებიც ხორციელდება ამ ქვეყნის კომპანიების მიერ სხვა სახელმწიფოებში, რაც გლობალურ გარემოში უფრო და უფრო ინტენსიური ხდება.

ჰარგარდის უნივერსიტეტის პროფესორი, სემიუელ ჰანთინგთონი, ეროვნული სტრატეგიის მნიშვნელობას სამთავრობო პოლიტიკაში ხედავს. მისი აზრით ეროვნული სტრატეგია ეს არის ხელისუფლების მიერ ყველა სახის სახელმწიფოებრივი რესურსის (ეკონომიკური, პოლიტიკური, დიპლომატიური, ტექნოლოგიური, სამხედრო) თავმოყრა და მათი მიმართვა მთავრობის მიზნების განხორციელებისათვის სხვა მთავრობებთან კონკურენციის წარმართვის მიზნით (An interview with Samuel P. Huntington, BRIAN LAMB / SAMUEL P. HUNTINGTON, March 29, 1985).

1985 წელს, როდესაც ჰანთინგთონი ეროვნული სტრატეგიის საკითხებზე მსჯელობდა, მსოფლიო ჯერ კიდევ პოლარიზებული იყო ორი ზე-სახელმწიფოს გარშემო და მოქმედებდა ძალთა ბალანსის საერთაშორისო პრინციპი. ტერმინოლოგიაში მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა სიტყვა ‘გლობალიზაცია’, ხოლო ეროვნული სტრატეგია ციფი ომის პოლიტიკაზე იყო დამყარებული. გლობალიზაციის ეპოქაში ცენტრალური მთავრობა ადარ წარმოადგენს ერთადერთ დომინანტ ძალას მმართველობაში, ვინაიდან თანამედროვე დემოკრატია მოითხოვს დეცენტრალიზაციას, რომლის შედეგად, ხელისუფლების დელეგირება ხდება ცენტრალურიდან ადგილობრივ მმართველ სტრუქტურებზე, რაც სერიოზულად აძლიერებს ამ უკანასკნელის როლს და ასუსტებს ცენტრალური მთავრობის პოზიციებს. იმავდროულად, სულ უფრო აშკარა ხდება ძალაუფლების გადანაწილება ცენტრალური ხელისუფლებიდან კერძო და არასამთავრობო სექტორებზე, და სახელმწიფოებრივი პოლიტიკა წარმოადგენს ამ სამი სექტორის ერთიანი ურთიერთქმედების პროდუქტს.

ერი-სახელმწიფოების გლობალურ დონეზე ინტეგრაცია თავის მხრივ იწვევს ადგილობრივ დონეზე მათ დეცენტრალიზაციას. როდესაც ვსაუბრობთ ერი-ახელმწიფოს ტრანსფორმაციაზე, უნდა გამოვავეთოთ ის შიდა და გარე ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მასზე და ზღუდავენ და ითავსებენ ცენტრალური ხელისუფლების ძალაუფლებას.

**შედა ფაქტორები:** დეცენტრალიზაცია; ინტერესთა ჯგუფები და კორპორატიული მმართველობა; პერძო და არასამთავრობო სექტორების გაძლიერება.

**გარე ფაქტორები:** პოლიტიკური გლობალიზაციის შედეგად წარმოქმნილი რეგიონული და გლობალური მმართველი ინსტიტუტები; ტრანსნაციონალური კორპორაციები, კაპიტალი და ბაზრები; საზღვართმკვეთი სისტემები, რომელთა კონტროლიც ერთ ცალკე აღებულ ტერიტორიულ სახელმწიფოს არ ძალუქს: ტელეკომუნიკაციები, ინფორმატიკა, ტრანსპორტი, ფინანსები, ბუნებრივი რესურსები, გარემო, მედია; საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები.


ერი-სახელმწიფოსა და ცენტრალური ხელისუფლების ძალაუფლების ტრანსფორმაცია გლობალიზაციის პროცესში ნაჩვენებია ნახ. 6.

ტრადიციულად დასავლეთ ევროპაში სახელმწიფო ზრუნავდა მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე, მაგრამ გლობალიზაციის შედეგად განხორციელებულმა ნეოლიბერალურმა რევოლუციამ გარკვეულწილად შეცვალა მისი ეს როლი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ერი-სახელმწიფოები დადგნენ იმ აუცილებლობის წინაშე, რომ დაერეგულირებინათ ეკონომიკა, რასაც ლიბერალურ-დემოკრატიულმა ქვეყნებმა ენთუზიაზმით დაუჭირეს მხარი.

გარკვეული სახელმწიფოები წლების მანძილზე ატარებდნენ ქეინსის პოლიტიკას\*, რათა მიედწიათ საბაზრო და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისთვის და შეექმნათ სოციალური უსაფრთხოების გარანტიები თავისი მოქალაქეებისათვის. ეს მოდელი კარგად მუშაობდა და იგი ხელს უწყობდა დასაქმებას, ეკონომიკურ ზრდასა და ფასების სტაბილიზაციას.

\* ჯონ მერილენდ ქეინსი, ამერიკელი ეკონომისტი, რომელმაც ეკონომიკური კრიზისის დროს 1930-იან წლებში, თავის ნაშრომში დასაქმების, ინტერესისა და ფულის ზოგადი თეორია<sup>1</sup>; შესთავაზა მთავრობას სუბსიდირების მეშვეობით დაქმადანსებინა ეკონომიკური ცვალებადობა

## ნახ. 6. ერი-სახელმწიფოსა და ცენტრალური ხელისუფლების ძალაუფლების ტრანსფორმაცია გლობალიზაციის პროცესში



ძლიერმა განვითარებულმა ქვეყნებმა, წესრიგისა და უსაფრთხოების მიზნით, შექმნეს საერთაშორისო სისტემა და ასპარეზი, რომელზეც თვითონ დომინირებდნენ. ერი-სახელმწიფოს სიძლიერეს განსაზღვრავდა ნეომერკანტილური პოლიტიკა,<sup>\*</sup> რომელიც პროტექციონისტურ სტრატეგიაზე<sup>\*\*</sup> იყო დამყარებული. თანამედროვე ეტაპზე ეს პოლიტიკა შეცვალა გლობალურმა *Laissez-faire*-ის<sup>\*\*\*</sup> პოლიტიკამ, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ჩაურევლობას გულისხმობს.

თანამედროვე გლობალიზაციამ საგრძნობლად შეასუსტა ქეინსის მოდელი, ვინაიდან გლობალური ბაზრებისა და მზარდი მოთხოვნილებების მქონე მოსახლეობის პირისპირ დამდგარმა სახელმწიფომ იგრძნო, რომ ვეღარ ასრულებდა თავის ფუნქციას და უურადღება ეროვნული ეკონომიკის

\* ეკონომიკური პოლიტიკა ევროპაში, რომლის მეშვეობითაც ეროვნული მთავრობა ახორციელებდა კონტროლს მრეწველობასა და ვაჭრობაზე, რათა მოეხდინა ექსპორტის ზრდა იმპორტის შემცირების ხარჯზე

\*\* ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის მიზანია ეროვნული წარმოების დაცვა უცხოური ინტერესებისაგან, იმპორტზე მაღალი ტარიფების დაწესებით

\*\*\* Laissez-faire-ერთგული მთავრობის ჩაურევლობა ვაჭრობასა და ბაზრების რეგულირებაში

რეგულირებიდან მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირებისაკენ მიაპყრო. გლობალიზაციამ მნიშვნელოვნად შეცვალა თამაშის წესები საერთაშორისო არენაზე და მისი ზეგავლენა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ეროვნულმა მთავრობებმა ვეღარ შეძლეს დაერეგულირებინათ ეროვნული ეკონომიკა. ჯერ კიდევ 60-იანი წლების ბოლოს პანს მორგენთაუ აღნიშნავდა, რომ “თანამედროვე ტექნოლოგიებმა ერი-სახელმწიფო დრომოჭმულად აქცია და მას აღარ შესწევს უნარი შეასრულოს ის ელემენტარული ფუნქცია, რომელსაც ასრულებდა აქამდე: დაიცვას საკუთარ მოქალაქეთა სოციალური უსაფრთხოება.” (Morgenthau, Hans. *Politics Among Nations. The Struggle for Power and Peace*, N. Y., 4th Ed. P. 32).

კანადა, იაპონია ინგლისი, ნორვეგია, გერმანია, დანია, შვედეთი, აგრეთვე ტაივანი, მალაიზია, სინგაპური, სამხრეთ კორეა განიცდიან ბაზრების ზემოქმედებას, მაგრამ მათი სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკა მაინც მყარია, რადგან მთავრობების ეფექტური პოლიტიკა და ძლიერი მენეჯმენტი არეგულირებენ ბაზარს და სუბსიდირებას უწევენ სტრატეგიული დანიშნულების სამრეწველო ობიექტებსა და პრიორიტეტებს სექტორებს. ეს შედეგია იმისა, რომ ავტორიტეტული საექსპერტო და ანალიტიკური კვლევის ცენტრები ინტენსიურად მუშაობენ გლობალურ პრობლემატიკურ საკითხებზე და რეკომენდაციებს აწვდიან ცენტრალურ ხელისუფლებას.

ხოლო ის ქვეყნები კი, რომლებსაც აქვთ სუსტი სახელისუფლებო ინსტიტუტები, ვერ უძლებენ ბაზრების ზეწოლას, რის შედეგადაც კაპიტალის ტრანსაციონალური დინება და უახლესი ტექნოლოგიები კიდევ უფრო ასუსტებენ მათ ეკონომიკას. როგორც რობერტ კიოშინი თავის ნაშრომში ‘ძალაუფლება და ურთიერთდამოკიდებულება’ აღნიშნავს: “ისტორიული ან კულტურული მიზეზების გამო, ზოგიერთ ნაკლებად განვითარებულ ქმედიანას გააჩნია ისეთი სუსტი სახელისუფლებო ინსტიტუტები, რომ მათი ლიდერები უძლერნი არიან ალღო აუდონ გლობალიზაციის ახალ შემოტევებს (Keohane, R.O., Nye, J.S. (2000), *Globalization: What's New? What's Not? (And So What?)*, *Foreign Policy*, 118 (Spring), pp. 104).

ბჟირია შემთხვევები, როდესაც განვითარებადი ქმედის ეროვნული მთავრობები ცდილობენ აქციების 51%-ის მიღებას იმ ოპერაციებიდან, რომლებიც მათი ტერიტორიების საზღვრებში უნდა განხორციელდეს, მაგრამ ვერ დებულობენ საკონტროლო პაკეტს. მიუხედავად კაბალური პირობებისა,

მათ მაინც უხდებათ ხელშეკრულებებზე ხელის მოწერა, რის შედეგადაც საშუალება ეძლევათ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს გააკონტროლონ მთელი წარმოება. ეს ნათლად ადასტურებს დევიდ ჰელდის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილების მიმღები მმართველი ელიტა გლობალიზაციის პროცესში ხდება გადაწყვეტილების შემსრულებელი (“decision makers are becoming decision takers”). (Held, D., McGrew, A. (2000), *The Great Globalization Debate: An Introduction*, In D. Held and A. McGrew, eds., *The Global Transformations Reader: An Introduction to the Globalization Debate* (Cambridge: Polity), pp. 1-45).

მე სრულიად ვიზიარებ ჯონ ჰოკინსის უნივერსიტეტის პროფესორის ფრენსის ფუძუამას აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ თანამედროვე სამყაროში თავისუფალი ერები საბაზრო ეკონომიკური ცხოვრებისაკენ ისწრაფვიან. სოციალურმა ინჟინერიამ,\* რომელიც მანიპულირებდა იდეალური საზოგადოების შექმნის მოტივით, დიდი ხანია რაც კრახი განიცადა არა მარტო იმიტომ რომ საზოგადოება სკეპტიკურად არის განწყობილი მთავრობის მიმართ, არამედ იმიტომაც, რომ ხელისუფლების ძალაუფლება მნიშვნელოვნად შესუსტდა და მას ნაკლებად შესწევს უნარი დააქმაყოფილოს მოქალაქეთა მზარდი მოთხოვნილებანი.

თავისუფალ საბაზრო იდეოლოგიაზე დაფუძნებულმა კომუნიკაციისა და სატრანსპორტო ტექნოლოგიის განვითარებამ გამოიწვია პროდუქტის, მომსახურებისა და კაპიტალის უპრეცედენტო მობილურობა. განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნები ცდილობენ, გახსნან და გააფართოვონ მსოფლიო ბაზრები საკუთარი პროდუქტის რეალიზაციისათვის და გამოიყენონ განვითარებად ქვეყნებში არსებული იაფი მუშა ხელი და ბუნებრივი რესურსები. ისინი იყენებენ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს და რეგიონალურ სავაჭრო შეთანხმებებს, იმისათვის, რომ აიძულონ დარიბი ქვეყნები ტარიფების შემცირებასთან, სახელმწიფო საწარმოების პრივატიზებასთან დაკავშირებით. ამის შედეგად ინვესტორები ნახულობენ კოლოსალურ მოგებას, ხოლო განვითარებადი ქვეყნები ზარალდებიან.

\* პოლიტიკური ან ეკონომიკური ელიტის მიერ მანიპულირების მეშვეობით საზოგადოებრივი ხასიათისა და ქვეყის მართვა

ცხრილი 8. გლობალიზაციის ინდექსი

კულტურული მდგრადი ფირმების რაოდი	მგებარებელი	განხორცილება												2005 წლის მონაცემები	
		მკონიშვილი 06 თებერვალი		პიროვნეული კონტაქტი			უძრავული გამოყენები			აღლითი 06 თებერვალი					
		განვითარება	FDI	ტექნიკური	მიზანური	უზრუნველყოფა	ინდუსტრიალური	ინდუსტრიული კონკურენცია	დაცვული სერვისები	სამსახურის სამსახური	განვითარების სამსახური	განვითარების სამსახური	სამსახურის სამსახური		
1	სინგაპური	1	1	1	4	49	10	12	13	33	10	42	47	1	
2	შვეიცარია	17	7	2	6	2	17	15	5	33	9	42	10	3	
3	აშშ	62	36	18	33	52	6	1	1	1	25	58	38	4	
4	ირლანდია	4	5	3	3	9	26	20	8	11	1	31	23	2	
5	დანია	20	6	6	16	16	12	3	7	11	13	6	8	7	
6	კანადა	30	12	4	20	57	7	14	2	2	14	6	32	6	
7	ნიდერლანდები	11	52	8	11	40	9	2	11	5	17	6	6	5	
8	ავსტრალია	55	3	14	32	50	3	5	4	33	18	31	37	12	
9	ავსტრია	15	18	10	2	29	19	7	14	11	3	6	7	8	
10	შვეიცარია	21	16	11	9	39	1	9	9	25	8	6	15	10	
11	ა.ზელანდია	41	26	5	23	54	8	8	3	33	22	6	26	11	
12	დიდი ბრიტანეთი	48	10	12	15	42	4	17	6	5	7	6	20	13	
13	ფინეთი	33	30	19	12	45	5	4	12	11	6	31	18	9	
14	ნორვეგია	29	46	17	24	30	24	6	10	25	16	6	29	14	
15	ოსრაელი	19	20	7	27	12	16	16	17	48	4	61	4	17	
16	ჩეხეთი	5	14	31	1	27	14	22	26	11	43	31	11	15	

17	სლოვენია	10	28	22	7	22	18	25	20	11	19	6	16	20
18	გერმანია	32	45	15	21	48	20	23	15	2	12	31	13	21
19	მალაიზია	2	11	29	10	18	23	39	34	33	45	42	49	19
20	უნგრეთი	7	13	41	5	34	29	19	27	11	32	1	24	23
21	პანამა	8	2	35	39	32	42	44	21	48	55	1	31	24
22	ხორვატია	13	19	21	8	7	27	33	25	33	49	1	22	16
23	საფრანგეთი	50	24	16	13	38	22	21	19	2	5	6	9	18
24	პორტუგალია	34	17	23	17	20	28	18	23	5	11	6	5	22
25	ესპანეთი	45	9	26	18	33	25	29	18	5	21	6	19	26
26	სლოვაქია	3	29	28	34	37	21	28	33	11	28	1	54	25
27	იტალია	51	40	13	22	47	15	24	24	5	15	6	12	27
28	იაპონია	61	57	42	44	59	13	11	16	33	2	6	46	29
29	სამხრეთ კორეა	26	41	25	38	24	2	13	29	33	27	31	58	28
30	რუმინეთი	22	8	37	30	10	32	43	43	11	46	1	36	35
31	ფილიპინები	14	50	47	51	1	52	47	45	11	47	31	28	33
32	საბერძნეთი	49	55	20	14	41	33	26	37	5	20	31	3	30
33	პოლონეთი	23	34	34	19	25	31	35	31	11	38	6	14	31
34	ჩილე	31	4	40	40	51	30	32	30	11	39	6	25	34
35	ბაივანი	9	32	9	31	62	11	10	22	62	62	62	55	36
36	უგანდა	52	25	62	58	3	61	56	60	48	61	6	1	32
37	ტუნისი	16	39	33	26	14	45	60	59	33	31	31	41	37
38	ბოტსვანა	18	23	30	25	36	56	46	62	48	57	6	2	39
39	უკრაინა	12	38	44	28	19	47	42	48	48	40	31	30	38
40	მაროკო	28	43	38	41	4	39	52	49	48	37	52	34	40
41	სენეგალი	37	54	36	47	11	55	58	53	33	23	6	21	41
42	მექსიკა	39	35	27	36	28	36	31	38	11	44	6	60	42
43	არგენტინა	53	31	48	45	53	34	27	36	25	24	6	39	47
44	საუდის არაბეთი	24	59	24	29	13	50	48	44	48	36	52	53	45
45	ტაილანდი	6	56	53	42	31	41	38	40	25	56	52	43	46

46	შრილანკა	25	48	50	50	5	59	55	47	58	48	42	44	43
47	რუსეთი	43	22	51	37	44	40	37	46	25	26	42	40	52
48	ნიგერია	40	27	61	59	23	58	61	58	25	41	6	62	44
49	სამხრეთ აფრიკა	47	51	45	43	55	48	34	28	25	33	6	27	48
50	პერუ	56	37	32	48	35	38	41	39	33	54	6	59	53
51	ჩილე	27	21	56	52	43	49	54	54	33	29	52	57	54
52	ბრაზილია	60	15	52	56	56	37	30	35	11	42	31	56	57
53	კენია	42	60	58	55	21	54	50	56	48	30	6	33	49
54	კოლუმბია	54	33	39	54	17	43	40	42	48	52	42	35	51
55	ეგვიპტე	35	42	49	46	15	53	59	50	33	51	58	17	59
56	პაკისტანი	59	53	54	62	6	60	51	55	48	34	52	42	50
57	თურქეთი	38	47	46	35	61	35	36	32	33	50	42	45	56
58	ბანგლადეში	57	58	57	60	8	62	62	61	58	35	42	52	58
59	ვენესუელა	44	44	43	53	58	44	45	41	33	53	42	51	55
60	ინდონეზია	36	61	59	57	46	51	49	52	25	60	42	48	60
61	ინდოეთი	58	49	60	61	26	57	53	51	58	59	52	50	61
62	ირანი	46	62	55	49	60	46	57	57	58	58	58	61	62

წარმო: Globalization Index, 2006

A.T. Kearney/FOREIGN POLICY\* უოველწლიურად აქვეყნებს მონაცემებს მსოფლიოს ყველაზე უფრო გლობალიზებული ქვეყნების შესახებ ეკონომიკური ინტეგრაციის, პიროვნული კონტაქტების, ტექნოლოგიური კავშირებისა და პოლიტიკური ინტეგრაციის მაჩვენებლების მიხედვით. ბოლო 2007 წლის მონაცემების (ცხრ. 6) თანახმად პირველ ადგილზე დგას სინგაპური, რაც განპირობებულია გაეროში მისი სამშვიდობო მისიის გაფართოებითა და ორმხრივი საგაჭრო შეთანხმების დადებით ამჟრიკის შეერთებულ შტატებთან. უნდა აღინიშნოს, რომ სინგაპური მიეკუთვნება იმ სახელმწიფოთა რიცხვს, რომლებიც მხარს უჭერენ თანამედროვე დია ეკონომიკას, მაგრამ მთავრობა არეგულირებს შიდა ბაზარს და აკონტროლებს სტრატეგიულ სექტორებს.

თუნდაც ამ ფაქტზე დაყრდნობით, შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობაზე ზეგავლენას ახდენს არა გლობალიზაციის მადალი ხარისხი, არამედ მისი მოქნილი და ეფექტური პოლიტიკა წაახალისოს ეროვნული ბიზნესი და უზრუნველყოს ჯანსაღი ეკონომიკური კლიმატი.

---

\* ავტორიზებული საკონსულტაციო კომპანია გლობალური მართვის სფეროში

### 2.3. თანამედროვე მსოფლიო სისტემა

თანამედროვე მსოფლიო სისტემის თეორეტიკოსი, იმანუილ ვალერსტაინი მსოფლიო სისტემას მიიჩნევს როგორც ერთიან სოციალურ ორგანიზმს, რომელსაც გააჩნია საკუთარი მახასიათებლები—საზღვრები, სტრუქტურები, ინტერესთა ჯგუფები, კანონმდებლობა, კავშირები. მისი განმარტებით, საუკუნეების მანძილზე განვითარებული გლობალიზაციის პროცესი ახალი ათასწლეულის მიჯნაზე სრულდება კაპიტალიზმის კრიზისით. იგი წერს: “ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, კაპიტალისტური ეკონომიკა აღმოჩნდა სერიოზული კრიზისის წინაშე, და გლობალიზაციის ტრიუმფი გედის სიმდერასავით ჩაისმის ჩვენს ისტორიულ ეპოქაში.” (Wallerstein, Immanuel M., *Utopistics*, New York: Academic Press. 1998. p.23).

ვალერსტაინის განმარტებით, მსოფლიო სისტემას წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული ნაწილებისაგან შემდგარი ისტორიულად განვითარებული სოციალური სისტემა, რომელიც აყალიბებს საზღვრის მქონე სტრუქტურას და ფუნქციონირებს საკუთარი წესების შესაბამისად მრავალფეროვან კულტურულ გარემოში (Wallerstein, Immanuel M., *Geopolitics and Geoculture: Essays on the Changing World-System*, Cambridge University Press, 1991). ეს არის კაპიტალისტური მსოფლიო ეკონომიკა, რომლის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს კერძო კაპიტალი, წარმოება და ვაჭრობა, და რომელსაც არ გააჩნია ერთი კონკრეტული პოლიტიკური ცენტრი. თანამედროვე მსოფლიო სისტემა XVI-საუკუნის ევროპის წიაღიძან იდგბს ფესვებს, როდესაც ფეოდალიზმის კრიზისმა და ბურჟუაზიის განვითარებამ წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებას შეუწყო ხელი.

მსოფლიო სისტემა წარმოადგენს ერთიან მსოფლიო ბაზარს, სადაც სამუშაო ძალა და სახელმწიფოები ქმნიან ინტეგრირებულ სტრატიგიკირებულ სისტემას. სამუშაო ძალა კლასიფიცირდება პროფესიული ცოდნის, ფუნქციონალური იერარქიისა და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით, ქვეყნები კი იყოფიან ბირთვ-სახელმწიფოებად, ნახევრად-პერიფერიულ სახელმწიფოებად და პერიფერიულ მხარეებად.\*

\* ვალერსტეინი პერიფერიული ქვეყნების ნაცვლად იყენებს ტერმინს პერიფერიული მხარეები; რაც მისი განმარტებით, აისხება გარკვეული ტერიტორიული ერთეულების არასახელმწიფოებრივი სტატუსით

**ბირთვი-სახელმწიფოები** დაფუძნებული არიან თანამედროვე ცოდნასა და უახლეს ტექნოლოგიებზე, გააჩნიათ ძლიერი პოლიტიკური ინსტიტუტები და სამხედრო პოტენციალი, ორიენტირებული არიან გადამუშავებული პროდუქციის ექსპორტზე და კერძო ბიზნესის ტრანსნაციონალიზაციაზე, ფლობენ მაღალ ხვედრითი წილს მსოფლიო ეკონომიკაში. მათ რიცხვს მიეკუთვნება ჩრდილო-დასავლეთ ეკროპის ქვეყნები, ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა და იაპონია.

**პერიფერიული მხარეები** ხასიათდებიან ცოდნის დაბალი დონით, დამოკიდებული არიან ბირთვ-სახელმწიფოებზე, მათი შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს გადასახადები იმპორტზე და ბუნებრივი რესურსებისა და ნედლეული მასალების ექსპორტი, გააჩნიათ დაბალი სამხედრო პოტენციალი და სუსტი სახელისუფლებო სტრუქტურა. ასეთი ქვეყნების შემადგენლობაში შედიან აზიის დიდი ნაწილი, აფრიკა, ლათინური ამერიკა და პოსტ-საბჭოოთა სივრცის ქვეყნების უმრავლესობა.\*\*

**ნახევრადპერიფერიული ქვეყნები** ნაკლებად დამოკიდებული არიან ცენტრ-სახელმწიფოებზე და ხასიათდებიან მდგრადი სახელმწიფოებრივი სტრუქტურითა და სტაბილური და მზარდი ეკონომიკური პოტენციალით. ასეთ სახელმწიფოებს წარმოადგენენ ცენტრალური და აღმოსავლეთ ეკროპის, ხმელთაშუა ზღვისპირა ქვეყნები, აგრეთვე მექსიკა, სამხრეთ კორეა, მალაიზია, ტაივანი, სინგაპური, ჰონკონგი.

ბირთვი-სახელმწიფოები, ეყრდნობიან რა ძლიერ სამხედრო და ეკონომიკურ პოტენციალს, გამოხატავენ სოციალური იერარქიის მაღალ საფეხურზე მყოფი კლასების ინტერესებს და ცდილობენ შეინარჩუნონ პერიფერიებზე დომინირების სტატუსი. ვალერსტაინის აზრით, კაპიტალიზმის კრიზისი გამოწვეულია სწორედ მისი იმპერიალისტური ბუნებით, რაც მოგების არათანაბარ განაწილებას უწყობს ხელს. იგი განსაკუთრებულ უურადღებას უთმობს ნახევრად პერიფერიას და მის არსებობას მსოფლიო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ატრიბუტად მიიჩნევს. მისი აზრით, მსოფლიო ეკონომიკა ნახევრადპერიფერიის გარეშეც კარგად იფუნქციონირებდა, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით ის ნაკლებად სტაბილური და ბალანსირებული იქნებოდა.

\*\* ამ შემადგენლობაში არ შედის ცენტრალური და აღმოსავლეთ ეკროპის ქვეყნები

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს, თუ რა ტრანსფორმაციას განიცდიან სახელმწიფოები გლობალიზაციის ზეგავლენის შედეგად და როგორია მათი კონკურენტუნარიანობის სტრატეგიები გლობალურ სივრცეში. ცხადია, თითოეული მათგანი გამოირჩევა როგორც სპეციფიური პოლიტიკურ-ეკონომიკური მმართველობის სისტემებით, ისე დამოუკიდებელი კონკურენტუნარიანობის სტრატეგიებით.

ვალერსტაინის თეორია ასახავს მსოფლიოს, როგორც ერთიანი სოციალური სისტემის ქრონოლოგიური განვითარების პროცესს და ადგენს კაპიტალისტური სისტემის კრიზისის გამომწვევ მიზეზებს, მაგრამ იგი ვერ იძლევა ერთ-სახელმწიფოს ტრანსფორმაციისა და ახალი გეოსტრატეგიული კონკეფციის ანალიზს.

მსოფლიო სისტემის თეორია წარმოადგენს თეორიას, რომელიც ასახავს თანამედროვე გლობალურ უთანაბრობას დასავლეთის პოლიტიკური და ეკონომიკური დომინანტობის ზრდის ფონზე. ამ თეორიის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ თანამედროვე კაპიტალისტური სისტემა აფერხებს განვითარებას და ზრდის უფსკრულს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტში განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის.

### **თავი 3. ეროვნული საინვაციო სისტემა და მისი თეორიული ასპექტები**

#### **3.1. ეროვნული საინვაციო სისტემის კონცეფცია**

1982 წელს კრისტოფერ ფრიმენმა, თავის გამოუქაეყნებელ ნაშრომში "ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა", რომელიც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კვლევის, ტექნოლოგიისა და კონკურენტუნარიანობის სფეროების ექსპერტთა ჯგუფისათვის მომზადდა, პირველმა ახსენა ეროვნული საინვაციო სისტემის კონცეფცია და ხაზი გაუსვა საინვაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროცესში სახელმწიფოს აქტიურ როლს.

ფრიმენი იყო პირველი, რომელმაც 1987 წელს შემოიტანა ეროვნული საინვაციო სისტემის კონცეფციის თანამედროვე განმარტება და გააანალიზა კომპანიებს შორის არსებული მახასიათებლები, კორპორაციული მართვის, განათლების სისტემისა და სახელმწიფოს როლი.

ეროვნული საინვაციო სისტემის კონცეფცია დაფუძნებულია ნეო-შუმპეტერიანულ ეკონომიკურ თეორიაზე, რომელიც აქცენტს აკეთებს ინოვაციებსა და მეწარმეობაზე. ფრიმენის ნაშრომების ამოსავალი წერტილი იყო შუმპეტერის მიერ ჩამოყალიბებული ინოვაციების თეორია. შუმპეტერის თანახმად, ინოვაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც "ახალი კომბინაცია" და განვასხვაოთ იგი გამოგონებისაგან - გამოგონება იქცევა ინოვაციად მხოლოდ მაშინ, როდესაც მეწარმე მას ბაზარზე გაიტანს და მოახდენს მის კომერციალიზაციას.

საინვაციო სისტემის თეორიის მიხედვით, ინოვაცია და ტექნოლოგიის განვითარება სისტემის აქტორებს შორის კომპლექსური ურთიერთობების შედეგია. ეს ურთიერთობები მოიცავს საწარმოებს, უნივერსიტეტებსა და სახელმწიფო კვლევით ინსტიტუტებს.

ლიტერატურაში არ არსებობს ეროვნული საინვაციო სისტემის ცალმხრივი განმარტება. ქვემოთ მოყვანილი განსაზღვრებები ციტირებულია OECD-ის პუბლიკაციიდან ეროვნული საინვაციო სისტემის შესახებ:

"... სიახლის კომერციული ან საწარმოო გამოყენება. სიახლე შეიძლება გულისხმობდეს ახალ პროდუქტს, წარმოების პროცესს ან მეთოდს; ახალ ბაზარს ან მიწოდების წყაროებს; კომერციული ბიზნესის ახალ ფორმას ან ფინანსურ ორგანიზაციას" (Schumpeter, Joseph. History of Economic Analysis. Oxford University Press, 1954. p.6)

"... პროცესი, რომლის მეშვეობითაც ერი ქმნის და გარდაქმნის ახალ ცოდნასა და ტექნოლოგიებს სასარგებლო პროდუქტებად, მომსახურებად და პროცესებად ეროვნული და მსოფლიო ბაზრებისათვის - რაც იწვევს როგორც აქციონერებისათვის ფასეულობის შექმნას, ასევე ზოგადად ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას" (XXI საუკუნის ინოვაციაზე მომუშავე ჯგუფი, 2004, აშშ)

"... საჯარო და კერძო სექტორების დაწესებულებათა ქსელი, რომელთა აქტივობები და ურთიერთქმედება ახდენს ახალი ტექნოლოგიების ინიცირებას, იმპორტირებას, მოდიფიცირებასა და გავრცელებას" (Freeman, C. (1987), *Technology Policy and Economic Performance: Lessons from Japan*, London: Pinter.. p.8.)

"... ელემენტები და ურთიერთობები, რომლებიც ურთიერთქმედებენ ახალი და ეკონომიკურად სასარგებლო ცოდნის შექმნის, გავრცელებისა და გამოყენების პროცესში... და განლაგებული ან დაფუძნებული არიან ეროვნული საელმწიფოს საზღვრებს შიგნით" (Lundvall, B-A. (ed.) (1992), *National Systems of Innovation: Towards a Theory of Innovation and Interactive Learning*, London: Pinter.p.5)

"... დაწესებულებათა კომპლექსი, რომელთა ურთიერთქმედება განსაზღვრავს ეროვნული ფირმების ინოვაციური საქმიანობის მაჩვენებელს" (Nelson, R.R. (ed.) (1993), *National Systems of Innovation: A Comparative Study*, Oxford: Oxford University Press. P.5 )

"... ეროვნული საინოვაციო სისტემა შედგება იმ დაწესებულებებისა და ეკონომიკური სტრუქტურებისაგან, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ საზოგადოებაში ტექნოლოგიური ცვლილების დონესა და მიმართულებაზე" (Edquist Ch., *Systems of Innovation Approaches*, 1997.p.13)

"... საჯარო და კერძო ფირმების (როგორც მსხვილი ასევე მცირე), უნივერსიტეტებისა და სამთავრობო სააგენტოების ურთიერთქმედების

სისტემა, რომლის მიზანია ეროვნული სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით მეცნიერებისა და ტექნოლოგიის წარმოება. ინტერაქცია ამ სექტორებს შორის შეიძლება იყოს ტექნიკური, კომერციული, საკანონმდებლო, სოციალური და ფინანსური, იმდენად, რამდენადაც ამ ურთიერთქმედების გრძელვადიანი მიზანია ახალი მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარება, დაცვა, დაფინანსება და რეგულირება" (J. Niosi (editor): Technology and National Competitiveness, Montreal and Kingston, McGill-Queen's University Press, 1991. P. 23).

"... ეროვნული დაწესებულებები, მათი მასტიმულირებელი სტრუქტურები და კომპეტენციები, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყანაში ტექნოლოგიური სწავლების დონესა და მიმართულებას (ან ცვლილების წარმომქმნელი აქტივობების მოცულობასა და შემადგენლობას" (Patel, P. and Pavitt, K. (2000), 'National Innovation Systems. Why They are Important, and How They Might be Measured and Compared', in Charles Edquist. p.14)

"... კომპლექსი ცალკეული დაწესებულებებისა, რომლებსაც ერთობლივად და ინდივიდუალურად შეაქვთ წვლილი ახალი ტექნოლოგიების განვითარებასა და გავრცელებაში და რომლებიც წარმოადგენენ ჩარჩოს, სადაც სახელმწოდები ქმნიან და ახორციელებენ ინოვაციის პროცესზე ზემოქმედების პოლისებს. ამგვარად, ეს არის ერთმანეთთან შეკავშირებულ დაწესებულებათა სისტემა, რომელმაც უნდა შექმნას, შეინახოს და გარდაქნას ის ცოდნა და უნარები, რომლებიც განსაზღვრავენ ახალ ტექნოლოგიებს" (მეტკალფი, 1995).

როგორც ზემოთ მოყვანილი განმარტებებიდან ჩანს, საინოვაციო სისტემის განხორციელება დამოკიდებულია ცოდნის ნაკადის მიმოქცევაზე საწარმოებს, უნივერსიტეტებსა და პლევით ინსტიტუტებს შორის. ორივე - უარული ცოდნა, არაოფიციალური არხებით გაცვლილი ნოუ-ჰოუ, და კოდირებული ცოდნა, ანუ პუბლიკაციებში, პატენტებსა და სხვა წყაროებში კოდირებული ინფორმაცია თანაბრად მნიშვნელოვანია. ცოდნის მექანიზმი მოიცავს მრეწველობის დარგის ერთობლივ კვლევას, კერძო და სახელმწიფო სექტორების პარტნიორობას, ტექნოლოგიის გავრცელებასა და საკადრო გადანაცვლებას.

ინოვაციების კონცეფციის ფუნქციად მონაცემთა შეგროვება და ინოვაციისა და მიღწევების ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორების ანალიზის წარმართვის ხელშეწყობა. ინოვაციის კონცეფცია აყალიბებს მნიშვნელოვან ურთიერთობებს ინოვაციის შემავალ ფაქტორებს, სტრატეგიას, პროცესსა და გარდამავალ და საბოლოო შედეგებს შორის.

ეროვნული საინოვაციო სისტემის თეორიის თანახმად, ტექნოლოგიისა და ინფორმაციის სინთეზი პიროვნულ რესურსებს, საწარმოებსა და დაწესებულებებს შორის ინოვაციური პროცესის გასაღებს წარმოადგენს. ინოვაციისა და ტექნოლოგიის განვითარება სისტემის აქტორების კომპლექსური ურთერთობების შედეგია და მოიცავს საწარმოებს, უნივერსიტეტებს და სახელმწიფო კვლევით ინსტიტუტებს.

ეს კონცეფცია ტრადიციულ სწორხაზოვან ჯაჭვურ მოდელს ცვლის დინამიური ინოვაციური პროცესით და აფართოებს მას საზოგადოების ყველა ასპექტის გაერთიანების გზით, რათა შექმნას ფართო და მრავალმხრივი "ეროვნული საინოვაციო ეკოსისტემა". ეროვნული მასშტაბის მიუხედავად, ის ინარჩუნებს ფოკუსს მრეწველობის დონეზე და აჯგუფებს ინოვაციის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებს მომდევნო ექვს განზომილებად:

1. ინოვაციური წვლილის ფაქტორები - სამეწარმეო სტრატეგია, ცოდნა, კაპიტალი, პიროვნული რესურსები, პატენტები, სამეცნიერო პუბლიკაციები.
2. ინოვაციური პროცესის განხორციელება - ფორმულირება, წარმოება, ორგანიზაციული კულტურა და ბარიერები კომერციალიზაციისათვის.
3. საჯარო პოლიტიკის გარემო ფაქტორები - კვლევისა და განვითარების პოლიტიკა, გადასახადები, ინტელექტუალური საკუთრება, სტანდარტები და ბაზრის ხელმისაწვდომობა.
4. ინოვაციის ინფრასტრუქტურის პირობები - კვლევის ხარისხი უნივერსიტეტებში, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ლაბორატორიებში და პიროვნული რესურსების არსებობა.
5. მომსმარებლის ღირებულება/შედეგები - ფასის შემცირება, სარგებელი, მოგება.
6. შედეგები ეროვნულ დონეზე - ზრდა, დასაქმება, კონკურენტუნარიანობა და გაჭრობა.

ეს განზომილებები, ინდივიდუალურად და ეკოლოგიური სისტემის სახით, შეადგენენ გარემოს, რომელშიც ეროვნული საწარმოები ქმნიან ინოვაციას. ეს ფაქტორები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ნახაზებზე:

ეს კონცეფცია სცილდება ცოდნის მართვის თეორიას და ხაზს უსვავს იმ ფაქტორს, რომელიც მართავს ცოდნის გარდაქმნის პროცესს სასარგებლო პროდუქტებად და მომსახურებად. კონცეფცია დაბალანსებულია და აღიარებს ორივეს - ტექნოლოგიურ იმპულსს (წვლილი) და მოთხოვნის გავლენას (შედეგები).


მაშინ, როდესაც ინოვაციური საწარმოები გვევლინებიან ცოდნის გარდაქმნისა და კომერციალიზაციის მთავარ წარმმართველ ფაქტორებად, ინოვაცია ხდება მსოფლიო დონეზე ინტერაქციული ხასიათის მატარებელი, რომელიც აერთიანებს მომხმარებელს, სახელმწიფოს, სამეცნიერო საზოგადოებას, ფინანსურ სექტორსა და კვლევით ცენტრებს და ავითარებებს მათ შორის პარტნიორულ ურთიერთობებს. კონცეფცია დიდ ყურადღებას უთმობს სახელმწიფო პოლიტიკის გარემოს ატრიბუტებსა და ინოვაციის ინფრასტრუქტურას, როგორც ეროვნული ინოვაციური საქმიანობის მნიშვნელოვან განმაპირობებელ ფაქტორს.

#### ნახ. 7 ეროვნული საინოვაციო სისტემა



წყარო: OECD

## ნახ. 8. ეროვნული ინოვაციური სისტემა (ამერიკული მოდელი)



**წყარო:** OECD

სტრატეგიული მართვის წამყვანი სპეციალისტების აზრით, აშშ-ი წარმოების ფაქტორის ჯამური პროდუქტიულობის ზრდა განაპირობა გექნოლოგიურმა პროგრესმა და სამუშაო ძალის უნარმა და გამოცდილებამ. ქვეყნებს შორის ეკონომიკური ზრდის მიღწევების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეროვნული ინოვაციური აქტივობის ინტენსიურობა პირდაპირ კავშირშია პროდუქტიულობის ზრდასთან და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასთან.

ახალი პროდუქტებითა და მომსახურებით წარმოდგენილი წარმატებული ინოვაციის შედეგები წარმოშობს ახალ ბაზრებს, ქმნის ხელსაყრელ გარემოს საწარმოების განვითარებისთვის, ამასთანავე ხელს უწყობს პროდუქტიულობის გაზრდას, ფასების დაწევას, მოგებასა და დასაქმებას. კომპანიები, რომლებიც გვთავაზობენ ინოვაციებს, ფლობენ მსოფლიო ბაზრის მეტ წილს, განიცდიან უფრო სწრაფ ზრდას, აქვთ მეტი მოგება და მეტი საბაზრო დირექტულება. ინოვაციას ასევე გააჩნია დაგროვების ეფექტი, რადგან კონკურენტი ორგანიზაციები ითვისებენ ახალ ტექნოლოგიებს. ინოვაციური პროდუქტების მომხმარებლები იღებენ მეტ მოგებას, მეტი არჩევანის, უკეთესი მომსახურების, უფრო დაბალი ფასებისა და გაუმჯობესებული პროდუქტიულობის სახით.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ინოვაციის გავრცელება ხელს უწყობს ერთს "ცოდნის მარაგის" აკუმულირებას, რაც ქმნის საფუძველს ბაზრის ზრდისათვის, გრძელვადიანი ფასეულობების წარმოქმნის და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

სახელმწიფო პოლიტიკის შემმუშავებლებს ეროვნული ინოვაციის სისტემის შეცნობა დაეხმარება ათვლის წერტილის დადგენაში ინოვაციური საქმიანობის მაჩვენებლისა და მთლიანად კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად. მას ასევე შეუძლია დახმარების გაწევა სისტემაში არსებული იმ ცდომილებების ამოცნობაში, რომლებიც ხელს უშლიან ტექნოლოგიების განვითარებასა და ინოვაციის დანერგვას. ის პოლიტიკა, რომელიც ემსახურება სისტემის შიგნით არსებულ დაწესებულებებსა და აქტორებს შორის ურთიერქმედების გაუმჯობესებას და მიზნად ისახავს კომპანიების ინოვაციური შესაძლებლობების გაზრდას მოცემულ გარემოში, ყველაზე ღირებულს წარმოადგენს.

### 3.2. ეროვნული საინოვაციო სისტემის მთავარი აქტორები

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემებით, ეროვნულ ინოვაციურ სისტემაში მოქმედი დაწესებულებები ვიწრო კონტექსტში განხილვით შეიძლება დავყოთ ხუთ ძირითად კატეგორიად:

- **მმართველობა** - (ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული, გლობალური - განსხვავებული ზეგავლენით ქვეყანაზე) რომელიც ძირითად როლს თამაშობს პოლიტიკის მიმართულების განსაზღვრაში.
- **დამაკავშირებელი ინსტიტუტები** - პალევითი საბჭოები და ასოციაციები, რომლებიც გვევლინებიან მთავრობისა და პალევის მწარმოებელთა დამაკავშირებელ ხიდად.
- **კურძო საწარმოები და კვლევითი ინსტიტუტები**, რომლებსაც ისინი აფინანსებენ.
- **უნივერსიტეტები და სხვა სასწავლო დაწესებულებები**, რომლებიც უზრუნველყოფენ ძირითადი ცოდნისა და უნარების შექმნას.

- **სხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციები** რომლებიც თავიანთ როლს თამაშობენ ეროვნული საინოვაციო სისტემის შექმნაში, (სახელმწიფო ლაბორატორიები, ტექნოლოგიების გარდამქმნელი ორგანიზაციები, ერთობლივი კვლევითი ინსტიტუტები, საპატენტო სამსახურები, საკონსულტაციო ორგანიზაციები და ა.შ.)

ზემოთ მოყვანილი საინოვაციო ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს კერძო საწარმოების მიერ წვლილის შეტანას, და ჩვენი აზრით იგი შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

- **სამუცნიერო და კვლევითი დაწესებულებები** რომლებიც გვევლინებიან ცოდნის მთავარ წყაროდ და მოიცავენ უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებს, ლაბორატორიებსა და არაკომერციულ კვლევით ორგანიზაციებს, კვლევისა და განვითარების ასოციაციებს, ტექნოლოგიის გარდაქმნისა და ტექნოლოგიის საუკეთესო გამოცდილების ცენტრებს.
- **კაპიტალით უზრუნველყოფის ორგანიზაციები და ბაზრები** რომლებიც აფინანსებენ ინოვაციასა და ახალი პროდუქტების და მომსახურების მოწოდებას. რისკის (ვენჩორული) კაპიტალი და სახელმწიფო კვლევითი პროგრამები თამაშობენ განსაკუთრებულად მნიშვნელოვან როლს ტექნოლოგიაზე დაფუძნებული საწარმოების განვითარებაში. საინვესტიციო ბაზრები იძლევიან მნიშვნელოვან სტიმულს ინოვაციისათვის.
- **საგანმანათლებლო დაწესებულებები** - სკოლები, კოლეჯები და უნივერსიტეტები, ასევე კერძო სექტორის სატრენინგო ორგანიზაციები, რომლებმაც უნდა შექმნან მოწინავე მეცნიერთა, ინჟინერთა, მენეჯერთა და ტექნიკური სამუშაო ძალის ძლიერი ნაკრები. პიროვნული რესურსის კაპიტალი, ელასტიურობა და მოქნილობა, ინოვაციის მნიშვნელოვანი შემადგენელი ფაქტორია, როგორც ინოვაციის შემქმნელთა, ისე მათი მომხმარებელთათვის.
- **საინფორმაციო ინფრასტრუქტურა** ამარაგებს საწარმოებს ინოვაციისათვის საჭირო მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებითა და საკომუნიკაციო პლატფორმით. გლობალურ დონეზე თანამშრომლობა და დია საინოვაციო სისტემები დამოკიდებულია კომპიუტერული ტექნოლოგიის წინსვლაზე, პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებასა და საინფორმაციო ქსელებზე.
- **რეგიონული ინოგაციური კლასტერები** წარმოადგენს კონკრეტულ სფეროში ურთიერთდაკავშირებული ბიზნესის, მიმწოდებელი კომპანიებისა და დამაკავშირებელი ინსტიტუტების გეოგრაფიულ კონცენტრაციას, რომლებიც

იზიარებენ საერთო ცოდნას, სამუშაო ძალას, ბაზრებსა და სადისტრიბუციო არხებს.

ეროვნული საინვაციო სისტემის ანალიზის შედეგად გაპეტებული დასკვნების საფუძველზე, ხაზი უნდა გაესვას ინვაციური აქტივობის სარგებელსა და შედეგებს:

▪ **სამრეწველო წარმატების წვლილი.** წვლილი ფინანსურ წარმატებაში შეგვიძლია გავზომოთ ახალი პროდუქტების/მომსახურების გაყიდვიდან შემოსული მოგებით, საბაზრო წილის ცვლილებით და ინტელექტუალური საკუთრების ლიცენზირების შედეგად მიღებული მოგებით. არამატერიალური შენატანი - კომპანიის ცოდნის მარაგის ზრდა და მოპოვებული კომპეტენციები ინოვაციის მართვაში, ორგანიზაციული ცოდნა და ადაპტაციის უნარი უფრო სუბიექტურია და მათი რაოდენობრივი მახასიათებლების განსაზღვრაც როცელია. თუმცა, ეს სუბიექტური ფაქტორები სტრატეგიულად მნიშვნელოვანია გრძელვადიანი კონკურენტუნარიანი წარმატებისთვის.

▪ **მომხმარებელთათვის ფასეულობის შექმნის წვლილი.** ეს შენატანი შეიძლება იყოს პროდუქტი, მომსახურება, ან პროცესუალური ზეგავლენა. პროდუქტის ზეგავლენა კავშირშია ინოვაციის ფუნქციონალურობასთან, დონესთან და საქმიანობის მაჩვენებელთან მომხმარებლისათვის გამოყენებისა და წარმატების გაუმჯობესების საკითხში. პროდუქტმა შეიძლება გავლენა მოახდინოს საქონლის ან მომსახურების დონეზე, ახალი ბაზრის შექმნასა და ხარისხის გაუმჯობესებაზე. პროცესუალური გავლენა ეხება ფასების დაწევას, ფაქტორები კი - უფრო არამატერიალურ საკითხებს, როგორიც არის დროის განაწილება და მიწოდების დაგეგმვა, ტექნიკური მხარდაჭერა, ტრენინგი, ბრენდის იმიჯი, უსაფრთხოება, გარემოს გავლენები და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა.


▪ **ეროვნული შედეგები.** რეალური მთლიანი შიდა პროდუქტისა და მთლიანი შიდა პროდუქტის ერთ სულ მოსახლეზე ზრდა, ინოვაციის მთლიანი წვლილისა და მოგების ტრადიციული საზომია. სხვა საზომები მოიცავენ: შრომის და ჯამური ფაქტორების პროდუქტიულობას, შემოსავალს ერთ სულ მოსახლეზე, სექტორულ სავაჭრო ბალანსს, ინოვაციასთან დაკავშირებულ კორპორატიულ შემოსავლებს, საფონდო ბაზრის ღირებულებებს, საბაზრო წილს და ბაზრების შეღწევადობას.

### 3.3. რეგიონული საინვაციო სისტემების ანალიზი


რეგიონული საინვაციო სისტემა (RIS) რეგიონული განვითარების ახალი მოდელია, რომელიც შესაძლოა იქცეს ქვეყნის დაბალანსებული ეკონომიკური განვითარების ახალ საშუალებად. იგი შეიძლება განისაზღვროს როგორც სისტემა, რომელიც ახდენს რეგიონში არსებული კომპანიების ინვაციური უნარის სტიმულირებას იმგვარად, რომ გააძლიეროს რეგიონის ზრდის პოტენციალი და რეგიონული კონკურენტულიანობა.

რეგიონული საინვაციო სისტემას წვეულებრივ უპირისპირებენ ეროვნულ საინვაციო სისტემას და გლობალურ (GIS) საინვაციურ სისტემებს. თითოეული სისტემის აქტორები და მათ შორის დამოკიდებულება მოცემულია ნახაზში №9

#### ნახ. 9. გლობალური, ეროვნული და რეგიონული ინვაციის სისტემები



## ნახ. 10. ოგიონული ინოვაციური გარემოს შეიდა და გარე ფაქტორები



წყარო: OECD

## ცხრილი 9. საინოვაციო სისტემები - შემაჯამებელი ცხრილი

	<b>ინოვაციის ეროვნული სისტემები</b>	<b>ინოვაციის ეკოსისტემის სისტემები</b>
სისტემის ელემენტები	მასობრივი წარმოების ეკონომიკური პროცესის ინიციატივა	ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა. პროდუქტის ინიციატივა
კომპანიის შიდა ურთიერთობები	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ ბაზარი</li> <li>▪ სახელისუფლები ურთიერთობები</li> <li>▪ აქცენტი კონკურენციაზე</li> <li>▪ მიმწოდებელთა ურთიერთობები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ საუნივერსიტეტო კვლევა</li> <li>▪ ასლი პროდუქტის კვლევა და განვთარებაზე ცოდნის გარე წყაროები</li> <li>▪ ადგილობრივი კვლევისა და განვთარების (RD) ნაკლებობა</li> </ul>
საზოგადოება და საჯარო სექტორი	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ აქცენტი სამთავრობო დონეზე</li> <li>▪ პარტნიორული ურთიერთობები</li> <li>▪ მარკეტინგული ნორმები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ აქცენტი რეგიონალურ დონეზე</li> <li>▪ საჯარო და კერძო თანამშრომლობები</li> <li>▪ საზოგადოება, თანამშრომლობა და ნდობა</li> </ul>
ფინანსების შიდა სტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ ინოვაციისა და წარმოების მექანიზმები და აუტორიტარული განცალკევება</li> <li>▪ მრავალური ინიციატივის იქრანება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ სისტემური ინიციატივები ინოვაციაზე</li> <li>▪ უწყვეტი ინოვაცია</li> <li>▪ მატრიცული ინოვაცია</li> </ul>
ფინანსური სექტორის დაწესებულებები	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ ფინანსური დანაზოგები და ინკუსტიცია</li> <li>▪ ფინანსური ფინანსური სექტორი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ რისკის კაპიტალი</li> <li>▪ არაფორმალური ფინანსური სექტორი</li> </ul>
მატერიალური და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ ეროვნული ორიენტაცია</li> <li>▪ მატერიალური ინფრასტრუქტურა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ მსოფლიო ორიენტაცია</li> <li>▪ ინფორმაციის ელექტრონული გაცვლა</li> </ul>
ფინანსის სტრატეგია, სტრუქტურა და კონკურენცია	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ ახალი ფინანსების ჩამოყალიბების სირთულე</li> <li>▪ ახალი ცოდნის ხელმისაწვდომობის არ ქრია</li> <li>▪ მეწარმეობის დაბალი დონე, ან სრულიად არ არსებობა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ ახალი ფინანსების ჩამოყალიბების სიმარტივე</li> <li>▪ ცოდნის ხელმისაწვდომობის სიაფე</li> <li>▪ გამომგონებლობა გადაწყვეტი ფაქტორია</li> </ul>
ცოდნის ინფრასტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ კვლევისა და განვითარების ლაბორატორიები</li> <li>▪ კვლევისა და განვითარების პროცესზე ფოკუსირება</li> <li>▪ ცენტრალური კვლევისა და განვითარების ლაბორატორიები</li> <li>▪ თავდაცვაზე ფოკუსირება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ საუნივერსიტეტო კვლევა</li> <li>▪ ფოკუსირება ახალი პროდუქტის კვლევასა და განვითარებაზე</li> <li>▪ ცოდნის გარე წყაროები</li> <li>▪ ადგილობრივი კვლევისა და განვითარების გაფრცელება</li> </ul>

წყარო: OECD

მაიკლ პორტერმა თავის მონოგრაფიაში - "ერების კონკურენტული უპირატესობები", აჩვენა, რომ აშშ-ს წამყვანი კონკურენტული პოზიცია ინოვაციებში განპირობებული იყო კლასტერებზე დაფუძნებული რეგიონული და ადგილობრივი ინოვაციური სისტემების არსებობით. ახალი ათასწლეულის დასაწყისში მოწინავე ეკონომიკის მქონე პრაქტიკულად ყველა სახელმწიფო ხელს უწყობდა ეროვნული კონკურენტულობის ზრდაზე ორიენტირებული რეგიონული საინოვაციო სისტემისა და კლასტერების ჩამოყალიბების პოლიტიკის განვითარებას, როგორც საშუალებას. ამგვარი მიღვომის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო შემთხვევას ადგილი ჰქონდა გერმანიაში 1995 წელს, როდესაც მთავრობამ გამოაცხადა ბიორეგიონული კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავდა რეგიონული ორგანოებიდან განაცხადების მიღებას, რათა მათთვის ფინანსური მხარდაჭერა გაუწია ინოვაციური, რეგიონული ბიოტექნოლოგიური კლასტერების მშენებლობაში, რომლებიც დაეხმარებოდნენ გერმანიას ბიოტექნოლოგიის კომერციალიზაციაში არსებული სუსტი კონკურენტული პოზიციის გაუმჯობესებაში. გამარჯვებული რეგიონები გახდნენ მიუნხენი ბავარიაში, კიონი და დიუსელდორფი ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიაში და ჰეიდელბერგი ბადენ-ვურტემბერგში. გაერთიანებულ სამეფოში მთავრობის სამეწარმეო პოლიტიკა 1998 წლიდან აშენებს ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკას, იგი აძლიერებს რეგიონული განვითარების ორგანოებს და ახდენს ინოვაციის ზრდის თანადაფინანსებას, უჭერს რა მხარს რეგიონული კლასტერების მშენებლობის სტრატეგიას.

აღნიშნული მაგალითები ნათელს ხდიან, რომ რეგიონული საინოვაციო სისტემები ამჟამად მიჩნეულია, როგორც მნიშვნელოვანი როლის მქონე ეკონომიკური განვითარების ბერკეტი. საქმე ეხება როგორც ბაზრის კერძო აქტივობით ინოვაციის მხარდაჭერ სისტემებში მთავრობის მხრიდან ჩარევას, ისე იმ გზებს, რომლებშიც კარგად ფუნქციონირებად სისტემას და კლასტერებს ექნებათ საკუთარი ფორმალური თუ არაფორმალური მმართველობა. განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარეობს ხელისუფლების მიერ მიღებული რიგი სტრატეგიების განხილვა, რომელთა მიზანია ნაკლებად პრივილეგირებული რეგიონების მაგალითების გათვალისწინებით, მხარდაჭერა გაუწიონ კლასტერებისა და ინოვაციების ზრდასა და გაძლიერებას.

იმისთვის, რომ ტერიტორიები კომპანიებისათვის მიმზიდველი გახდნენ, მათზე შეიძლება შეიქმნას სპეციფიკური დაწესებულებები, როლებიც მხარს

დაუჭერენ მათ ინოვაციურ სტრატეგიებს. რეგიონები, განსაკუთრებით მაშინ, თუ მათ უკვე განავითარეს კლასტერები და შესაბამისი ადმინისტრაციული მოწყობა ინოვაციური საწარმოების მხარდასაჭერად, წარმოადგენენ ეკონომიკური ინტერესის უფრო მნიშვნელოვან გაერთიანებებს, განაპირობებენ რა ეკონომიკური აქტივობების სწორ დინებას და ფლობენ ჯანსაღი ურთიერთკავშირის დამყარების უპირატესობას ეკონომიკის აქტორებს შორის. ბუნებრივია, რომ რეგიონებმა, რომელთაც გააჩნიათ რესურსი, მათ შორის ინსტიტუციონალური და სამთავრობო, უნდა მოიპოვონ შედარებითი უპირატესობა მათი მობილიზებით, ხოლო იმ რეგიონებმა, რომელთაც ამგვარი რესურსი არ გააჩნიათ, უნდა შექმნან იგი.

როგორც ვხედავთ, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, თუ როგორ გარდაქმნის კომპანიების, ბაზრების, თვითმმართველობის ორგანოების, კვლევითი ინსტიტუტების, სატრეინინგო დაწესებულებების, სოციალური პარტნიორების ერთმანეთთან მორგების პროცესს საინოვაციო სისტემის ელემენტების შექმნა, რომელსაც შეუძლია მოიცვას ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სექტორი და მოახდინოს მათი სტაბილიზაცია. ზემოაღნიშნული აშკარას ხდის იმ პროგრამების მნიშვნელობას, რომელთაც შეუძლიათ ადგილობრივი კონტაქტების დამყარებისა და ადგილობრივი ლიდერობის გაძლიერება ეკონომიკის ზრდის მიზნით წარმოებული მენეჯმენტის უნარიანობის განვითარებაში. ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს იმ ქსელს, რომელიც აკავშირებს აგენტებს საჯარო და კერძო სექტორებში, ისევე, როგორც აგენტებს ამ ორ სექტორს შორის.

### 3.5. კლასტერული განვითარების ასპექტები

რეგიონული კლასტერები, სპეციფიკურ სფეროში სხვადასხვა ურთიერთკავშირების გზით შეერთებული ეკონომიკური მოქმედების გეოგრაფიული კონცენტრირება, თანდათან უფრო აქტუალური განხილვის საგანი ხდება რეგიონის კონკურენტუნარიანობის ან ეკონომიკური სიძლიერის გამოსაკვეთად. ბოლო წლებში, ამ თვალსაზრისმა მოახდინა უფრო და უფრო მეტი პოლიტიკის შემმუშავებლისა თუ ეკონომიკური განვითარების აქტორის მოტივაცია, კლასტერებზე დაფუძნებული კონცეფციის, როგორც რეგიონული პროდუქტიულობის გაძლიერების ახალი ინსტრუმენტის, გამოყენების მიმართულებით.


კლასტერები რეგიონული და ეროვნული კონკურენტუნარიანობის მამოძრავებელი ძალების გამოსაკვეთად უფრო ფართო სტრუქტურის ნაწილს წარმოადგენენ. ეს სტრუქტურა უზრუნველყოფს კავშირს კორპორაციულ დონეზე ქვევასა და მიკრო და მაკროეკონომიკურ დონეზე სახელმწიფო პოლიტიკას შორის. აქ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩავწერ იმ მამოძრავებელ ძალებს, რომლებიც კომპანიის დონეზე გავლენას ახდენენ ფასეულობის შექმნასა და ინოვაციაზე. უნდა განვასხვაოთ ფაქტორების ორი მიმართულება: პირველი მიმართულება მოიცავს მთლიანად მაკროეკონომიკას, კანონმდებლობას, სოციალურ და პოლიტიკურ გარემოებას. ეს ის სფეროა, რომელშიც ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე თეორია და პრაქტიკა კონსენსუს აღწევს იმის თაობაზე, თუ რომელი პრაქტიკაა საუკეთესო. ევროპაში დიდი ძალისხმევა დაიხსარჯა უფრო სტაბილური მაკროეკონომიკური პირობების შექმნაში, შესაბამისი სავალუტო (საკრედიტო) და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკისათვის გრძელვადიანი მიზნების დასახვის გზით. თუმცა სტაბილური გარემო მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ევროპისათვის. სხვა ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, რომ ეს არ არის საკმარისი. სტაბილური გარემო კომპანიებისათვის ქმნის პროდუქტიულობის, ინოვაციისა და დირებულების შექმნის შესაძლებლობებს, მაგრამ არა თავად ფასეულობას.

სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია ფაქტორების მეორე მიმართულება, რომელსაც ეკონომიკის მიკროეკონომიკური შესაძლებლობა ეწოდება. იგი მოიცავს როგორც კომპანიების დახვეწილობის (პროფესიონალიზმის) ხარისხს კონკურენციის პროცესში, ისე მიკროეკონომიკური ბიზნესის გარემოს,

რომელიც მათ გარს აკრავს. მიკროეკონომიკური ბიზნესის გარემო, რომელიც მოიხსენიება როგორც კონკურენტუნარიანობის "ალმახი", აერთიანებს პერსპექტივების მთელ წელს:

- პირველ რიგში შეტანილი წვლილის ფაქტორის პირობები მოცემულ ადგილმდებარეობაზე, მაგ. ინფრასტრუქტურის ხარისხი, სამუშაო ძალის უნარების ბაზა და კაპიტალის ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია პროდუქტიულობის იმ დონისათვის, რომლის მიღწევაც კომპანიებს ადგილზე შეუძლიათ.
- მეორე, ამ ადგილმდებარეობაზე კონკურენციის ბუნებაში არსებული კანონები და მარტივლირებელი ნორმები: კონკურენციის კანონები, სავაჭრო პოლიტიკა, გადასახადების მასტიმულირებელი ეფექტი, ისევე როგორც სტრატეგია, რომლითაც კომპანიები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ, მათი კორპორატიული მმართველობის გამჭვირვალობა და წამყვანი ბიზნეს-ჯგუფების არსებობა გადამწყვეტი ძალებია იმისათვის, რომ შესაძლებლობა მისცენ და უბიძგონ კომპანიებს საუკეთესო გზით გამოიყენონ არსებული სახსრები და წვლილის ფაქტორები.
- მესამე, კლასტერები - კონკრეტული სპეციალიზაციის მქონე საქონლისა თუ მომსახურეობის მიმწოდებლების არსებობა ადგილობრივ დონეზე, ეფექტურ ზემოქმედებას ახდენს კომპანიებზე და აძლევს მათ მოქმედების მოტივაციას. კლასტერების ერთობლიობა, რომლებიც მოქმედებენ კონკრეტულ ადგილზე, ქმნიან უნიკალურ შესაძლებლობებს ახალი აქტივობების წამოწყებისათვის კლასტერების ურთიერთკვეთის წერტილზე.
- მეოთხე, ადგილობრივი მოთხოვნის პირობები, მათი დახვეწილობა, კიდევ ერთი მამოძრავებელი ძალაა, რომელიც უბიძგებს კომპანიებს უკეთესი შედეგების მიღწევისაკენ, და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ქმნის ხელსაყრელ გარემოს ახალი იდეების განვითარებისათვის.

## ნახ. 11. მაიკლ პორტერის “აღმასის” მოდელი



**წყარო:** Porter, Michael L., The Competitive Advantage of Nations. The Free Press, New York, 1990

კლასტერებში ნებისმიერი სარგებელი და უპირატესობა ვრცელდება კავშირის ყველა მიმართულებით:

- სხვა დარგებიდან მოსული ახალი მწარმოებლები აჩქარებენ თავიანთ განვითარებას, სტიმულს აძლევენ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს და უზრუნველყოფების ახალი სტრატეგიების დანერგვას საჭირო სახსრებით;
- ხდება ინფორმაციების თავისუფალი გაცვლა და სიახლეების სწრაფად გავრცელება მიმწოდებელთა ან მომხმარებელთა არხებით, რომლებსაც მრავალ კონკურენტთან კონტაქტები გააჩნია;
- კლასტერის შიგნით ურთიერთკავშირები ხშირად აბსოლუტურად მოულოდნელია, ისინი ავლენენ კონკურენტუნარიანობის ახალ გზებს და სახავენ სრულიად ახალ შესაძლებლობებს;
- პიროვნული რესურსები და იდეები წარმოშობენ ახალ კომპინაციებს.

კლასტერებზე საუბრის დროს, შეიძლება გამოვყოთ ერთმანეთის შემავსებელი 2 სტრატეგია:

- სტრატეგიები, რომლებიც მიმართულია არსებულ კლასტერებში ცოდნის გამოყენების ამაღლებაზე;
- სტრატეგიები, რომლებიც მიმართულია კლასტერების შიგნით თანამშრომლობის ახალი ქსელების შექმნაზე.

დროთა განმავლობაში ეფექტურად მოქმედი კლასტერები ხდებიან მსხვილი კაპიტალდაბანდებების და მთავრობის დაძაბული ყურადღების მიზეზი, ანუ კლასტერი გვევლინება რადაც უფრო დიდ და მნიშვნელოვნად, ვიდრე ცალკეული მისი ნაწილების მარტივი ჯამი. კლასტერის ცენტრად ყველაზე ხშირად გვევლინება რამდენიმე მძლავრი კომპანია, ამასთან, მათ შორის შენარჩუნებულია კონკურენტული ურთიერთობები. ამით კლასტერი განსხვავდება კარტელისგან ან ფინანსური ჯგუფისგან. კონკურენტების, მათი მყიდვებისა და მიმწოდებლების კონცენტრაცია ხელს უწყობს წარმოების ეფექტურ სპეციალიზაციას. ამასთან, კლასტერი აძლევს დასაქმების შესაძლებლობას მრავალრიცხოვან მცირე ფირმებს და პატარა საწარმოებს. გარდა ამისა, ორგანიზაციის კლასტერულ მიდგომას მივყავართ ინოვაციის განსაკუთრებულ ფორმასთან – “ერთობლივ ინოვაციურ პროდუქტთან“. ვერტიკალური ინტეგრაციის საფუძველზე ორგანიზაციების კლასტერში გაერთიანება თავის მხრივ აყალიბებს სხვადასხვაგვარი სამეცნიერო და ტექნოლოგიური გამოგონებების არა “სპონტანურ“ კონცენტრაციას, არამედ ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების გავრცელების გარკვეულ სისტემას. ამასთან, გამოგონებების ინოვაციაში გადასვლის, ხოლო ინოვაციების კონკურენტულ უპირატესობაში ეფექტური ტრანსფორმაციის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს კლასტერის ყველა მონაწილეს შორის მდგრადი, დამაკავშირებელი ქსელის ფორმირება.

ამგვარად, თანამშრომლობა სულ უფრო აუცილებელი ხდება, მაგრამ ის თავის თავში ატარებს გარკვეულ საფრთხეს – დამოუკიდებლობის დაკარგვის შესაძლებლობას (ბაზარზე სათანადოდ მოქცევის, ახალი ტექნოლოგიებისა და ა.შ. ათვისება).

აი ამიტომ გახდა რიგ ქვეყნებში ასეთი მნიშვნელოვანი უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ეფექტური “კლასტერული სტრატეგიები“, რომლებიც დაშენებული არიან საქმიანი აქტივობის ცენტრებზე და

წარმოაჩენენ საკუთარ ძალასა და კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე. ბევრი ქვეყნის მთავრობები ძალისხმევას არ იშურებენ არსებული კლასტერების მხარდაჭერისთვის და ახალ კომპანიათა ქსელის შექმნისთვის, რომლებიც ადრე ერთმანეთთან არ თანამშრომლობდნენ. ამ დროს, სახელმწიფო არა მარტო ხელს უწყობს კლასტერების ფორმირებას, არამედ თვითონაც ხდება ამ ქსელის მონაწილე.

კლასტერული სტრატეგიები ფართოდ გამოიყენება ყველა განვითარებულ ქვეყანაში. დიდ ბრიტანეთში მთავრობამ ედინბურგის, ოქსფორდის და სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისის გარშემო განსაზღვრა რაიონები, როგორც ბიოტექნოლოგიური ფირმების ძირითადი განთავსების რეგიონები. ნორვეგიაში მთავრობა სტიმულს აძლევს “საზღვაო მეურნეობის” კლასტერში ფირმებს შორის თანამშრომლობას. ფინეთში განვითარებულია “სატყეო მეურნეობის” კლასტერი, სადაც შედის ხის მერქნის დამზადება და ხე-ტყის პროდუქტების, ქადალდის, ავეჯის, პოლიგრაფიული და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების წარმოება. მოცემული კლასტერის კომპანიათა მიერ ცოდნის გავრცელებაში მჭიდრო თანამშრომლობა მათვის უზრუნველყოფს კონკურენტულ უპირატესობას ძირითად სავაჭრო მეტოქეებთან. ექსპერტების შეფასებით, ფინეთი ითვლება ლიდერად როგორც სამეცნირო კვლევითი ააქტივობით, ისე ტექნოლოგიური თანამშრომლობის დონით (ამას მოწმობს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემებიც).

ამგვარად, სხვადასხვა მიდგომებს შორის განსხვავების მიუხედავად, ევროპის უმეტესმა ქვეყნებმა თავიანთოთვის შეიმუშავეს კონკრეტული კლასტერული სტრატეგიები. ქვეყნები და რეგიონები, რომლებიც ყველაზე აშკარა ფორმით ახორციელებენ ასეთ სტრატეგიას არიან დანია, ფინეთი, ნიდერლანდები, ფლამანდიის რაიონი ბელგიაში, კვებეკის პროვინცია კანადაში, ასევე სამხრეთ აფრიკა (ახალი მმართველობის პირობებში). საფრანგეთი და იტალია შეიძლება გამოდგეს იმ ქვეყნების მაგალითად, სადაც ოდითგანვე გამოიყენება თავისებური კლასტერული სტრატეგია, თუმცა სხვა სახელმწიფებით – “საწარმოო რაიონები“.

ამჟამად, ექსპერტების მიერ აღწერილია კლასტერების 7 ძირითადი მახასიათებელი, რომელთა კომბინაციებს ეფუძნება ესა თუ ის კლასტერული თეორია:

**გეოგრაფიული:** სადაც ეკონომიკური აქტივობის სივრცელი კლასტერების ჩამოყალიბება ხდება, ადგილობრივი მნიშვნელობის (მაგალითად, მებაღეობა ნიდერლანდებში) დონიდან დაწყებული, სრულიად გლობალურამდე (აეროკოსმოსური კლასტერი);

**პორიზონტალური:** რამოდენიმე დარგი/სექტორი შეიძლება შევიდეს უფრო მსხვილ კლასტერში (მაგალითად, მეგაკლასტერთა სისტემა ნიდერლანდების ეკონომიკაში);

**გერტიკალური:** კლასტერებში შეიძლება შეგვხვდეს საწარმოო პროცესის მომიჯნავე ეტაპები. ამასთან, მნიშვნელოვანია, თუ ქსელის ზუსტად რომელი მონაწილე წარმოადგენს ინიციატორს და ინოვაციის საბოლოო შემსრულებელს კლასტერის ფარგლებში;

**ლატერალური:** კლასტერში ერთიანდებიან სხვადასხვა სექტორები, რომლებსაც შეუძლიათ მასშტაბურობის ხარჯზე უზრუნველყონ ეკონომია, რასაც თავის მხრივ მივყავართ ახალ კომბინაციამდე (მაგალითად, მულტიმედიურ კლასტერამდე);

**ტექნოლოგიური:** დარგების ერთობლიობა, რომლებიც იყენებენ ერთი და იმავე ტექნოლოგიებს (როგორიცაა მაგალითად, ბიოტექნოლოგიური კლასტერი);

**ფოკუსური:** ფირმების კლასტერი, რომლებიც თავმოყრილნი არიან ერთი ცენტრის – საწარმოს, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ან სასწავლო დაწესებულების გარშემო:

**სარისხობრივი:** აქ არა მარტო მნიშვნელოვანია ის, რომ ფირმები მართლაც თანამშრომლობენ თუ არა, არამედ ისიც, თუ როგორ ახორციელებენ ისინი ამ თანამშრომლობას. ქსელი ყოველთვის უნდა ახდენდეს ინოვაციების განვითარების სტიმულირებას.

ამგვარად, კლასტერულმა მიდგომამ, რომელიც საწყის ეტაპზე მიმართული იყო კონკურენტუნარიანობის საკითხების კვლევაზე, დროთა განმავლობაში გამოყენება პპოვა სულ უფრო ფართო ამოცანების გადაწყვეტაში, კერძოდ:

– სახელმწიფოს, რეგიონის, დარგის კონკურენტუნარიანობის ანალიზის დროს;

– როგორც საერთო სახელმწიფოებრივი საწარმოო პოლიტიკის საფუძველი;

- რეგიონული განვითარების პროგრამების შემუშავებისას;
- როგორც ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების საფუძველი;
- როგორც დიდი და მცირე ბიზნესის თანამოქმედების საფუძველი.

კლასტერი ხასიათდება განსაკუთრებული ინოვაციური გარემოთი, პორიზონტალური კავშირების განვითარებით და ფირმებს შორის გაძლიერებული სინერგიული ურთიერთქმედებით, რაც ზრდის კონკურენტუნარიანობას. მცირე ქვეყნები გადაიქცნენ კონკურენტუნარიანობის გაზრდის კლასტერული პოლიტიკის პიონერებად. ამისათვის, მცირე ქვეყნების მთავრობებმა წინასწარ შეისწავლეს მცირე და საშუალო საწარმოების კლასტერიზაციის პროცედურები. ისინი ითვალისწინებდნენ ექსპერტების მოსაზრებებს, იყენებდნენ სპეციალურ ინდიკატორებს, გამოკითხვებს, ვაჭრობის და ინოვაციური საქმიანობის გამოცდილების შესწავლას.

კლასტერული პოლიტიკის გატარებისას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია რეგიონულ ხელისუფლებას ან მეწარმეთა ადგილობრივ გაერთიანებებს. ევროპის მცირე ქვეყნების კლასტერების ძირითადი მახასიათებლებია:

**სამეცნიერო კლასტერები,** რომლებიც ძირითადად წარმოადგენენ ტექნოლოგიათა გენერატორებს, ხასიათდებიან დოკუმენტით კოალიციით და კავშირების ორიენტირებულ ბაზარზე თანამშრომლობას ახორციელებენ კვლევით ინსტიტუტებთან და სახელმწიფო ორგანიზაციებთან;

**ტრადიციული კლასტერები,** რომლებშიც დომინირებს ფირმებს შორის გრძელვადიანი თანამშრომლობა. ადგილობრივი თანამშრომლობა ემყარება ურთიერთქმედებებს ადგილობრივი მომწოდებლებსა და სახელმწიფო ორგანიზაციებთან. საინოვაციო საქმიანობისათვის ძირითადად იყენებენ უკვე არსებულ ტექნოლოგიებს.

ამრიგად, კლასტერიზაცია წარმოადგენს პოსტიორდისტული წარმოების ორგანიზაციის მეთოდს, რომელმაც დომინირება დაიწყო 1970 წლებიდან. სახელმწიფო კლასტერული პოლიტიკა გადაიქცა გადამწყვეტი ინსტრუმენტად დონისძიებათა საერთო კომპლექსში, რომელიც მიმართულია მცირე ქვეყნების კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის. ქვეყანისთვის მაღალი კონკურენტუნარიანობის მიღწევა და მის შიგნით სივრცული ორიენტაციით წარმოების ახალი ფორმების შექმნა პირდაპირ დაკავშირებულია განათლების დონესთან. კლასტერული პოლიტიკის მეშვეობით კონკურენტუნარიანობის

ამაღლების მცირე ევროპული ქვეყნების წარმატებული გამოცდილება  
დამაჯერებლად ამტკიცებს ამ მიღების მაღალეფებზე.

## თავი 4. საინოგაციო სტრატეგიის ასპექტები

### 4.1. ინსტიტუციონალური წყობა

რა შესაძლებლობები გააჩნიათ განვითარებად ქვეყნებს იმისათვის, რომ აითვისონ ადგევატური ეროვნული საინოგაციო სისტემის განვითარებისთვის საჭირო ცოდნა? სასწავლო პროცესის გაუმჯობესება და ინდივიდუებსა და ჯგუფებს შორის ურთიერთქმედების გაზრდა წინ უძღვის ინოგაციის სისტემის განხორციელებას. ამ მახასიათებლების ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ეკონომიკის ინსტიტუციონალური წყობა დადებით ზეგავლენას მოახდენს ინოგაციის პროცესზე. აქედან გამომდინარე, განვითარებადმა ქვეყნებმა უნდა მოახდინონ თავიანთი უწყებების სპეციალიზაცია, რადგან ეს წამყვან როლს თამაშობს ინოგაციური აქტივობის განვითარებაში.

განსხვავებები სხვადასხვა ეროვნულ ინოგაციურ მოდელებს შორის, როგორც მინიმუმ, ამ ერგბის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ფაქტორებს შორის განსხვავების შედეგია. იმისათვის, რომ ეს ეროვნული განსხვავება მივუსადაგოთ ეროვნული ინოგაციური სისტემის მიდგომას, უნდა ამოვიცნოთ ის ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ერის ეკონომიკურ სტრუქტურაზე. მე-12 ნახაზზე ეკონომიკური განვითარების მახასიათებლების სამი ფაქტორია წარმოდგენილი - ინდუსტრიული განვითარება, ფაქტორული წვლილი და ისტორიული გარემო.

**ქვეყნის ინდუსტრიული განვითარება** განსაზღვრავს ტექნოლოგიის სტატუსს, მის ხარისხსა და კონკურენტუნარიანობის პარამეტრებს. ეს ფაქტორი აძლევს მიმართულებას ეროვნულ ეკონომიკურ სისტემას ტექნოლოგიური განვითარების მიმართულებიდან და სპეციალიზაციიდან გამომდინარე, ამიტომ ქვეყნების ცოდნის ბაზა განსხვავდება ერთმანეთისაგან, და შესაბამისად, მოითხოვს სხვადასხვა ინსტიტუციონალურ წყობას და სწავლების პროცესს.

**ფაქტორული წვლილი** მოიცავს ქვეყნის ყველა შესაბამის ბუნებრივ, ადამიანურ და ინფრასტრუქტურულ რესურსებს. ერის ფაქტორული წვლილის რაოდენობიდან და ხარისხიდან გამომდინარე წარმოების სხვადასხვა სტრუქტურაა საჭირო. მაგალითისათვის, ოუ ერს სურს, რომ იყოს კონკურენტუნარიანი საერთაშორისო დონეზე, ხოლო ქვეყანას არ გააჩნია ბუნებრივი რესურსების საკმარისი რაოდენობა, ეკონომიკა დამოკიდებული


ხდება ამ რესურსების იმპორტზე და უნდა განავითაროს ექსპორტზე ორიენტირებული მანუფაქტურული კონომიკა. განსხვავებული ეკონომიკური აქცენტების გამო, რომლებიც გამომდინარეობს ფაქტორული წელილიდან, ყველა ერი ავითარებს მისთვის სპეციფიურ ინოვაციურ სისტემას.

**ისტორიული გარემო** მესამე ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს ეკონომიკურ სტრუქტურაზე. მისი ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, მაგ. ომები, ცვალებადი პოლიტიკური გარემოებები, ან გეო-სტრატეგიული მდებარეობა, ყოველი ქვეყანა ავითარებს მისთვის სპეციფიურ სოციალურ ნორმებს და სახელმწიფოებრივი რეჟიმის თავისებურებებს.

გეოგრაფიული და პოლიტიკური სტრუქტურის შედეგებიდან გამომდინარე, წარმოების განსხვავებული სტრუქტურები ვითარდება. ამდენად, სწავლების პროცესი და ინოვაციური სისტემა სხვადასხვა საფუძველზე იგება და ეროვნული ისტორიის გამოხატულების ინდივიდუალურ ფორმებს წარმოადგენს.

ამ ფაქტორებს ახალ ინოვაციურ წარმატებამდე მივყავართ, რომელიც იზომება იმის მიხედვით, თუ რა ხარისხის ფასეულობა იქმნება მომხმარებლებისთვის იმ კომპანიების მიერ, რომლებიც გარდაქმნიან ცოდნასა და ტექნოლოგიებს მომგებიან პროდუქტად და მომსახურებად როგორც ეროვნული, ისე მსოფლიო ბაზრებისათვის. ინოვაციის მაღალი დონე განაპირობებს მეტი ბაზრების შექმნას, ეკონომიკურ ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას, ქონების დაგროვებას და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. ეს განსაზღვრება უფრო სრულყოფილს ხდის ინოვაციის შესახებ ჩვენს წარმოდგენას, იმაზე უფრო მეტის შექმნის მეშვეობით, ვიდრე იდეები, კვლევა, ტექნოლოგიის განვითარება და გადაცემა. ერმა უნდა წარმოქმნას არა მხოლოდ საღი იდეები და ინტელექტუალური საქუთრება, არამედ სათანადოდ უნდა გამოიყენოს ისინი და კომერციულად წარმატებული გახადოს.

**ნახ. 12. შიდა ურთიერთობები ეკონომიკურ განვითარებასა და  
ინსტიტუციონალურ წყობას შორის**



ეროვნული საინვაციო სისტემის მოდელში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სამი ინსტიტუციონალური სფერო (სახელმწიფო, კერძო და სამეცნიერო/საგანმანათლებლო სექტორი), რომელიც “სამმაგი სპირალის მოდელის” სახელწოდებით არის ცნობილი. ამ მოდელის ანალიზის შედეგად იკვეთება სინერგიულ ურთიერთქმედების კავშირებზე აგებული სპირალისებრი სქემა, რომლის შემადგენელი ფაქტორებიც თავს იჩენ ინვაციის პროცესის სხვადასხვა ეტაპებზე და მოიცავენ სამ განზომილებას:


- პირველი, ეს არის შიდა ტრანსფორმაცია თითოეულ სპირალში, მაგ. კომპანიებს შორის გვერდითი კავშირების განვითარება სტრატეგიული ალიანსების, ან საუნივერსიტეტო სისტემების რესურს-ბაზაში ცვლილებების შეტანის მეშვეობით.
- მეორე, ეს არის ერთი სპირალის ზეგავლენა მეორეზე, მაგ. სახელმწიფოს როლი ისეთი პოლიტიკისა და პროგრამების

- შემუშავებაში, რომლებიც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტებს სამრეწველო კავშირების ჩამოყალიბებაში.
- მესამე განზომილებაა სამმხრივი ქსელის და ორგანიზაციების ახალი ფენის შექმნა სამი ფაქტორის ურთიერთქმედების საფუძველზე, რომელთა მისიაც არის ახალი იდეებისა და სქემების წარმოშობა მაღალტექნოლოგიური განვითარებისათვის.

უნივერსიტეტები ახდენენ ტრადიციული საზღვრების გადალახვას მრეწველობის დარგებთან ახალი კავშირების განვითარების მიზნით, რათა შეიმუშაონ შესაბამისი სქემები მრავალმხრივი მიზნების ერთმანეთთან შესათავსებლად. მე-13 და მე-14 ნახაზებზე წარმოდგენილი “სამმაგი სპირალისა” და საინოვაციო სისტემის მოდელების მიხედვით, უნივერსიტეტი ახდენს სინერგიულ პარტნიორულ ურთიერთქმედებას კერძო სექტორთან ინოვაციების შექმნისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით, ხოლო მთავრობა კი ახდენს ეფექტურ სამართლებრივ და ინსტიტუციონალურ მხარდაჭერას.


ამდენად, გარდა კვალიფიციური კადრების მომზადებისა, უნივერსიტეტის მისიას ბიზნეს სექტორთან ურთიერთობაში წარმოადგენს, სამეცნიერო კვლევების შესაძლებლობის განვითარება და შესაბამისი ცოდნის, მრეწველობისთვის ეკონომიკური მოგების მომცემ ცოდნად გარდაქმნა.

### ნახ. 13. სამმაგი სპირალის მოდელი



*წყარო: Leydesdorff & Etzkowitz 1996; "Emergence of a Triple Helix of University-Industry-Government Relations", Science and Public Policy*

## ნახ.14. ინოვაციის სისტემა



წყარო: International Organisation for Knowledge Economy and Enterprise Development

## 4.2. სახელმწიფო და საჯარო პოლიტიკის როლი

ეროვნული საინოვაციო სისტემის შექმნის მიზნით, განვითარებული სახელმწიფოები ცდილობენ შეიმუშავონ სამეცნიერო და ტექნოლოგიური პოლიტიკა. წარმოების აგენტებს შორის სინერგიული ურთიერთქმედებისათვის და საერთაშორისო ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად მთავარი აქცენტი კეთდება დაწესებულებათა ქსელზე.

ისტორიულად, სახელმწიფომ შეასრულა ფუნდამენტური როლი ეროვნული საინოვაციო სისტემის ევოლუციაში, და, ასევე ტექნოლოგიური პროგრესის მიმართულებითაც. აშშ-ს მრეწველობის კონკურენტული უპირატესობა ფედერალური მთავრობის მიერ გაწეული სტრატეგიული მხარდაჭერის შედეგია.

სახელმწიფომ ითამაშა მნიშვნელოვანი როლი აშშ-ს თითქმის ყველა იმ მრეწველობის დარგის ტექნოლოგიურ განვითარებაში, რომელიც კონკურენტული გახდა მსოფლიო მასშტაბით. "სახელმწიფომ ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიის განვითარებას ბიოლოგიური კვლევების მეშვეობით, საავტომობილო მრეწველობას - საავტომობილო მაგისტრალების ინფრასტრუქტურის დიზაინითა და მშენებლობით, კომპიუტერიზაციის განვითარებას სამხედრო შესყიდვების საშუალებით, და ბიოტექნოლოგიური ინდუსტრიების ზრდას ფუნდამენტური ბიოლოგიური კვლევის ჩატარებით." (რუბანი, 2001).

აღსანიშნავია, რომ ბიზნესში ჩადებული კვლევისა და განვითარების დანახარჯები ბოლო წლებში ინოვაციის ყველაზე მნიშვნელოვან ინდიკატორად გვივლინება. ქვეყნები განსხვავდებიან კერძო სექტორში კვლევისა და განვითარების დანახარჯების მიხედვით, მაგრამ უმეტეს ქვეყნებში ბიზნეს სექტორში ჩადებულმა კვლევამ და განვითარებამ სახელმწიფოს მხრიდან სოლიდური მხარდაჭერა მიიღო მასტიმულირებელი ზომებისა და გადასახადების შემცირების სახით. სახელმწიფოს მხრიდან ჩარევამ განიცადა სერიოზული ტრანსფორმაცია, რაც გამოიხატება პირდაპირი მონაწილეობიდან არაპირდაპირ მონაწილეობაზე გადასვლაში, ეს, თავის მხრივ, გულისხმობს კომერციაზე ორიენტირებული კვლევის ხელშეწყობას საჯარო-კერძო სექტორების მონაწილეობის გზით და ასევე სუბსიდიებითა და საგადასახადო სტიმულებით უზრუნველყოფით.

ფინეთის პრემიერ მინისტრი ესკო ეიჰო პირველი მაღალჩინოსანი პოლიტიკოსი იყო, რომელმაც ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში გამოიყენა აღნიშნული კონცეფცია ფინეთის ინოვაციური სისტემის გაძლიერების საჭიროებასთან მიმართებაში. ფინეთის მაგალითი გაიზიარეს კანადამ და სამხრეთ აფრიკამ. ათიოდე წლის შემდეგ ჩინეთის პრეზიდენტმა პიუ ზინგაომ წამოიწყო მსგავსი რეფორმები ჩინეთის საინოვაციო სისტემის შექმნასთან დაკავშირებით. ეს მაგალითები ხაზს უსვამენ სახელმწიფო მოღვაწეთა ხედვისა და პოლიტიკური გამჭრიახობის როლს ქვეყისათვის მნიშვნელოვანი ინიციატივების შემუშავებაში.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია საჯარო პოლისების ფართო სპეციალისტი, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ინოვაციაზე, აგრეთვე

სხვადასხვა გზები, რომელთა მეშვეობითაც აღნიშნულ პოლიტიკას შეუძლია ინოვაციის სტილიზება ან დაბრკოლება.

### ცხრილი 10. საჯარო პოლიტიკის გავლენა ინოვაციებზე

საჯარო პოლიტიკა	ინოვაციური ზეგავლენის მაგალითები
კვლევისა და განვითარების დაფინანსება	გავლენას ახდენს სამეცნიერო მიმართულებაზე (მაგ. ნანოტექნოლოგია, მოწინავე საინიორმაციო ტექნილოგიები) და მეცნიერთა და ინიუნირთა გამოზრდაზე, ხელს უწყობს უნივერსიტეტების, სამეცნიერო ცენტრების, სახელმწიფო ლაბორატორიების, ინდუსტრიის კვლევის, სპეციალიზირებული პროგრამების, ინოვაციის ინფრასტრუქტურას. მიკრო-ეკონომიკური პოლიტიკა მხარს უჭერს მცირე მეწარმეობას და ახალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ დაწყების. ამავე დროს, საჯარო კვლევისა და განვითარების მიწნები და აღმინისტრუაციული პროცედურები შეიძლება კონფლიქტში მოვიდნენ კერძო სექტორის მიზნებთან, მოლოდინთან და მენეჯმენტის მოთხოვნასთან.
მაკროსაბუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა	ინოვაციისათვის საჭირო კაპიტალის ღირებულება და ეროვნული ეკონომიკური ზრდის დონე ზეგავლენას ახდენენ საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე, ხელმისაწვდომ მოგებაზე, ინოვაციურ საწარმოთა საფონდო ბაზრის ღირებულებაზე და ა.შ., ხოლო საგალუტო პოლიტიკა (უცხოური და ეროვნული) ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაზე.
ტექნოლოგის გადაცემის პოლიტიკა	სახელმწიფო ტექნოლოგიების ტრანსფერის აქტები გავლენას ახდენენ ინდუსტრიის, უნივერსიტეტებისა და ლაბორატორიების თანამშრომლობაზე, ასევე ინოვატორტავის მიწოდებული ცოდნის ნაკადის დონეზე და ოდენობაზე.
ადამიანური რესურსების პოლიტიკა	სახელმწიფო განათლება და ტრეინინგ-პროგრამები, უნივერსიტეტების მხარდასაჭირო სუბსიდიები და კვლევისათვის გამოყოფილი ფინანსები განმსაზღვრული ფაქტორებია სამეცნიერო კვლევის, განვითარების და ინოვაციის კომერციალიზაციისათვის საჭირო კვალიფიციური კადრების მარაგის შესაქნელად.
საგადასახადო პოლიტიკა	უზრუნველყოფს კვლევისა და განვითარების წახალისებას და გავლენას ახდენს ახალ კაპიტალში ჩაღებული ცოდნის გადაცემაზე. ამავე დროს ის წახალისებს მომხმარებლებს, შეითვისონ ინოვაცია.
სტანდარტები	აიოლებს საბაზო ტექნოლოგიების (მაგ. ინტერნეტი, კომპიუტერული სისტემები, პროგრამული უზრუნველყოფა). ამასთან მათ შეუძლიათ ტექნიკური ცვლილების ბარიერებად ქცევა და ბაზრების შეზღუდვა.
შესყიდვა	სახელმწიფოს შეუძლია ბაზრისა და სტანდარტების განვითარების სტიმულირება ფართო მასშტაბით აგრეგაციით, თუმცა სპეციფიკაციის შემუშავებამ შეიძლება გაართულოს ახალი ტექნოლოგიების დაწყების პროცესი.
ანტიმონპოლია	შესაძლებლია ხელი შეუწყოს მრეწველობის ინოვაციურ თანამშრომლობას და ბაზარზე ახალ შემოსვლელებს, ამავე დროს აფერხებს ინოვაციის წარდგენას.
ინტელექტუალური საკუთრება	წარმოადგენს სტიმულს ინოვატორთათვის და შეუძლია კონკურენტთა ბაზარზე შესვლის შეზღუდვა. ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისუსტე მსოფლიო დონეზე, ინოვაციის მცდელობების შემაფერხებელ გარემოებად გვევლინება.
ბაზრის ხელმისაწვდომობა	უცხოური ბაზრების ხელმისაწვდომობა, კარგი საექსპორტო პირობები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ბაზრის პოტენციალის ზრდაზე, რადგან ექსპორტის კონტროლმა შეიძლება

	შეაფერხოს კონკურენტუნარიანობა.
ეკონომიკის მარკეტინგებელი კანონმდებლობა	გავლენას ახდენს ინვესტიციებზე საფასო კონტროლის, მოვალეობის ამოღების სისტრაფის, საბაზრო წილის შეზღუდვების და კონკურენტთა ბაზარზე შემოსვლის გზით.
სოციალური და გარემოს მარკეტინგებელი კანონმდებლობა	შეიძლება იქცეს ინვაციის სტიმულად და გავლენა მოახდინოს ინვაციის შექმნის პარამეტრებზე. მარკეტინგებელი კანონმდებლობის ტაბი გავლენას ახდენს ინდუსტრიის ფასებზე, მიმწოდებლებთან ურთიერთობაზე და დასაქმების პირობებზე.
ჟანდაცვის პოლიტიკა	ბიზნესის ოპერაციული ხარჯების ძირითადი მამოძრავებელი ძალა, დემოგრაფიის და ჯანმრთელობაზე ზრუნვაზე ზრდადი მოთხოვნა ქმნის შესაძლებლობას ახალი პროდუქტების, მომსახურების, და პროდუქტულობის გამაძლიერებელი ტექნოლოგიების შექმნისათვის.
კონფიდენციალურობა	საზოგადოების უკმაყოფილება ქმნის ქონების და ინფორმაციის დენის დამატებით მოთხოვნას.
ეროვნული უსაფრთხოება	ქმნის ინვაციისათვის სახელმწიფო ბაზარს, და ქმნის დამატებით ეკონომიკურ მოთხოვნებს ეკონომიკური სექტორის უმეტესი ნაწილის რისკების (საინფორმაციო ინდუსტრია, ფინანსური ინდუსტრია, წევალი, ელექტროენერგია, მიწოდების ჯაჭვი ქარხნებისათვის და ა.შ.) სამართავად.
დასაქმება და სამრეწველო ინიციატივები	პოლიტიკური ზეწოლა გავლენას ახდენს პროტექციონიზმის რისკზე, გლობალური ინკუსტიციების შეზღუდვებზე, დასაქმების ტრანსაქციების ხარჯებზე და უნარის გაუმჯობესებაზე.

წყრო: OECD

სახელმწიფო სექტორს ძლიერი და ღრმა კავშირი აქვს ინოვაციურ პროცესთან. სახელმწიფო სექტორის მიერ კვლევასა და განვითარებაში ჩადებულ ფინანსებს ეროვნული კვლევისა და განვითარების ინვესტიციის სოლიდური პროცენტი უკავიათ. სახელმწიფოს მიერ სამეცნიერო სფეროს მხარდაჭერაზე არჩევანის გაკეთება (ნანოტექნოლოგია, კომპიუტერული ტექნოლოგია) ინოვაციური აქტივობის მიმართულებაზე ახდენს გავლენას. თუმცა, კვლევა და განვითარება საჯარო პოლიტიკის მხოლოდ ერთი ნაწილია, რომელიც ინოვაციასთან არის კავშირში.

სახელმწიფომ ინოვაცია უნდა მიიჩნიოს თავისი პროგრამის ძირითად ფაქტორად ქვეყნის პროგრესისათვის, აქედან გამომდინარე ჩამოაყალიბოს საინოვაციო სისტემის შემდეგი ელემენტები:

**I. საინოვაციო პოლიტიკის გაბინეტი, რომელიც უნდა წარმოადგენდეს გადაწყვეტილებების მიღების მომზადების, კოორდინირების და შეფასების სათათბირო საბჭოს.**

საბჭოს მიზნებს უნდა წარმოადგენდეს:

- სახელმწიფოს აქტივობის კოორდინაცია ინოვაციის, კვლევისა და განვითარებისა და ტექნოლოგიის პოლიტიკასთან დაკავშირებით;
- სახელმწიფო შეთანხმების მომზადება ეკონომიკაში ინოვაციის გამოყენების მიზნების შესახებ, ასევე, მათი დაფინანსების წლიური ბიუჯეტში გასათვალისწინებლათ და მისი განხორციელების შესაფასებლად;
- ინოვაციური პოლიტიკის თანამედროვე საკითხების და პრობლემების შესახებ საჯარო ინფორმაციის რეგულარულ გავრცელებაში მონაწილეობა;
- შეთავაზების გაკეთება საკანონმდებლო ბაზის მომზადების შესახებ.

## **2. ეროვნული ინოვაციების სააგენტო**

სააგენტო უნდა ფუნქციონირებდეს, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საინოვაციო სისტემას შემდეგ სფეროებში:

- რეგიონული (გუბერნატორებისათვის) და ეკონომიკური პოლიტიკის (მთავრობისათვის) სფეროში რჩევების მიცემა;
- იმ სამთავრობო ობიექტებს შორის კოორდინაციის ხელშეწყობა, რომლებსაც ზეგავლენა გააჩნიათ ინოვაციების ხელშეწყობაზე (რეგიონული განვითარება, გარემოს დაცვა, საინფორმაციო ტექნოლოგიები, სოფლის მეურნეობა, მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირება, შრომითი ბაზარი და საერთაშორისო ურთიერთობები).
- ინოვაციის ტრანსფერის სტიმულირება ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში. რეგიონული ინოვაციის სისტემის განვითარება და კოორდინაცია (ინოვაციის ქსელის განვითარება, ინოვაციის ათვისების უნარისა და შესაძლებლობის გაძლიერებით სხვადასხვა სტრუქტურულ საფინანსო ფონდებზე ორიენტირებული ინოვაციისათვის მომზადება);
- ინოვაციის სატენდერო სისტემის მართვის ამოქმედება და საერთაშორისო დონის კვლევისა და განვითარების სისტემის შექმნა;

- კვლევისა და განვითარების აქტივობების ზეგავლენის მონიტორინგი და ანალიზი. (სტრატეგიული დაგეგმარება, გავლენის ანალიზი, ინოვაციის მონაცემთა ბაზის განვითარება და მართვა);
- კომუნიკაცია.

### **4.3. ეროვნული საინიციაციო სისტემა განვითარებად ქვეყნებში**

ხშირად გამოითქმება მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ განვითარების პროცესის ყველაზე არსებითი ასპექტი არის კურსი, რომლითაც მიმდევარს შეუძლია მიბაძოს უცხოურ ტექნოლოგიას. მიბაძვის საშუალებით ქვეყანა ავითარებს ინდუსტრიალიზაციის პროცესს. ტექნოლოგიური მიბაძვა გულისხმობს უფრო მეტს, ვიდრე მხოლოდ განვითარებული იმავე ხაზის გაყოლას, რომელსაც უფრო განვითარებული ქვეყნები მიყვებიან. უფრო ზუსტად, ის მოიცავს გადამწყვეტ სტადიას ინდუსტრიალიზაციის განვითარების პროცესში და ამრიგად უნდა განვიხილოთ ამ კონტექსტში. ფიქრობენ, რომ უცხოური ტექნოლოგიის იაფად და ეფექტურად შეძენა და მათი ადგილობრივ პირობებთან მისადაგება განვითარებადი ქვეყნების ტექნოლოგიური სტრატეგიის საკვანძო ელემენტია. უცხოური ტექნოლოგიების იმპორტირება არა ეკონომიკური განვითარების შემცვლელ, არამედ შემავსებელ ნაწილად გვევლინება. მიბაძვის დონეზე გავლენას ახდენს ტექნოლოგიური უნარი, პოლიტიკური ზომები, ორგანიზაციული დონისძიებები, ტექნოლოგიური სისტემების ბუნება, ბაზრის სტრუქტურა და საერთაშორისო სავაჭრო წესები.

ტერმინი "ტექნოლოგიური შესაძლებლობები" მოიცავს ტექნოლოგიის შეძენის, ასიმილაციის, გამოყენების, მორგებისა და შექმნისათვის საჭირო ცოდნას და უნარს. რაც უფრო მეტ ზემოთ ჩამოთვლილ უნარს ფლობს კონკრეტული ქვეყანა და რაც უფრო უკეთ ახერხებს იგი მათ დაგროვებას, მით უფრო წარმატებული იქნება დაგეგმილი წინსვლის პროცესი. ეს შეხედულება ფოკუსირებას ახდენს ტექნოლოგიური ცვლილების კუმულაციურ ასპექტებზე, რადგან პირველადი უნარი მნიშვნელოვანია მომავალი კურსისა და მიმართულებისათვის. კერძო კომპანიები ტექნოლოგიური შესაძლებლობების კონცენტრირების ძირითადი ადგილია. ისინი უფრო მეტად შესაფერისები არიან

უცხოური ტექნოლოგიების შესაძენად, ვიდრე სახელმწიფო კომპანიები, რადგან ისინი დაინტერესებულნი არიან უცხოური ტექნოლოგიების ათვისებისათვის საჭირო ტრენინგების ჩატარებაში, რაც კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებაში დაეხმარებათ. ამიტომ, კერძო კომპანიები ერის კონკურენტული უპირატესობის საკვანძო წერტილია. კომპანიის ტექნოლოგიური შესაძლებლობების დაგროვებაზე გავლენას ახდენს მისი ურთიერთობები სხვა აქტორებთან, რადგან ისინი ფუნქციონირებენ კონკურენტულობითა და თანამშრომლობით გაჯერებულ კომპლექსურ სამეწარმეო ქსელში. შედეგად ინოვაცია და ტექნოლოგიური ცვლილება არა მხოლოდ ტექნოლოგიური, არამედ ოფიციალური და არაოფიციალური კომუნიკაციის ქსელის არსებობით გამოწვეული სოციალური პროცესია.

ტექნოლოგიური განვითარების საკვანძო ასპექტი ისეთი ორგანიზაციებისა და ორგანიზაციული დონისძიებების შექმნაა, რომლებიც გააიოლებენ ამ პროცესს. ინოვაციური კერძო ფირმების არსებობა ასეთ გარემოში არ არის საკმარისი. ერთი მხრივ, ფირმების ინოვაციური აქტივობების განხორციელების უნარი დამოკიდებულია ბაზრის გარემოზე და შეთავაზებულ სტიმულებზე. აქედან გამომდინარე, სამთავრობო-სამეწარმეო ურთიერთობებს მნიშვნელოვანი როლი უკავიათ ტექნოლოგიური პროგრესის არსებული პირობების წინ წაწევაში. საჭიროა, რომ ტექნოლოგიური ცვლილების გაიოლებისათვის განხორციელდეს ერთიანი ეროვნული პოლიტიკა ტექნოლოგიის სფეროში (მაგ. ცოდნის გარცელების წინსვლის, ან ტექნოლოგიური ნიშების შექმნაში ფირმების მხარდაჭერის გზით). ეს ა.წ. "ტექნოლოგიური შესაბამისობაა" - მოწინავე ტექნოლოგიების წარმატებული მიბაძვისათვის, მიმბაძველი ქვეყანა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფაქტორებით ძლიერად არ უნდა განსხვავდებოდეს იმ ქვეყნისაგან, რომელსაც ბაძავს. ამიტომ, თუ შესაძლებელია, სახელმწიფო უნდა უზრუნველყოს შესაბამისი გარემოს შექმნა პოლიტიკური და ეკონომიკური სტიმულების სისტემის მიმართულებით. მეორე მხრივ, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს პიროვნული რესურსის როლის განვითარებას, რადგან განათლება ტექნოლოგიური განვითარების ცენტრალური წერტილია. ქვეყნების საგანმანათლებლო საჭიროებები განსხვავდება მათი განვითარების დონიდან გამომდინარე. განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში ძირითადი აქცენტი კეთდება უმაღლესი განათლების რეფორმაზე და პროფესიულ

გადამზადებაზე ტრენინგების მეშვეობით. დარიბი ქვეყნები კი ფოკუსირებას ახდენენ დაწყებით და საშუალო განათლებაზე, როგორც ადამიანის განვითარების მნიშვნელოვან ასპექტზე. წინსვლის პროცესი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ახდენენ ქვეყნები ბალანსირებას შემდეგ ორ დონეს შორის: საშუალო განათლება - ყველასათვის, და უმაღლესი განათლება - კონკრეტური კონკრეტულ სპეციალობებზე. საგანმანათლებლო პოლიტიკის ზომები იმგვარად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ შეძლონ გაამარტივონ ხარისხზე დაფუძნებული პრინციპებისა და ცოდნის კაპიტალიზაციის განხორციელების პროცესი.

ეროვნულ საინოვაციო სისტემაში შესული ელემენტები წინსვლის წარმატებული პროცესისათვის უმნიშვნელოვანეს ატრიბუტებს წარმოადგენენ. სხვადასხვა დაწესებულებების უფლებური კომბინაცია, მათი ინტერაქტიულობა და აქცენტი ცოდნის მნიშვნელობასა და მის გავრცელებაზე ეროვნული ინოვაციური სისტემის შემადგენელი ელემენტებია. ამავე დროს, ისინი ტექნოლოგიური განვითარების მნიშვნელოვან ასპექტებს წარმოადგენენ. ამას გარდა, ტერმინი "სოციალური შესაძლებლობები" განუყოფელია ეროვნული საინოვაციო სისტემის კონცეფციისაგან, რადგანაც ის განსაზღვრავს ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებენ ქვეყნის ტექნოლოგიურ პროგრესში ჩართვის შესაძლებლობებს.

წინსვლის პროცესში წარმატების მიღწევის შესაძლებლობის საკითხი ეროვნული ინოვაციური სისტემის უფრო ახლოდან შესწავლას მოითხოვს. ასევე მნიშვნელოვანია დავსვათ საკითხი, რა გზით და რა სახით შეგვიძლია გამოვიყენოთ ეს მიღგომა, რა გავლენას ახდენენ ეროვნული ფაქტორები ინოვაციის პროცესზე და რა გავლენის მოხდენა შეუძლიათ მათ მომავალ შედეგებზე. ნებისმიერი წარმატებული განვითარების სტრატეგიის გადამწყვეტი ელემენტი ადამიანური რესურსების განვითარებაა.

განვითარებად ქვეყნებში მიკრო-ინოვაციური პოტენციალი იზოლირებული და ჩაკეტილი რჩება. ასევე, არ არსებობს ბევრი დაწესებულება, რომელთა არსებობაც ინოვაციური აქტივობებისათვის მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, სამეწარმეო ინოვაცია განვითარებად ქვეყნებში არ არის განვითარებული (მაგ. არ არის ოფიციალურად ფორმულირებული კვლევისა და განვითარების აქტივობების შედეგად შექმნილი პროდუქტები). გარდა ამისა, ამ ქვეყნების კულტურაში და მენტალიტეტში სათანადოდ არ

ფასდება სამეცნიერო ცოდნა და ტექნოლოგიური ინოვაცია. ამიტომ, თუ ეროვნული ინოვაციური სისტემის კონცეფცია გამოყენებადია განვითარებადი ქვეყნებისათვის, ის უნდა მოერგოს ამ ქვეყნების სპეციფიკურ მახასიათებლებს.

რამდენად მორგებადია ეროვნული ინოვაციური სისტემის არგუმენტაცია გარდამავალ ფაზაში მყოფი ქვეყნებისათვის? ტერმინი "გარდამავალი ფაზა" შეიძლება აკხსნათ, როგორც ინსტიტუციონალური გარდაქმნა საბაზრო ეკონომიკის მიმართულებით, როგორც ეს ხდებოდა და დღესაც ხდება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში. ეროვნული საინოვაციო სისტემის განვითარება აუცილებელია - ის გონივრულად უნდა მიესადაგოს ქვეყნის სპეციფიკურ მახასიათებლებს და მოთხოვნებს, რათა უზრუნველყოს წინსვლის წარმატებული პროცესის განხორციელება. შეიძლება გამოვთქვათ აზრი, რომ გარდამავალ ფაზაში მყოფი ქვეყნები იმყოფებიან წინსვლის პროცესის შუა სტადიაზე, მაგრამ, განვითარებადი ქვეყნებისაგან განსხვავდით, გარდამავალ ფაზაში მყოფმა ქვეყნებმა უკვე აირჩიეს განვითარების გზა და გაყვნენ მას. საკითხი მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად შეესაბამება ინდუსტრიალიზაციისა და წინსვლის ეს გზა ქვეყნის სპეციფიკურ მახასიათებლებს. მაგრამ ორივე შემთხვევაში წინსვლის პერსპექტივა დამოკიდებული იქნება ქვეყნების უნარზე, განახორციელონ სამეწარმეო, ტექნიკური და ინსტიტუციონალური ცვლილებები.

ეროვნული ინოვაციური სისტემის მიდგომა ფოკუსირებას ახდენს სისტემის შედეგებსა და იმ წვლილზე, რომელსაც მიიღებენ მოქალაქეები და საზოგადოება. ეს გულისხმობს სისტემის ყველა იმ ელემენტისა და ურთიერთკავშირის პარმონიულ ურთიერთქმედებას ეფექტური და მდგრადი შედეგების მისაღწევად, რომლებიც მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენენ ქვეყნისათვის:

- ყველა ერს აქვს ინოვაციის "დე ფაქტო", მეტ-ნაკლებად ეფექტური სისტემა;
- ერის მიერ საინოვაციო სისტემის გასაძლიერებლად დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისას გასათვალისწინებელია რესურსების ხელმისაწვდომობა და ეროვნული საინოვაციო სისტემის არსებული მდგომარეობა;

- ამასთანავე, ყოველ ქვეყანას უნდა პქონდეს განსხვავებული და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პოლიტიკის სტრუქტურა, რომელიც მოქმედია მის ინტერესებს.

### აღმოსავლეთ აზიის გამოცდილება და მისი ანალიზი

აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები 1970 წლიდან ზრდისა და გარდაქმნის სწრაფ პროცესს განიცდიდნენ. ახლად ინდუსტრიალიზებულმა ქვეყნებმა სამხრეთ აღმოსავლეთში თავიანთი ინოვაციური ძალის ხმევის შედეგად უფრო მაღალ საფეხურზე გადაინაცვლეს და ახალი ტექნოლოგიების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლის შემსრულებლებად იქცნენ. ტექნოლოგიური პროგრესი და საერთაშორისო ვაჭრობა სტრუქტურული გარდაქმნის საკითხში ორ ფუნდამენტურ ფაქტორს წარმოადგენს. მეცნიერებაზე დაფუძნებული მაღალტექნოლოგიური ექსპორტის წილი აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების მთლიან სამრეწველო ექსპორტში 2000 წელს საშუალოდ 30%-ს შეადგენდა.

მაგალითისათვის, ტაივანი მსოფლიო ეკონომიკაში მე-2 ადგილზეა აშშ-ს შემდეგ საერთაშორისო ტექნოლოგიური ინდექსის მიხედვით. კორეის რესპუბლიკას კი 2001 წელს მე-9 ადგილი ეკავა. სინგაპური და მალაიზია აღმოსავლეთ აზიის კიდევ ორი ქვეყანაა, რომლებიც ტექნოლოგიური მიღწევების საკითხში მაღალ პოზიციებზე იმყოფებიან საერთაშორისო ტექნოლოგიური ინდექსის მიხედვით.

არსებობს ტექნოლოგიური განვითარების ორი აშკარად გამოკვეთილი შტრიხი, რომელთა დანახვაც შეგვიძლია აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ეროვნული საინოვაციო სისტემების ანალიზის შედეგად. პირველ რიგში, ტექნოლოგიური მიღწევები მაღალტექნოლოგიური ექსპორტის საკითხებში და ეკონომიკური ზრდის მაღალი დონე დამოკიდებული იყო პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე (მაღაიზია, ტაილანდი, ინდონეზია და ფილიპინები). თუმცა, როგორც ტექნოლოგიური საქმიანობის წვლილისა და შედეგის ინდიკატორებიდან ჩანს, გადამამუშავებელ საწარმოებს აქვთ სუსტი ტექნოლოგიური და კონკურენტული შესაძლებლობები. ვინაიდან უცხოური კაპიტალი კვლავაც წამყვან როლს თამაშობს ტექნოლოგიით მომარაგების საკითხში, ამ ქვეყნებში კვლავაც საწყის სტადიაზეა ეროვნული საინოვაციო სისტემა.

ადმოსავლეთ აზიის ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, მეორე შტრიხი ეხება ეროვნულ საინვაციო სისტემაზე დაფუძნებულ ტექნოლოგიური განვითარების იმ გზას, რომელიც მცირე დოზით, ან საერთოდ არ არის დამოკიდებული პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, როგორც ეს ტაივანისა და კორეის რესპუბლიკის (სამხრეთ კორეა) შემთხვევაში გვევლინება. ორივე ქვეყანამ გამოიყენა იმპორტის ჩანაცვლებისა და ექპორტის წინსვლის სტრატეგიის შესაძლებლობები, ასევე შიდა ინოვაციური საინვესტიციო ძალისხმევა, რათა ჩამოყალიბებინათ ტექნოლოგიური შესაძლებლობები საწარმოს დონეზე. ეს ქვეყნები წარმატებულად მიიწვდნენ ტექნოლოგიური სიმაღლეებისაკენ სწავლისადმი ინტერაქტიულ მიდგომასთან ერთად. თავდაპირველად მათ შექმნეს მაღალი დონის საგანმანათლებლო დაწესებულებები, სადაც სათანადო ამზადებდებდნენ ინდუსტრიული სექტორის ახალი შესაძლებლობების განსახორციელებლად საჭირო შრომით ძალას. ისინი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდნენ მეცნიერებასა და საინჟინრო ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე. ამან შექმნა შემოქმედებითი, იმიტაციური და ადაპტირებადი სასწავლო შესაძლებლობები პროდუქტების საინჟინრო ანალიზისა და მოწინავე ტექნოლოგიების ათვისებისათვის. ტაივანისა და სამხრეთ კორეის მთავრობებმა შექმნეს მეცნიერებასა და ტექნოლოგიაზე დაფუძნებულ დაწესებულებათა ქსელი, რომელიც დაეხმარა მათ ტექნოლოგიური ინოვაციების კომპლექსური პროცესის გამოკვეთაში. მათ ასევე წამყვანი პოზიციები დაიკავეს ახალი ტექნოლოგიების იოლ ხელმისაწვდომობაში და იმ სტიმულების შექმნაში, რაც კერძო საწარმოებს სჭირდებათ ინოვაციის რისკ-ფაქტორის შესამცირებლად.

ამგვარად, მთავრობების აქტიურმა როლმა მსოფლიო კონკურენტულ გარემოში დროის მცირე მონაკვეთში შესაძლებელი გახადა ბიზნესის გარდაქმნა მიმბაძველობიდან ინოვაციის შექმნამდე. ამასთან ტაივანისა და კორეის მთავრობებმა გამოიყენეს ინტელექტუალური საკუთრების უფლების სისტემა, რათა საწარმოებისათვის, ტექნოლოგიური ცოდნის ინჟინერული ანალიზის აქტორების გამოყენებით, მიეცათ განვითარებული ქვეყნების მიერ წარმოებული ტექნოლოგიური ცოდნის ათვისების შესაძლებლობა.

ის წარმატება, რომელსაც ტაივანმა და კორეამ მიაღწიეს, ვითარდება მიმბაძველობიდან ნოვატორობამდე და საგულისხმოა იმ ქვეყნებისათვის,

რომელთაც სურთ ამ გამოცდილებიდან თავიანთთვის სასარგებლო გაკვეთილის მიღება. პირველ რიგში, მთავრობის აქტიური როლი დამხმარეორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელებაში, ასევე კვლევისა და განვითარების დაფინანსებაში, გადამწყვეტ ფაქტორად იქცა საწარმოთა ინოვაციური ძალისხმევის ხელმისამართისა და გაძლიერებაში.

მეორე, მთავრობამ თავის თავზე უნდა აიღოს ინოვაციურ აქტივობებში ჩართული საწარმოებისა და საჯარო დაწესებულებების ანგარიშვალდებულების მექანიზმების შემუშავების და განხორციელების ვალდებულება.

მესამე, პირდაპირი უცხოური ინესტიციები მანამდე ვერ უზრუნველყოფენ ტექნოლოგიური ცოდნის გაღრმავებას, სანამ ადგილობრივი საწარმოები მის მინიმალურ დონეს ვერ მიაღწევენ. ბოლოს, ინტელექტუალური საკუთრების უფლება ინოვაციაში მთავარი შეზღუდვაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) რეგულაციების თანახმად. ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის ეს მეტ სირთულეს შექმნის აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების გამოცდილების გამოყენებაში, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს ინტელექტუალური საკუთრების უფლების სუსტი სისტემის ხარჯზე. თუმცა, ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს აქვთ შესაძლებლობა ინტელექტუალური საკუთრების უფლების მოსაპოვებლად განსაზღვრული ვადის დადგენისთვის იბრძოლონ. მათ ასევე შეუძლიათ მოითხოვონ კომპენსაცია იმ დანაკლისისათვის, რომელსაც ინტელექტუალური საკუთრების უფლების მკაცრი სისტემა იწვევს, გამოიყენონ ეს ფინანსური რესურსი ქვეყანაში მყარი ინოვაციური ბაზის ჩამოსაყალიბებლად და გააძლიერონ თავიანთი კონკურენტული უპირატესობა.

#### 4.4. ინოვაციურობის გაზომვის ინდიკატორები

"მსოფლიო ინოვაციის მონაცემთა ცხრილის" ანგარიში ადარებს ევროკავშირის 25 სახელმწიფოს ინოვაციურ საქმიანობას კვლევისა და განვითარების მწარმოებელ სხვა მთავარ ქვეყნებს (არგენტინა, ავსტრალია, ბრაზილია, კანადა, ჩინეთი, ჰონგკონგი, ინდოეთი, ისრაელი, იაპონია, ახალი

ზელანდია, კორეის რესპუბლიკა, მექსიკა, რუსეთის ფედერაცია, სინგაპური, სამხრეთ აფრიკა და აშშ).

**ცხრილი 11. პლევისა და განვითარების ხარჯები 160 ქვეყანაში 2006 წლისათვის (ათ. აშშ დოლარი)**

აშშ	26655154	36.69%	უკრაინა	41536	0.06%
ევროპა25	16595544	22.85%	ლუქსემბურგი	33527	0.05%
იაპონია	14829645	20.41%	ტაილანდი	32167	0.04%
გერმანია	4777706	6.58%	სლოვენია	31001	0.04%
საფრანგეთი	3056595	4.21%	ისლანდია	26618	0.04%
გაერთიანებული სამეფო	2802347	3.86%	ხორვატია	22647	0.03%
ჩინეთი	1540417	2.12%	ეგვიპტე	19216	0.03%
სამხ. კორეა	1439710	1.98%	პაკისტანი	17138	0.02%
კანადა	1433170	1.97%	რუმინეთი	15456	0.02%
იტალია	1218205	1.68%	ტუნისი	13056	0.02%
შვედეთი	1032620	1.42%	სლოვაკეთი	12654	0.02%
ნიდერლანდები	707220	0.97%	კოლუმბია	8638	0.01%
შვეიცარია	632105	0.87%	ლიტვა	8628	0.01%
ბრაზილია	625919	0.86%	ბელარუსი	7793	0.01%
ესპანეთი	609127	0.84%	ჭუვეთი	7123	0.01%
ავსტრალია	599692	0.83%	ბულგარეთი	6741	0.01%
ისრაელი	580228	0.80%	კოსტა-რიკა	6176	0.01%
ბელგია	517285	0.71%	პერუ	5741	0.01%
ფინეთი	428217	0.59%	უგანდა	5067	0.01%
ავსტრია	426419	0.59%	ურუგვაი	4776	0.01%
ლანდა	409286	0.56%	ესტონეთი	4646	0.01%
ინდონეთი	386570	0.53%	პანამა	4464	0.01%
რუსეთის ფედერაცია	356553	0.49%	ნეპალი	3830	0.01%
ნორვეგია	290499	0.40%	ლატვია	3770	0.01%
მექსიკა	228914	0.32%	კვადრისი	2967	0.00%
სინგაპური	198692	0.27%	ბოლივია	2414	0.00%
თურქეთი	132131	0.18%	მადაგასკარი	2322	0.00%
ირლანდია	114103	0.16%	აზერბაიჯანი	1932	0.00%
ჰონგკონგი	102365	0.14%	საქართველო	969	0.00%
პორტუგალია	100925	0.14%	მაკავენია	895	0.00%
პოლონეთი	100102	0.14%	ტრინიდადი და ტობაგო	851	0.00%
არგენტინა	94134	0.13%	პარაგვაი	746	0.00%
სამხრეთ აფრიკა	90872	0.13%	სომხეთი	599	0.00%
საბერძნეთი	75783	0.10%	პონდიურასი	316	0.00%
ჩეხეთი	71020	0.10%	ყირგიზეთი	286	0.00%
მალაიზია	65253	0.09%	მონღოლეთი	282	0.00%
აზალი ზელანდია	62661	0.09%	სეიშელი	65	0.00%
კვენესუელა	54457	0.07%	სენ-ვინსენტი და გრენადინი	52	0.00%
უზბერკია	51392	0.07%	კაპე-ვერდე	26	0.00%
ჩილე	42090	0.06%	სერბეთი	11	0.00%

წყარო: " გლობალური საინვესტიციო ინდექსი" 2006

ზემოადნიშნულ სიაში რომ მოხვედრილიყო, განვითარებად ქვეყანას შიდა პროდუქტის მინიმუმ 0.1% ინოვაციებზე უნდა დაეხარჯა. ამ სიაში საქართველოს 149 ადგილი უკავია, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გაწეული ხარჯების ოდენობით დაახ. 500-ჯერ ჩამორჩება საქართველოს ზომის ფინეთს, 140-ჯერ საქართველოზე 5-ჯერ პატარა ხლოვენიას, 40-ჯერ ჩვენზე 10-ჯერ პატარა კვიპროსს და ბოლოსწინა ათეულშია მოქცეული ნეპალთან და სეიშელის კუნძულებთან ერთად.

ინოვაციური პოლიტიკის მირითადი ყურადღება ფოკუსირებულია ნოვატორობის უნარსა და წარმოების ისეთ ფაქტორებზე, როგორიც არის ინვესტიცია კვლევასა და განვითარებაში, სამეცნიერო დაწესებულებები, პიროვნული რესურსები და მირითადი კაპიტალი. ასეთი შემავალი ფაქტორები ხშირად გვხვდინებიან ინოვაციურობის საფუძვლებად და ურთიერთდაკავშირებულნი არიან ისეთ შუალედურ შედეგებთან, როგორიც არის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე.

ეროვნული ინოვაციის სიტემის ინდიკატორები ვრცელდება 5 კატეგორიაზე, რომლებიც მოიცავს ინოვაციური საქმიანობის სხვადასხვა საკვანძო განზომილებებს:

- ინოვაციის მამოძრავებელი ძალები ზომავენ ინოვაციური პოტენციალისათვის საჭირო სტრუქტურულ პირობებს;
- ცოდნის მოპოვება ზომავს ინვესტიციებს კვლევისა და განვითარების აქტივობებში;
- ინოვაცია და მეწარმეობა ზომავს ინოვაციისათვის გაწეულ ძალისხმევას კორპორატიულ დონეზე;
- ცოდნის გამოყენება ზომავს შრომისა და ბიზნესის აქტივობების საკითხებში გამოხატულ საქმიანობას და მათ დამატებით ღირებულებას ინოვაციურ სექტორებში;
- ინტელექტუალური საკუთრება ზომავს მიღწეულ შედეგებს წარმატებული ნოუ-ჰის საკითხებში.

ინოვაციის შექმნისათვის აუცილებელი წელილის ფაქტორები მოიცავს 3 განზომილებას:

- ინოვაციის მამოძრავებელი ძალები (5 ინდიკატორი), რომლებიც ზომავენ ინოვაციური პოტენციალისათვის საჭირო სტრუქტურულ პირობებს;

- ცოდნის მოპოვება (4 ინდიკატორი), იგი ზომავს ინვესტიციებს კვლევისა და განვითარების აქტივობებში, რომლებიც მიჩნეულნი არიან ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის საკვანძო ელემენტებად;
- ინოვაცია და მეწარმეობა (6 ინდიკატორი), რომლებიც ზომავენ ინოვაციისათვის გაწეულ ძალისხმევას კორპორატიულ დონეზე.

### ინოგაციის შედეგები მოიცავს 2 განზომილებას:

- გამოყენება (5 ინდიკატორი) რომელიც ზომავს შრომისა და ბიზნესის აქტივობების საკითხებში გამოხატულ საქმიანობას და მათ დამატებით ღირებულებების ინოგაციურ სექტორებში;
- ინტელექტუალური საკუთრება (5 ინდიკატორი), რომელიც ზომავს მიღწეულ შედეგებს წარმატებული ნოუ-ჰის საკითხებში.

### ცხრილი 12. ეგროპის ინოვაციის მონაცემთა ინდიკატორები

წარმოების წლილის ფაქტორები - ინოგაციის მამოძალუბები ძალები	
1.1	20-29 ასაკის მუცნიერთა და ინჟინერთა რაოდენობა 1000 სულ მოსახლეზე
1.2	25-64 ასაკის უმაღლესი განათლების ქრინე მოსახლეობა 100 სულ მოსახლეზე
1.3	შეღწევადობის ფართო დიაპაზონი 1000 სულ მოსახლეზე
1.4	25-64 ასაკის პირთა მონაწილეობა სწავლაში სიცოცხლის მანძილზე 100 სულზე
1.5	ცოდნის დონე (20-24 ასაკის %-ს მიღებული აქც მინიმუმ საშუალო განათლება)

წარმოების წლილის ფაქტორები - ცოდნის ძალუბება	
2.1	კვლევასა და განვითარებაში ჩადებული საჯარო დანახარჯები (% GDP)
2.2	ბიზნესის კვლევასა და განვითარებაში ჩადებული დანახარჯები (% GDP)
2.3	საშუალო და მაღალი ტექნოლოგიების კვლევას და განვითარების წილი
2.4	იმ საწარმოების წილი, რომლებიც იღებენ საჯარო დაფინანსებას ინოგაციისათვის
2.5	საუნივერსიტეტო კვლევა-განვითარებისათვის ბიზნესის მიერ გადებული ხარჯების წილი

წარმოების წლილის ფაქტორები - ინოგაცია და მეწარმეობა	
3.1	მცირე და საშუალო საწარმოების ინოგაცია საკუთარი დანახარჯებით (ყველა მცირე/საშუალო საწარმოს %)
3.2	ინოგაციური მცირე და საშუალო საწარმოების %, რომლებიც ერთმანეთთან თანამშრომლობენ
3.3	ინოგაციაზე დანახარჯები (მთლიანი ბრუნვის %)
3.4	ადრესული სტადიის ვენირული კაპიტალი (მთლიანი შიდა პროდუქტის %)
3.5	შაინფორმაციონ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დანახარჯები (მშპ-ის %)
3.6	ყველა მცირე/საშუალო საწარმოს %, რომლებიც არ იყენებს ტექნოლოგიურ ცვლილებებს

შედეგები - გამოყენება	
4.1	დასაქმება მაღალ-ტექნოლოგიურ მომსახურეობაში (მთლიანი სამუშაო ძალის %)
4.2	მაღალ-ტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტი, რივორც მთლიანი ექსპორტის წილი
4.3	ახალი პროდუქტის ბაზარზე რეალიზაცია (მთლიანი დანახარჯების %)
4.4	დასაქმება საშუალო-მაღალ და მაღალ ტექნოლოგიურ წარმოებაში (სამუშაო ძალის %)

<b>შედეგის თნთვლუქმებულერი საკუთრება</b>	
5.1	ევროპული სტანდარტის პატენტები მიღიონ სულ მოსახლეზე
5.2	ამერიკული სტანდარტის პატენტები მიღიონ სულ მოსახლეზე
5.3	ტრიადული სტანდარტის მიღიონ სულ მოსახლეზე
5.4	ევროსაბჭოს სავაჭრო ნიშანი მიღიონ სულ მოსახლეზე
5.5	ახალი დიზანები მიღიონ სულ მოსახლეზე

წყარო: ევროსაბჭოს სტატისტიკური სამსახური (Eurostat), CIS, OESD, OHM

## თავი 5. საქართველოს კონკურენტულობის სტრატეგია

### 5.1. საქართველო გლობალური გამოწვევების პირისპირ

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის ყოვლისმომცველმა პროცესებმა გამოიწვია ფუნდამენტალური ცვლილებები საგარეო ურთიერთობებსა და მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირებაში. აღნიშნული ვითარება განსაკუთრებით მტკიცნეულად აისახება საქართველოს გარდამავალ, ფორმირების პროცესში მყოფ ეკონომიკაზე, მით უფრო, რომ ქვეყნას არ გააჩნია სისტემური მართვის გრძელვადიან პერსპექტივებზე გათვლილი, მეცნიერულად დასაბუთებული ეროვნული კონკურენტული სტრატეგია. ამასთან ისტორიული მემკვიდრეობისა და პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის განვლილ პერიოდში განვითარებული მოვლენების (სამხედრო გადატრიალება, ეთნოკონფლიქტები, ეკონომიკური კრიზისის გადრმავება და სამამულო წარმოების განადგურება) შედეგად მკვეთრად დაეცა ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა. შესაბამისად, რისკის წინაშე დადგა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების პერსპექტივები.

მცირე, თავისუფალი საბაზო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებისათვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს სწრაფი ადაპტირება მაკრო გარემო ფაქტორებისა და გლობალური ცვლილებების მიმართ, ცოდნის ეკონომიკისა და მერიტორიატიული პრინციპების გათვალისწინებით, რაც თავის მხრივ მოითხოვს მაღალი დონის პროფესიონალიზმს, თანამედროვე ცოდნას, ლიდერობის უნარ-ჩვევებს, სტრატეგიული აზროვნების ფართო დიაპაზონს, ანალიტიკურ აზროვნებასა და ზნეობრივ-ეთიკურ ნორმებს სახელმწიფო მართვის სფეროში.

ეს პრიორიტეტები დაფუძნებული უნდა იყოს მაღალ პატრიოტულ სულისკვეთებაზე, კანონის უზენაესობაზე, ეფექტურ მმართველობაზე, გამჭვირვალეობასა და ანგარიშვალდებულებაზე, საზოგადოების მონაწილეობაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში, პიროვნულ განვითარებაზე, მდგრადი განვითარების სტრატეგიაზე, რაც გულისხმობს მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებას.

პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სფეროები მოიცავს მართვის პროცესების მთელ წელის, რომელიც გულისხმობს, თუ რა სახის რეფორმები ხორციელდება ქვეყანაში, და როგორია ნორმები, სტანდარტები და „თამაშის წესები“, რომელიც ოფიციალურად ან არაოფიციალურად მოქმედებს.

რეფორმები უკეთ სფეროში უპირველეს და სასწრაფოდ განსახორციელებელ პრიორიტეტს წარმოადგენს, მაგრამ სამწუხაროდ, კადრების არაკვალიფიციურობისა და არაკომპეტენტურობის გამო ვერ ხერხდება რისკებისა და შესაძლებლობების სრულყოფილი შესწავლა და ანალიზი, პრიორიტეტების განსაზღვრა, სტრატეგიული გეგმის ჩამოყალიბება. შედეგად მიიღება არაეფექტური გადაწყვეტილებები, რაც საფრთხეს უქმნის როგორც ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობას, ისე მთავრობის ნდობასა და რეპუტაციას საზოგადოებაში.

დღევანდელ სწრაფად ცვალებად მსოფლიოში, გარდამავალი დემოკრატიის მქონე პოსტსაბჭოთა ქვეყნებს განსაკუთრებით ესაჭიროებათ ახალი სტრატეგიებისა და კონცეფციების შემუშავება, რათა ალდო აუდონ გლობალიზაციის გამოწვევებს. გლობალური პროცესების სწორად აღქმა და ანალიზი ქართულ რეალობაში მოითხოვს მერიტოკრატიულ აზროვნებას, რათა ტრანსნაციონალური ეკონომიკის პოლიტიკური და საზოგადოებრივი პარადოქსები მეცნიერებულ შესწავლასა და კრიტიკულ გააზრებას დაქვემდებაროს.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკისა და სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებას, რომელიც ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს განავითაროს პრიორიტეტული დარგები და ამ გზით მოიპოვოს კონკურენტუნარიანი უპირატესობა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში.

საკუთარი ნიშის დაგავება გლობალურ არენაზე წარმოადგენს საქართველოს კონკურენტუნარიანობის უმთავრეს წინაპირობას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საზოგადოებრივ კეთილდღეობას და პირდაპირ კავშირშია სიღარიბის დაძლევასთან. აღნიშნულ შესაძლებლობათა შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დასახელდეს ჩრდილო ატლანტიკურ სივრცეში

ქვეყნის ინტეგრაცია და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში მიღებული ვალდებულებების დროული შესრულება. საკუთარი ადგილის ძიების პროცესში საქართველომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაითვალისწინოს გეოპოლიტიკური კონტექსტი, კერძოდ, ევროპული არეალისადმი კუთვნილება და ტრანსატლანტიკური ინტეგრაცია. აქედან გამომდინარე, ქართული პოლიტიკის მიერ აღებული ევროპავშირთან ინტეგრაციის კურსი უალტერნატივია, რაც გულისხმობს ევროპული სტანდარტების შესაფერისი სისტემის ჩამოყალიბებას და ყველა იმ მექანიზმის სრულად ამოქმედებას, რომელიც ქვეყანას გამოწვევების დაძლევაში შეუწყობს ხელს.

მზარდი კონკურენციის პირობებში, საქართველოს სტაბილური განვითარებისათვის აუცილებელია ახალი გზების გამონახვა, რომელიც ინოვაციურ მიღგომებსა და თანამშრომლობის ახალი ფორმების დანერგვას ითვალისწინებს. ზემოთ აღნიშნული მკვეთრი კონტრასტების ფონზე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ისეთი პოლიტიკური, მიკრო- და მაკროეკონომიკური რეფორმების განხორციელება, რომლებიც ხელს შუწყობენ ქვეყნის მდგრად განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის გაზრდას გლობალურ სივრცეში.

ყველაზე სასურველია, როდესაც ქვეყანის კონკურენტული უპირატესობა განპირობებულია მემკვიდრეობით მიღებული პროგრესული ფორმების გამოყენებით, მისი თანამედროვე, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვით, მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობით, სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის განვითარებითა და მისი შედეგების წარმოებაში დანერგვის მაღალი ხარისხით, რაც მას მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარებისა და ტექნოლოგიურად რთული და შესაბამისად, ძვირადღირებული პროდუქციის წარმოების საშუალებას აძლევს. ეს კი შრომის საერთაშორისო დანაწილებიდან მაქსიმალური სარგებლის მიღების გარანტია. სამწუხაოდ, საქართველოში ამ ფაქტორების არსებობის თვალსაზრისით, არასახარბიერო მდგომარეობაა.

საქართველოს ეკონომიკაში, ჯერჯერობით, შედარებითი უპირატესობების გამოვლენის პროცესი და შესაბამისად, დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებები პრაქტიკულად თვითდინებაზეა მიშვებული, ანუ საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები მთლიანად დამოკიდებულია ბაზრის უხილავი ხელის მოქმედებაზე. სრულიად

აშკარაა, რომ გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, ულტრა ნეოლიბერალურ პრინციპებზე აგებული დერეგულაციის პოლიტიკა მიუღებელია საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის, მითუმეტეს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სრული ლიბერალიზაციისა და გაურკვეველი წარმოშობის უცხოური (ხშირ შემთხვევაში რუსული) კომპანიების დომინანტური პოზიციების პირობებში.

## 5.2 სიდარიბის დაძლევის სტრატეგია და განვითარების პრიორიტეტები

მაღალი რისკის მაჩვენებლები და არასტაბილურობა განსაკუთრებით შესამჩნევია პოსტ-საბჭოთა სივრცეში, სადაც ეკონომიკური ვარდნისა და სტაგნაციის ძირითადი გამომწვევი მიზეზებია კორუფცია, პოლიტიკური კულტურის დეფიციტი, არარეზექტური მმართველობა და სუსტი საკადრო მენეჯმენტი.

ჯოზეფ შტიგლიცი დიდი ხნის მანძილზე იკვლევდა გარდამავალი საბაზრო ეკონომიკის პოლიტიკას პისტსაბჭოთა სივრცეში. იგი მხარს უჭერს თანმიმდევრულ გარდაქმნებს და რეფორმებს, და წინააღმდეგია ე.წ. ‘შოკური თურაპიისა’, რომელმაც ძალიან ცუდი შედეგები გამოიწვია რუსეთსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (Stiglitz, Joseph e. Global Playing Field: More Level, but It Still Has Bumps; The New York Times 04-30-2005). საქართველოსათვის, უპირველეს სტრატეგიულ პრიორიტეტს წარმოადგენს მმართველობისა და ცენტრალური დაწესებულებების კომპეტენტურობისა და მოქმედების უნარის გაუმჯობესება, რომლის მიზანია საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება ეტაპობრივი მდგრადი განვითარების მეშვეობით.

მე-13 ცხრილში ნაჩვენებია, რომ ეკონომიკური განვითარებისა და სიდარიბის დაძლევის პროგრამა კონცენტრირებულია ზრდაზე, რომელმაც უნდა შექმნას სამუშაო ადგილები და წარმოქმნას საბიუჯეტო შემოსავლები სიდარიბის მდგრადი კლების მისაღწევად. ზრდა, თავის მხრივ, მაკროეკონომიკურ სტაბილურობასა და კერძო სექტორის გაფართოებაზეა დამოკიდებული. ეს სიდარიბის შესახებ მსოფლიო ბანკის უახლესი მონაცემების ერთ-ერთი უმთავრესი დასკვნაა. თუმცა საქართველოს

მთავრობამ განაცხადა რეფორმებისადმი თავისი ერთგულების შესახებ, უზარმაზარი პრობლემები კვლავაც რჩება.

### ცხრილი 13: ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა

სტრატეგიული მიზნები	პრიორიტეტები
<p>სტრატი და მდგრადი ეკონომიკური ზრდა: წლიურადში 5-8%; რეალური მცპ-ის გაორმაგება ან გასამმაგება 2015 წლისათვის; სიღარიბის (განსაკუთრებით მისი უკიდურესი ფორმების) შემცირება 14%-დან 4-5%-მდე და 2015 წლისათვის სიღარიბის შემცირება ოფიციალურ სასიცოცხლო მიმმართ მიმართებაში 52%-დან 20-25%-მდე.</p>	<p>მართველობის გაუმჯობესება მაკროეკონომიკური სტაბილურობა. სტრუქტურული და ინსტიტუციონური გარემოს გაუმჯობესება. ადამიანური კაპიტალის განვითარება. სოციალური რისკების მართვა და გაუმჯობესებული სოციალური უსაფრთხოება. პრიორიტეტული ეკონომიკური სექტორების განვითარება. პოსტკონფლიქტური ზონების სოციალურ-ეკონომიკური რებილიტაცია. მუცნიერებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება</p>

**წყარო:** Canadian International Development Agency, *Country Development Programming Framework: Georgia, 2003*

ერგბ-სა\* და მსოფლიო ბანკის მიერ წელს ჩატარებულ ბიზნეს-გარემოსა და მეწარმეობის მიმოხილვაში ხაზგასმულია ისეთი პრიორიტეტები, როგორიცაა პიროვნული კაპიტალის გაძლიერება კაპიტალის გაძლიერება ჯანდაცვისა და განათლების სფეროებში პოლიტიკისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების გზით. ამისათვის აუცილებელია, რომ საქართველოს სამთავრობო დაწესებულებებმა, კომპეტენტურობის, გამჭვირვალეობისა და ანგარიშგების პრინციპების საფუძველზე დაუჭირონ მხარი საბაზო და დემოკრატიულ პოლიტიკას.

რეფორმების კიდევ ერთი პრიორიტეტული საკითხი, რომელიც სერიოზული ყურადღების მიპყრობას საჭიროებს, საქართველოში კერძო სექტორის გაფართოებისაკენ მიმართული პოლიტიკა. ჩვენი აზრით, პოლიტიკურ მმართველობასთან დაკავშირებული როლი საკითხების

\* ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

გადაწყვეტაზე მუშაობა უფრო ნაყოფიერი და ფართომასშტაბიანი იქნება, თუ ეკონომიკურ ზრდასთან ერთად მთელს ქვეყანაში მოხდება დასაქმებისა და საინვესტიციო შესაძლებლობების ზრდაც. ეს კი შესაძლებელი იქნება შემდგარონისძიებების გატარებით:

- მესაკუთრის უფლებების გაძლიერება და სახსრებისა და აქტივების გაზრდილი კაპიტალიზაცია;
- სახელმწიფო საკუთრების მართვის ეფექტურობის გაზრდა და პრივატიზაციის ხელშეწყობა;
- ფინანსური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სამრეწველო, ენერგეტიკისა და კომუნიკაციების ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სამეცნიერო მიდწევების, ახლი ტექნოლოგიებისა და ინფორმატიკის როლის გაზრდა;
- სამეწარმეო საქმიანობაში დაბალშემოსავლიანი ჯგუფების მონაწილეობის გაზრდა;
- შრომის ბაზრის ეფექტურობის გაზრდა;
- საპენსიო სისტემის გაუმჯობესება.

ფართომასშტაბიანი ზრდა სამუშაო ადგილების შექმნის პერსპექტივებით უნდა წარიმართოს და ეს საფუძვლად უნდა დაედოს მთლიანად კონკრეტულ სექტორში სიდარიბის შემცირების სტრატეგიას. გარდა სამუშაო ადგილების შექმნისა, კერძო სექტორის გაფართოება ხელს შეუწყობს საგადასახადო საბიუჯეტო შენატანების გაზრდას, თუ სახელმწიფო გაატარებს გადასახადების აკრეფის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ზომებს.\* საპასუხოდ, კერძო სექტორს დასჭირდება მთავრობის გაზრდილი ანგარიშგება და ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობს ზრდის გაგრძელებას.

---

\* მრავალი ექსპერტი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ გადასახადები საქართველოში ძალიან მაღალია და მათი სრულად გადახდის შემთხვევაში საწარმო სიცოცხლისუნარო გახდება, ხოლო, თუ გადასახადები შემცირდება, ეს სტიმულს მისცემს ინვესტიციებს და გაზრდის გადასახადების ამოღების დონეს: დაბალი გადასახადები ხელს შეუწყობს მათი გადახდის დონის ამაღლებას, მათგან თავის არიდების სტიმულაციის შემცირების გზით.

### 5.3. ეროვნული საინფაციო სისტემის შექმნის შესაძლობლობა საქართველოში

საქართველოში ინფაციების კვლევის და დამუშავების სფეროში მიმდინარე საქმიანობა რეგულირდება ორი საკანონმდებლო აქტით "კანონი მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ" და კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ". თავის მხრივ, ამჟამად მოქმედი "ინტელექტუალური საკუთრების დაცვის" საკანონმდებლო ბაზა მოიცავს მეცნიერებისა და ინფაციების განვითარებისთვის საჭირო ყველა ელემენტს.

საქართველოს კანონი №603 "მეცნიერების ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ" 1994 წლის 22 ნოემბერს არის მიღებული და წარმოადგენს ინტელექტუალურ და ტექნოლოგიური პროგრესის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის იურიდიულ საფუძველს. კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიზნებს და პრინციპებს მეცნიერებაში და ტექნოლოგიურ განვითარებაში; სახელმწიფოს უფლებამოსილებას ამ პოლიტიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებში; მეცნიერთა საქმიანობის შემოქმედებით თავისუფლებას და პასუხისმგებლობას და ამ საქმიანობისთვის სახელმწიფო გარანტიების წესებს. კანონის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს სახელმწიფოს მონაწილეობას მეცნიერების და ტექნოლოგიების განვითარებაში: პუნქტი 13. ითვალისწინებს სამეცნიერო პრიორიტეტების განსაზღვრას; პუნქტი 14. ეთმობა სახელმწიფო სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრამების (პროექტების) განხორციელებას; პუნქტი 15. ქმნის საფუძველს საჯარო სამართლის იურიდიული პირების - ფონდების შექმნისთვის; პუნქტი 18. აყალიბებს ინტელექტუალურ და სამრეწველო საკუთრების დაცვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. პუნქტი 21. განსაზღვრავს რამოდენიმე გზას, რომლის მეშვეობით სახელმწიფოს შეუძლია ქვეყანაში საინფაციო საქმიანობის მხარდაჭერა:

- ყველა იმ დაწესებულებას და ორგანიზაციას რომელიც საქმიანობს მეცნიერების და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში, სახელმწიფო აძლევს საინფაციო საქმიანობის დაცვის გარანტიას, საკუთრების ფორმის მიუხედავად.
- სამინისტროები, სახელმწიფო დეპარტამენტები და ინსპექციები, სხვა სახელმწიფო უწყებები ქმნიან მეცნიერების და ტექნოლოგიების

განვითარების დარგობრივ ფონდებს, სახელმწიფო მმართველობის აღგილობრივი ორგანოები, აუცილებლობის შემთხვევაში, - რეგიონალურ ფონდებს. ამ ფონდების დებულებას ამტკიცებს სახელმწიფო ორგანიზაცია.

- სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკის გატარებას ხელს უწყობენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილი იურიდიული პირები.
- აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამოსილი არიან შექმნან მეცნიერების განვითარებისა და მეცნიერებთა მხარდაჭერი კერძო სამართლის არასამეწარმეო (არა-კომერციული) იურიდიული პირები.

კანონში წარმოდგენილი ეს ზომები წარმოადგენენ მთლიანი საინოვაციო სურათის ცალკეულ ფრაგმენტებს. ამჟამად, თვით ეს ფრაგმენტებიც კი ძალიან სუსტად, ან საერთოდ არ ხორციელდება. ამასთან ერთად ცხადია, რომ მხოლოდ კერძო საკუთრების დაცვის კანონმდებლობას და მის მკაცრ შესრულებას, შეუძლია ინგესტორების მოზიდვა საქართველოში, მიღებული კვლევითი პროდუქციის კომერციალიზაციის საქმეში ინვესტიციების ჩასადებად.

კანონის 5<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად საქართველოს სახელმწიფო უწყებები პასუხისმგებელნი არიან მეცნიერების და ტექნოლოგიების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაზე, მაგრამ დღემდე კვლევისა და საინოვაციო საქმიანობის რეგულირების საკითხში ჩართულია მხოლოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ამავდროულად, ამ საქმიანობაზე პასუხისმგებელი უნდა იყვნენ სხვა სამინისტროებიც, უპირველეს ყოვლისა - ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

1999 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "პატენტების და სავაჭრო ნიშნების შესახებ", ხოლო იმავე წელს - კანონი "საქონლის აღგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ", რომელთაც შექმნეს საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საქმიანობის სამართლებრივი დაცვის საფუძველი. ინტელექტუალური საკუთრების დაცვას უკავია საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი ადგილი. ცალკეულ კანონებს შორის ზოგიერთი შეუსაბამობის მიუხედავად, შექმნილია ხელშემწყობი

საქანონმდებლო ბაზა საქართველოს სამეცნიერო ინოვაციური საქმიანობის წარმატებით განვითარებისთვის.

გარდა საქანონმდებლო ბაზისისა, საქართველოს მთავრობის 2008 -2012 წ.წ. პროგრამაში - "ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე" - გამოჩნდა მეტად საყურადღებო მიმართულებები, რომლებიც აუცილებლად მოითხოვენ ინოვაციურობის სიტემაზე დაფუძნებული ხედვის და სტრატეგიის ჩამოყალიბებას.

საქართველოს მთავრობა თავის ხუთწლიან გეგმაში ამბიციურ ამოცანას, საქართველოს საერთაშორისო საფინანსო ცენტრად გადაქცევას ისახავს. ამ მიმართულებით გადაიდგა პირველი ნაბიჯი და საქართველოს პარლამენტმა უკვე მიიღო საქართველოს მთავრობის მიერ შემოტანილი კანონების პაკეტი "საქართველოს კანონი საფინანსო სექტორის გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ". იგი ორიეტირებულია ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის, საქართველოს საერთაშორისო საფინანსო ცენტრად გადაქცევის, საგადასახადო რეფორმების ახალი ფისკალური პარადიგმის და ეფექტური ფინანსური ზედამხედველობის განვითარებისკენ. თითეული მიმართულება თავის თავში მოიცავს ინოვაციების სისტემის განვითარების აუცილებლობას და ყველა ერთად დაკავშირებულია არამარტო ფინანსური, არამედ გლობალური კონკურენტუნარიანობის პრობლემასთან, სადაც ინოვაციურობა და მისი გაზომვა ერთ-ერთია იმ თორმეტი ინდექსიდან, რომელითაც დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე სამი წელია საქართველოს პარამეტრები, მსოფლიოს სხვა 131 ქვეყანასთან ერთად, იზომება. საგულისხმოა, რომ ამ ინდექსის მიხედვით 2006-2007 წ.წ.-ში საქართველო 83-ე ადგილზე იყო, ხოლო 2007-2008 წ.წ. მონაცემებით მან 90-ე ადგილზე გადაინაცვლა, ცალკე ადებული ინოვაციურობის ინდექსით 110-ე ადგილზეა. საინტერესო მონაცემებს მოიცავს ამ მიმართულებით მსოფლიო ბანკის ცოდნის შეფასების მეთოდოლოგიის (KAM) ინდექსი\*, რის მიხედვითაც საქართველოს პოზიციები არც თუ ისე სახარბიელოდ გამოიყურება:

\* (KAM) Knowledge Assessment Methodology—შემუშავებულია მსოფლიო ბანკის მიერ

**ცხრილი 14. ცოდნის შეფასების მეთოდოლოგიის  
ინდექსების შედარებითი ანალიზი**

ქვეყანა	ცოდნის ეპონომიკის ინდექსი		გეონომიკური სტიმულები და ინსტიტუციონალური რეჟიმი		ინდგაცია		განათლება		საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	
	ახალი	1995	ახალი	1995	ახალი	1995	ახალი	1995	ახალი	1995
გერმანია	8.54	8.75	8.38	8.41	8.93	9.08	8.08	8.74	8.79	8.75
ესტონეთი	8.07	7.76	8.07	8.2	7.42	6.59	8.29	8.07	8.49	8.18
სომხეთი	5.36	4.61	5.71	2.25	6.06	5.63	6.03	5.98	3.64	4.58
საქართველო	4.4	4.5	2.46	1.25	5.27	5.38	6.4	7.17	3.45	4.19
აზერბაიჯანი	3.56	3.46	3.03	0.89	2.65	4.84	5.04	5.75	3.53	2.36

წყარო: KAM Index by the World Bank, 2006

საქართველო ცოდნის ეკონომიკის ინდექსით, ეკონომიკური სტიმულირებით და ინსტიტუციონალური რეჟიმით, ინოვაციურობით და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების მხრივ, ჩამორჩება არა თუ ევროპავშირის წევრ, არამედ თავის უახლოეს მეზობელ ქვეყნებსაც. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ცოდნის ეკონომიკაზე დაფუძნებული ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობის გრძელვადიანი განვითარების კლასტერული, ინოვაციური სტრატეგია შექმნილია და მუშაობს ჩვენს უშუალო მეზობლებთან სომხეთში, რუსეთში და ყაზახეთში, სტრატეგიის შექმნის პროცესი არიან უკრაინელები და თურქები.

მეორე მხრივ, იგივე მსოფლიო ბანკის ანგარიშის თანახმად "ბიზნესის წარმოება 2007 წელს", საქართველო არის "მსოფლიოში პირველი ეკონომიკური რეფორმატორი", ვინაიდან ბიზნესის წარმოების სიმარტივის თვალსაზრისით მან ერთ წელიწადში გააუმჯობესა თავისი მაჩვენებელი და გადაინაცვლა 112-ე ადგილიდან 37-ე ადგილზე (175 შესწავლილ ქვეყანას შორის). უცხოური პირდაპირი ინვესტიცია, ქვეყნის ბიზნესის კლიმატის ლიბერალიზაციისა და გადასახადების და საბაჟო პოლიტიკის გაუმჯობესების შედეგად, გაორმაგდა. 2006 -2007 წწ ლარის ინფლაცია 10%-ის მიდამოებში მერყეობდა, თუმცა ინფლაციის მაღალი დონე დაბალანსდა ინვესტიციების მაღალი დონით (2006 წლის მშვ 30%) და ქვეყანამ შეინარჩუნა სრული ნდობა საერთაშორისო ბაზარზე.

მ ფონზე საქართველოში მაღალია უმუშევრობის დონე, ოფიციალური სტატისტიკით - 12,6% (2006) და ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, საკმაოდ დაბალია ნომინალური მშპ ერთ სულ მოსახლეზე, რომელიც თუმცა 2005 წელს 36%-ით გაიზარდა 2003 წლის მაჩვენებელთან შედარებით, მაგრამ კვლავაც ვერ უძლებს კრიტიკას (1415,6 აშშ დოლარი).

საქართველოს მთავრობის 2008-2012 წლების პროგრამის კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ინიციატივა, რომელიც პირდაპირ კავშირშია საქართველოში ინოვაციური სისტემის, ცოდნის ეკონომიკის და ცოდნის კომერციალიზაციის დამკვიდრებასთან, არის პროგრამა - "თბილისი ცოდნის ქალაქი". პროგრამა ჯერ კიდევ ხედვის სახით არის ჩამოყალიბებული და არ მიუღია გაწერილი სტრატეგიის ფორმა, ამდენად მისი ჩამოყალიბება სტრატეგიულ დოკუმენტია და შემდეგ იმპლემენტაცია საკმაოდ მნიშვნელოვანი ეტაპი შეიძლება აღმოჩნდეს ინოვაციურობის დასავლური ხედვის ჩამოსაყალიბებლად ქართულ საუნივერსიტეტო, სახელმწიფო და ბიზნეს აზროვნებაში.

2007 წელს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტის "რეკომენდაციები საქართველოს მეცნიერების პოლიტიკის შემუშავებისათვის" ანგარიშში, ესტონელი ექსპერტების მიერ მეტად საგულისხმო მომენტებია გათვალისწინებული, საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების დონის ინოვაციური სახელმწიფო პოლიტიკის შესამუშავებლად და დასამკვიდრებლად. რეკომენდაციების მთავარ მიზანს შეადგენდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მხარდამჭერი მეცნიერებისა და ინოვაციების პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობა. მთლიანად ანგარიში და განსაკუთრებით მე-3 თავში, მრეწველობა - უნივერსიტეტი - კვლევითი დაწესებულებების პარტნიორობის სტიმულირება, შემუშავებულია მთელი რიგი რეკომენდაციები, რომლებიც მნიშვნელოვანი საფუძველი უნდა გახდეს საქართველოში ინოვაციების და ცოდნის გადაცემის პოლიტიკის სტრატეგიული განვითარების, მეცნიერების და კვლევის შედეგების კომერციალიზაციისა და ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკის განვითარებისა და შემდგომი სრულყოფისათვის.

ზემოთ აღწერილი ბიზნესის - აკადემიური - საჯარო სექტორის ურთიერთქმედების მოდელი, მსოფლიოში ცნობილია ეწ. The Triple Helix Model (სამმაგი სპირალის) მოდელის სახით, რომლის მიხედვით საწყის ეტაპზე სოციუმი, მოქალაქეები, ბაზარი და მომსარებლები, წარმოქმნიან

მრავალსპირალიანი ჩარჩო სისტემის ცოდნის წყაროს (მულტიპლი-ჰელიქსი). ინფორმაციის მართვა და ბენჩმარკინგი, წინასწარ განკვრეტის მეთოდებით, ხელს უწყობენ საინფორმაციო სამმაგი ქსელის შექმნას, რომელიც წარმოქმნის ცოდნის პროცესის სამსპირალიან მოდელს.

“სამშაგი სპირალის მოდელის” ბაზაზე, ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის ამაღლების მიზნით, საქართველოში ხელისუფლებამ, კერძო სექტორმა და უნივერსიტეტებმა ხელი უნდა შეუწყონ ცოდნის კომერციალიზაციის იდეის განხორციელებას და მრეწველობის დარგების კლასტერების ქსელის განვითარებას.

გაეროს მიერ ორგანიზებული ათასწლეულის დეკლარაციის განვითარების მხარდასაჭერად საქართველოს მთავრობამ, მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ერთად, 2005 წლის 2 მარტს ხელი მოაწერა ეწ. პარიზის დეკლარაციას, რომელიც მიმართულია ათასწლეულის განვითარების მიზნების დაჩქარებული მიღწევისათვის ეკონომიკური განვითარების შედეგების მართვისკენ და სიღარიბისა და უთანასწორობის შემცირების წინააღმდეგ მიმართული ზემოქმედების გაძლიერებისაკენ.

ამ დეკლარაციის მთავარი გზავნილი პარტნიორი ქვეყნების მიმართ არის ის, რომ პარტნიორი ქვეყნები ვალდებულებას იღებენ შექმნას განვითარების ეროვნული სტრატეგია, რომელთაც უქნებათ წლიურ ბიუჯეტებში ასახული, საშუალოვადიან დანახარჯებთან დაკავშირებული ზუსტი სტრატეგიული პრიორიტეტები. დეკლარაციის მოთხოვნების შეუსრულებლობა საქართველოს 2010 წლისთვის იმ ქვეყანათა რიგში მოაქცევს, რომლებიც დონორი ორგანიზაციების დახმარების გარეთ, განვითარებად ქვეყანათა უკანასკნელ ეშელონში მოექცევა.

სხვა პროგრამებიდან აღნიშვნის ღირსია 2002 წელს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით შექმნილი ორგანიზაციის "საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრის" (CERMA) საქმიანობა. ახალ ზელანდიელი ექსპერტების დახმარებით დასავლეთ საქართველოში სოფლის მეურნეობის მრეწველობის დარგში, კერძოდ თხილის და ჩაის სამრეწველო ბიზნესის განვითარების მიზნით, შეიქმნა ამ დარგების ეკონომიკური განვითარების კლასტერული სტრატეგიის კონცეპტუალური დოკუმენტი. სამწუხაროდ, გაურკვეველი მიზეზების გამო, ამ პრეცენდენტს საქართველოში არ მოყოლია სტრატეგიის აქტიური შემუშავება და მისი იმპლემენტირება.

2004 წელს აშშ საქართველოს განვითარების სამინისტროს ეგიდით მომზადდა "საქართველოს კონკურენტუნარიანობის ინიციატივა - მოხსენება საწყისი პირობების და შეზღუდვების კლასტერულ შეფასებაზე" მრეწველობის დარგების კლასტერების პრიორიტეტული განვითარების შესახებ, სადაც ყველაზე პოტენციურ კლასტერად საქართველოში ტურიზმი იქნა მიჩნეული. 2008 წლის გაზაფხულზე ამერიკელი ექსპერტების მიერ მზადდება საქართველოს ტურიზმის განვითარების სტრატეგია, სადაც წამყვანი ადგილი ეთმობა ტურიზმის განვითარების კლასტერულ სტრატეგიულ ხედვას.

#### 5.4. საქართველო-ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა

პირველად მოსაზრება ევროკავშირის წევრ და მეზობელ ქვეყნებს შორის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად 2003 წლის მარტში გამოითქვა. ამ დოკუმენტში შემუშავდა ევროკავშირის პროგრამა ურთიერთობების გაფართოების შესახებ. ის გამოყოფდა პრიორიტეტებს, რომელიც მოიცავდა საერთო შეთანხმებებს, შემუშავებულიყო ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის ურთიერთობის ჩამოყალიბების პოლიტიკა.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ევროკავშირის 2007-2013 წლის ლისაბონის სტრატეგიის შედეგია, რომელიც ხაზს უსვამს ისეთ ძირითად საკითხებს, როგორიცაა მეცნიერული კვლევა, ინოვაციების ხელშემწყობი და ბიზნესის განვითარების პოლიტიკა. ეს ფაქტორები მნიშვნელოვანია არა მარტო იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც მუდმივად ანახლებენ ტექნოლოგიას, არამედ იმ ქვეყნებისთვისაც, რომლებიც თავისუფალ საბაზო ეკონომიკისაზე გადადიან. მათ უნდა შეიმუშაონ ისეთი პოლიტიკა, რომელიც წაახალისებს და სტიმულს მისცემს განათლების დონის ამაღლებას, მეცნიერული კვლევების გაძლიერებას, ინოვაციების დანერგვასა და განვითარებას, პროდუქტის და მისი წარმოების გაუმჯობესებას. ის ინვესტიციები, რომლებიც გამოყოფილია ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მნიშვნელოვანია კვლევებისა და განვითარებისთვის, მაღალკალიფიციური კვლევითი ინსტიტუტების შექმნისა და გაძლიერებისთვის, ურთიერთოთანამშრომლობის ჩამოყალიბებისათვის

ინსტიტუტებისა და კერძო ინდუსტრიულ სექტორს შორის და სახელმწიფოს მხრიდან ინოვაციების ხელშეწყობისთვის.

ლისაბონის სტრატეგიის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შრომის პროდუქტიულობის ზრდის 40%-ზე მეტი კვლევისა და განვითარების ხარჯებიდან მოდის. არსებობს ძლიერი თანმხლები ეფექტები ეკონომიკის სხვა სფეროებში, რომლებიც დამოკიდებული არიან იმაზე, თუ რა მიმართულებით იხარჯება ფული. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული მის შესაძლებლობაზე, შექმნას და გააძლიეროს მაღალი ღირებულების მქონე, ინოვაციური და კვლევაზე დაფუძნებული სექტორები.

ამ მოთხოვნების შესასრულებლად სტრატეგია, ახალი პოლიტიკის სახით, ჩამოყალიბდა 2006 წლის მაისში. ის ძირითადად მოიცავს საკითხებს, თუ როგორ უნდა მოხდეს ევროკავშირსა და მის მეზობელ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება, რასაც შედეგად მათი შემოსავლებისა და მოგების ზრდა მოყვება. ამჟამად ევროკავშირი აწარმოებს საქართველოსა და ევროპას შორის ორმხრივი ურთიერთობის შეფასებას, რომელიც ასახავს არსებული პარტნიორობისა და ურთიერთობაზრდობის შეთანხმების პროგრესს და აღწერს ამჟამინდებულ სიტუაციას სხვადასხვა სფეროებში ისეთი ეკონომიკური და სოციალური რეფორმების ჩათვლით, რომლებიც შექმნიან ახალ შესაძლებლობებს განვითარებისა და კონკურენტუარიანობისათვის.

ევროპის პარტნიორი, ევროკავშირის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის დამფინანსებელი ინსტრუმენტი, (ENPI), რომელმაც ფუნქციონირება დაიწყო 2006 წლის 14 ნოემბერს, გადამწყვეტ როლს თამაშობს საქართველოში ახალი ინოვაციის პოლიტიკის განვითარებაში. ENPI-ს პრიორიტეტი გამოხატავს ინოვაციური სისტემის როლს ქვეყნის განვითარებაში. სხვა პრიორიტეტებს შორის იგი მიზნად ისახავს საქართველოში სტაბილური კვლევითი და ინოვაციური პოლიტიკის განვითარებას, რაც ქმნას დაქმარება მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევასა და შენარჩუნებაში. გარდა ამისა, ENPI-ს რამდენიმე სხვა პრიორიტეტიც არაპირდაპირ კავშირშია ეროვნული ინოვაციური სისტემისა და სტრატეგიის განვითარებასთან. კერძოდ, ისინი მიზნად ისახავენ ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, რეფორმის სტრატეგიის სისტემატიურ გადახედვასა და გაუმჯობესებას, განათლებისა და მეცნიერების

მენეჯმენტის სისტემის რეფორმას, და სტატისტიკურ მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესებას.

ამ პრიორიტეტების გარდა, თავი რეგიონული თანამშრომლობის შესახებ შეიცავს ქვეთავს საქართველოს პოტენციალის განვითარების შესახებ ტექნოლოგიური კვლევისა და ინოვაციის სფეროში, რომელიც დაეხმარება ქვეყანას ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში და შემდეგ თემებს მოიცავს:

- ტექნოლოგიური კვლევისა და ინოვაციის გაუმჯობესებისათვის საჭირო პიროვნული, მატერიალური და ინსტიტუციონალური რესურსების გაძლიერების ზომები;
- სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებითა ინტეგრაცია, შედეგზე ორიენტირებული კვლევითი და ინოვაციური პროექტების ხელშეწყობა;
- საქართველოს მომზადება ევროპის სამეცნიერო-კვლევით სისტემასა და ევროკავშირის სამეცნიერო-კვლევით და ინოვაციურ პროგრამებში ინტეგრაციისათვის, სპეციფიურ სფეროებში სამეცნიერო მიღწევების გათვალისწინებით.

საქართველოში ევროპის სამეცნიერო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი არის ქვეყნისათვის ბალტიის, შავი ზღვის და კასპიის რეგიონებში მრავალგანზომილებიან თანამშრომლობასა და ინტეგრაციის პროცესში მონაწილეობის გამარტივება და ამ სფეროში ექსპლუზიური, რეგიონისათვის დამახასიათებელი სტრატეგიის შემუშავება.

წარსულიდან მომავლისაკენ საქართველომ უნდა განვლოს განვითარებისა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების სტრატეგიის განხორციელების გზა. საქართველოს ძლიერი სტრატეგიული მიზანი სჭირდება - ცვლილებისა და ინოვაციის სტრატეგია - რათა შეძლოს მსოფლიო კონკურენტულობის დონემდე მიღწევა. საქართველოს სტრატეგიული განვითარების ფართო მრავალკომპონენტიანი გეგმა მიზანმიმართული უნდა იყოს ქვეყნის, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სტანდარტების ამაღლებისაკენ ევრო-ატლანტიკური ქვეყნებისა და ევროკავშირის ნორმების შესაბამისად. ქვემოთ ჩამოთვლილი ეტაპები გადამწყვეტია პრობლემის გადაწყვეტისა და საქართველოს სტრატეგიული განვითარების ზემოთ მოყვანილი გეგმის განხორციელებისათვის:

- ქვეყნის ყველა სასწრაფო პრობლემის აღმოფხვრისაკენ მიმართული ცოდნის ეკონომიკისა და ინოვაციის სისტემების განვითარება, ინტეგრაცია და განხორციელება;
- კლასტერების სტრატეგიის გრძელვადიანი პროგრამის შემუშავება და სპეციფიკურ სფეროებში ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განმტკიცებისათვის საჭირო ტერიტორიული, ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაციის მიღწევა.

ეგროკაგშირმა შეიმუშავა მოდელი, თუ როგორ უნდა შემუშავდეს და დაინერგოს ინოვაციები საგანმანათლებლო სისტემასა და მეცნიერულ კვლევებში. თუ საქართველოს სურს გაზარდოს თავის შესაძლებლობები ინოვაციებსა და კონკურენტუნარიანობის სფეროში, მაშინ მან უნდა გააძლიეროს განათლების სისტემა და მისი სასიცოცხლო ციკლი. საქართველოს უნივერსიტეტები საჭიროებენ ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ინსტურმენტების გააძლიერებას, ამასვე მოითხოვს საგანმანათლებლო ინსტიტუტები, და სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის არსებული ურთიერთობები.

## 5.5 საქართველოს კონკურენტულობის SWOT ანალიზი:

სადისერტაციო ნაშრომში ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა იმის განსაზღვრა, თუ რამდენად ახდენს გლობალიზაცია ზეგავლენას საქართველოზე და მის შესაძლებლობაზე, ჩამოყალიბოს კონკურენტულობის სტრატეგია. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებლად მიგვაჩნია SWOT ანალიზის გაპეთება, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ არსებული შიდა ძლიერი და სუსტი მხარეები, აგრეთვე შესაძლებლობები და საფრთხეები, და გავაკეთოთ რაციონალური დასკვნები საქართველოს კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის შემუშავებისთვის გრძელვადიან პერიოდში.

PEST ანალიზისა (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური ფაქტორები) და პორტერის ალმასის მოდელებზე დაყრდნობით დადგინდა ის ფაქტორები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ეროვნული და რეგიონული საინოვაციო სისტემების ჩამოყალიბებას და ქვეყნის კონკურენტულობის გაზრდას გლობალურ სივრცეში:

- წინაპირობები - უნივერსიტეტებში განათლებისა და პლევის ინფრასტრუქტურა; საჭირო უნარების მქონე სამუშაო ძალისა და დასაქმების შექმნის პოტენციალის ხელმისაწვდომობა. საჭიროა პასუხი გაიცეს კითხვაზე, მოიპოვება თუ არა ქვეყანაში წარმოების ფუნქციონირებისათვის საჭირო უნარების მქონე სამუშაო ძალა? ვინაიდან ინტელექტუალური საკუთრება, კრეატიულობა და ტექნიკური შესაძლებლობები ინოვაციური სისტემის საკვანძო ძალებს წარმოადგენენ.
- მოთხოვნის პირობები - დახვეწილი და მომთხოვნი მომხმარებელი როგორც შიდა ისე გარე ბაზარზე;
- ურთიერთდაკავშირებული და მხარდამჭერი საწარმოები - ქმედითუნარიანი ადგილობრივი მიმწოდებლებისა და ურთიერთდაკავშირებული კომპანიების არსებობა. მაღალგანვითარებულ ქსელის შეუძლია სერიოზულად გაზარდოს ეკონომიკური აქტივობა, დანერგოს ინოვაცია და შესაძლებელი გახადოს სტრატეგიული ალიანსების ჩამოყალიბება.

- ზრდის პოტენციალი - რამდენად ექნება კლასტერს მომავალი ზრდის პოტენციალი, რომელიც საჭიროა საქართველოს პროდუქტიულ საწარმოებში ინვესტიციების მოსაზიდად.
- ინსტიტუციონალური ინფრასტრუქტურა - სახელმწიფოს მარეგულირებელი ნორმების სიძლიერე, ისევე როგორც საჯარო-კერძო ურთიერთობები კომპანიათა შორის, დაწესებულებები და მთავრობა რეგიონსა და მის გარეთ. ეს მოიცავს საკანონმდებლო ნორმებს და ამ სახის აქტივობისა და მომსახურების ხარისხის მხარდაჭერ პოლიტიკას, რომლითაც საჯარო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ბაზარს. აქ შეიძლება შევიდეს ანტიმონოპოლიური კანონი, მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც ითვალისწინებენ ბაზარზე შესვლის პირობებს, ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობები, კლასტერების განვითარების მხარდაჭერის სურვილი და ა.შ.
- ტექნიკური ინფრასტრუქტურა - ბიზნესის კეთებისათვის საჭირო სივრცის ხელმისაწვდომობა, ტრანსპორტი, ინტერნეტი, ტელე და საკომუნიკაციო შესაძლებლობები, ელექტრომომარაგება და საბაზისო ურბანული ინფრასტრუქტურის არსებობა.
- ისტორიული ფონი და სხვა სპეციფიკური ფაქტორები - ეთნიკური, კულტურული და ისტორიული ფაქტორების ფართო სპექტრი, ასევე მყარი გამოცდილება, უპირატესობად შეიძლება იყოს მიჩნეული.

არჩევანის გაცეთების შემდეგ, ყოველი ფაქტორი შეფასდა იმის საფუძველზე, შეუძლიათ თუ არა მათ კონკურენტული პოტენციალის შექმნა და ისტორიულად რამდენად მნიშვნელოვანი არიან ქართული ეკონომიკისათვის. კლასტერების სხვადასხვა ელემენტების შეფასება და მათი შესაბამისი მოქმედება მნიშვნელოვანი ნაბიჯია იმის დადგენაში, თუ რა ძლიერი ან სუსტი წერტილები შეიძლება ჰქონდეთ ამ კლასტერებს და სად შეიძლება გახდეს საჭირო შემდგომი ჩარევა. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია SWOT (შიდა ფაქტორები-ძლიერი და სუტი მხარეები, გარე ფაქტორები-შესაძლებლობები და საფრთხეები) ანალიზის შეჯამებული შედეგები:

## ცხრილი 15. საქართველოს კუნძულების SWOT ანალიზი

	შიდა ფაქტორები	ქულა 0-7
	<b>ძლიერი მხარეები</b>	
1	ქვეყნის პროდასავლური კურსი	7
2	ევრო-ატლანტიკური სტრუქტურების მხარდაჭერა	6
3	დემოკრატიული მართველობა და დია საბაზრო ეკონომიკა	6
4	მდიდარი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა	6
5	ბუნებრივი რესურსები	5
6	სტაბილური საბანკო სისტემა	5
7	მდგრადი ეროვნული ვალუტა	5
8	მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა	5
9	მოწესრიგებული საკანონმდებლო ბაზა	4
10	სატრანზიტო პოტენციალი*	4
11	კლასტერული განვითარების პოტენციალი	4
12	განათლებისა და მეცნიერების განვითარების პოტენციალი	4
	<b>სისუსტეები</b>	
1	ეთნიკური კონფლიქტები	7
2	სუსტი ეკონომიკური პოლიტიკა	7
3	სუსტი საინოვაციო პოლიტიკა	7
4	არაეფექტური საგადრო პოლიტიკა	7
5	კონკურენტული კადრების დეფიციტი	7
6	თანამედროვე მენეჯერული უნარ-ჩვეულების ნაკლებობა	7
7	სუსტი კოპეჩიურობა კვლევით ინსტიტუტებსა და ბიზნეს სექტორს	7
8	განათლებისა მეცნიერების დაფინანსების დაბალი დონე	7
9	არაეფექტური საპრივატიზაციო პოლიტიკა	6
10	უცხოურ ინვესტიციებზე დამოკიდებულება	6
11	სუსტი გადამამუშავებელი მრეწველობა	6
12	ექსპორტის მცირე მოცულობა	6
13	მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის დაბალი დონე	6
14	მეცნიერების კვლევების დაბალი დონე	6
15	მთავრობის კომპეტენტურობის სარისხი	6
16	სუსტი ინსტიტუციონალური სისტემა	6
17	სუსტი ურბანული პოლიტიკა	6
18	მოუწესრიგებელი რეგიონული ინფრასტრუქტურა	6
19	მყიფე შიდა პოლიტიკური კლიმატი	6
20	სუსტი ეროვნული ბიზნესი	6
21	სიღარაკე და სოციალური სტრატიფიკაციის მაღალი სარისხი	6
22	ემიგრაციის მაღალი დონე და Brain Drain-ი	6
23	არაეფექტური საგადასახო პოლიტიკა	5
24	სამეწარმეო უნარების ნაკლებობა	5
25	მარკეტინგული და პრომოციურული უნარების ნაკლებობა	5
27	სარისხის მართვის სისტემის დაბალი დონე	5
28	ინტერნეტის მოხმარების დაბალი დონე	5

\* როგორც შიდა ფაქტორი, სატრანზიტო პოტენციალი წარმოადგენს ძალას ტარიფების მიღების თვალსაზრისით, მაგრამ როგორც გარე ფაქტორი, ტრანზიტი საფრთხის მატარებელიც არის იარაღის უკანონო ვაჭრობის, ტრანზიტის, უკანონო დაინდურების, შიდსის ვირუსისა და სხვა დაავადებების გავრცელების თვალსაზრისით

	<b>გარე ფაქტორები</b>	<b>ქულა 0-7</b>
	<b>შესაძლებლობები</b>	
1	ევროატლანტიკური სტრუქტურების გაწევრიანება	7
2	ევროპავშირის სამეზობლო ინიციატივებში ჩართვა	7
3	ბაზრის ზრდის პოტენციალი	7
4	საერთაშორისო დონორების კეთილგანწყობა	5
5	ტექნოლოგიის ტრანსფერის გაუმჯობესება	5
	განათლების სისტემის ბოლონიის პროცესთან მიერთება	4
	<b>საფრთხეები</b>	
1	შეივე გეოპოლიტიკური კლიმატი და ეთნიკური კონფლიქტები	7
2	გლობალური კონკურენციის მაღალი ტემპი	7
3	ემიგრაციის ტემპის ზრდა და Brain Drain-ი	7
4	სუსტი კოპეზიურობა კვლევით ინსტიტუტებსა და ბიზნეს სექტორს	7
5	განათლებისა მეცნიერების დაფინანსების დაბალი დონე	7
6	უცხოურ ინვესტიციებზე დამოკიდებულება	6
7	იმპორტზე დამოკიდებულება	6
8	შიდა პოლიტიკური კრიზისის საფრთხე	5
9	კონსალტინგისა და სატრენინგო კურსების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა	5
10	გენერული კაპიტალის ნაკლებობა	5

როგორც SWOT ანალიზი გვიჩვენებს, საქართველოს კონკურენტულობის დაბალი დონის ძირითადი გამომწვევი მიზეზებია სახელმწიფო სტრუქტურებში პროფესიონალიზმისა და კომპეტენციის ნაკლებობა, არარეფერენტური მართვა და საკადრო მენეჯმენტი, რომლებიც აგალდებულებენ ხელისუფლებას შეიმუშავოს ქმედითი დონისძიებები წარმატებული რეფორმების გასატარებლად.

ანალიზის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- მედიის დაფარვის ზონა და PR-დონისძიებები ძალიან შეზღუდული და დანაწევრებულია და სშირ შემთხვევაში ისინი არ მოიცავენ ფართო აუდიტორიებს;
- შეზღუდულია კომუნიკაცია და სუსტია კოპეზიურობა მთავრობას, ბიზნეს სექტორსა და უნივერსიტეტებს შორის;
- დაბალია ექსპერტული ცოდნისა და უნარების დონე, და შესაბამისად ”სამმაგი სპირალის” ყველა სექტორში კვლევისა და განვითარების მნიშვნელობა სუსტად აღიქმება;
- მაღალია ინტერესი კონკურენტულობის, ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და ეროვნული ინოვაციური სისტემის საკითხების

მიმართ და სავარაუდოდ კიდევ უფრო გაიზრდება, რაც ქმნის მოთხოვნას ინფორმაციაზე;

- საფრთხის წყაროებად მიჩნეული საკითხები კავშირშია ეთნიკურ კონფლიქტებთან, პოლიტიკურ არასტაბილურობასთან, სიდატაკესთან, ქვეყნის ეკონომიკის დაბალ მაჩვენებლებთან, ფინანსურ არასტაბილურობასა და არაადეკვატურ ინვესტირებასთან კვლევასა და განვითარებაში;
- სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ემიგრაციისა და ინტელექტუალური რესურსის ქვეყნიდან გადინების მაღალი დონე;
- განვითარების პროცესში მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს აგრეთვე რეგიონების არათანაბარი ჩართულობა და სოციალური უთანასწორობა.

დონისძიებების სიძლიერის რეიტინგის განსაზღვრისას ყველაზე მეტი მნიშვნელობა ენიჭება სოციალური პარტნიორობის ზრდის აუცილებლობას საქართველოში ეროვნული საინოვაციო სისტემის განხორციელების მიზნით, რისთვისაც საჭიროა ძალისხმევის ფოკუსირება პროცესებში მთავრობის, უნივერსიტეტების, ბიზნეს სექტორისა და მედიის ჩართვის მიზნით.

ამავე დროს აუცილებელია ადმინისტრაციული და საკანონმდებლო დაბრკოლებების მოხსნა კვლევისა და განვითარების პოლიტიკის გაუმჯობესების, კონკურენტუნარიანობის და ინოვაციურობის პროცესის მიზნობრივი გაძლიერების, სოციალური კოპეზიურობის განვითარების ხელშეწყობითა და შესაბამისი უნარის ნაკლებობის შემცირების გზით.

საქართველოს ამჟამინდელი პოზიციები ევროპის სამოქმედო გეგმასთან მიმართებაში არც თუ ისე მიმზიდველია, თუმცა არსებული სიტუაცია ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ქვეყნის უუნარო და კორუფციული მმართველობის პირდაპირი შედეგია. ტრანსფორმაცია საჭიროებს ეფექტურ მენეჯმენტს ცვლილებების განხორციელების, რთული ამოცანების გადალახვის და რესურსების ეფექტიანად გამოყენების მიზნით.

საქართველოში ინოვაციური სისტემების განვითარების პერსპექტივების შეფასებისას, საქართველოს მთავრობისათვის სასარგებლო იქნებოდა განვითარების შესაძლო სცენარების მოდელირება, რომლებიც საფუძველს დაუდებს სტრატეგიის მონახვის და სტრატეგიული მიმართულებების განმტკიცებისათვის საჭირო ხელვების ჩამოყალიბებას.

როგორც ეროვნულ, ისე რეგიონალურ დონეებზე შესაბამისი სტრატეგიების შესაქმნელად კარგი იქნებოდა პოზიტიური და ნეგატიური განვითარების სცენარების შექმნა. ეს ორი სცენარი უნდა პასუხობდეს შემდეგ კითხვებს:

- როგორი იქნება ეროვნულ და რეგიონალურ დონეებზე ეკონომიკური განვითარება 2012 წლისათვის და მისი ძირითადი მახასიათებლები?
- როგორი იქნება მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარება 2012 წლისათვის და მისი ძირითადი მახასიათებლები?
- როგორი იქნება საქართველოს კვლევისა და განვითარების სექტორის ზრდის დონე 2012 წლისათვის და მისი ძირითადი მახასიათებლები?
- როგორი იქნება ურთიერთობები კვლევისა და განვითარების სექტორს, წარმოებასა და ბიზნესს და მათ ხელშემწყობ დაწესებულებებს შორის 2012 წლისათვის?

საქართველოს გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ არსებითი სტრუქტურული რეფორმების განხორციელებით, რომელიც შექმნის ეროვნული და რეგიონული საინოვაციო სისტემების განხორციელების პირობებს. თავის მხრივ, რეფორმის მომზადების მთავარ მიმართულებად უნდა იქცეს საქართველოში ეროვნული და რეგიონული ინოვაციური სისტემების განხორციელების სტრატეგიის ფორმულირება.

სტრატეგია წარმატებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ მას ექნება ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა. ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსის მიღწევა შეთავაზებული სტრატეგიის თაობაზე მნიშვნელოვანია იმისთვისაც, რომ ის გათვალისწინებულ იქნას მთავრობის მომავალ სამოქმედო პროგრამაში.

სტრატეგიის ეფექტური განხორციელება მოითხოვს შესაბამის თანხებს, მათ შორის სახელმწიფო და კერძო დაფინანსებასა და საერთაშორისო დონორების მხარდაჭერას. მნიშვნელოვანია, რომ რესურსების ინვესტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონკურენტუნარიანობისა და მთლიანად ეკონომიკის ზრდის მიზნით. 2008-2012 წლების პერიოდში საქართველოს მთავრობის მიერ ინოვაციის პოლიტიკის შემუშავება და მის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური ინსტრუმენტები საქართველოს ეკონომიკის გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის მოსაპოვებლად საჭირო მთავარი კომპონენტი უნდა გახდეს.

ჩვენს მიერ გაკეთებული ანალიზი აჩვენებს, რომ ყველა მონაწილე მხარე - საჯარო ხელისუფლებამ, უნივერსიტეტებმა და ბიზნესმა თავიანთ თავზე უნდა აიღოს პიროვნული კაპიტალში ინვესტიცების დონისა და ეფექტურობის ამაღლების პასუხისმგებლობის წილი.

ამ პროცესში მხოლოდ მთავრობის, სამეცნიერო წრისა და ბიზნეს სექტორის მიერ გამოჩენილი კეთილი ნება ან ინიციატივა არ არის საკმარისი, თუ სრულად არ იქნა გამოყენებული თითოეული აქტორის, და პირველ რიგში სახელმწიფოს ხელთ არსებული პოტენციალი.

საბაზრო ეკონომიკის ზრდაში სახელმწიფოს თავისი წვლილის შეტანა შეუძლია ისეთი პირობების შექმნით, რომლებიც გააძლიერებენ ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას. ეს მოსაზრება შეიძლება განხილულ იქნას როგორც საქართველოს კონკურენტულობის გაუმჯობესების ერთ-ერთი კომპონენტი, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს სტრატეგიული პრიორიტეტების საფუძვლის ფორმირებას.

ამ მიმართულებით განსახორციელებელ დონისმიერათა შორის საქართველოს მთავრობას ვთავაზობთ შემდეგ რეკომენდაციებს:

- ინოვაციის პროცესის გაგების გამოკვეთა, საქართველოში ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ინოვაციის ხელშეწყობის მიზნით საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა და გამოყენება;
- კვლევისა და ინოვაციის პოლიტიკის შემუშავება, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება საქართველოს მდგრად და სამართლებრივ ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის მიზნებთან;
- ინოვაციისა და კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობის მიზნით სამთავრობო პროგრამის მომზადება;
- საინოვაციო პოლიტიკისა და საქართველოს კონკურენტუნარიანობის შესახებ კანონმდებლობის მიღება, მის მიღებამდე კი მონახაზის გაკეთება და დისკუსია. კანონმდებლობამ ხელი უნდა შეუწყოს ინოვაციის ინფრასტრუქტურის განვითარებას და ეროვნული საინოვაციო სისტემის განხორციელებას;
- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის გაუმჯობესება ინოვაციური პროდუქციისა და მომსახურების შეძენის ხელშეწყობისა და კორუფციის შემცირების მიზნით;

- კვლევის აქტივობების ხელშეწყობაში უნივერსიტეტების როლის გაზრდის მიზნით განათლების შესახებ კანონის გაუმჯობესების გზით საგანმანათლებლო რეფორმის გაგრძელება;
- საქართველოს აღჭურვა მაღალი განათლების მქონე, კრეატიული და მოქნილი პიროვნული რესურსით, ისე, რომ საკმაო რაოდენობის ახალგაზრდები ამთავრებდნენ უმაღლეს სასწავლებლებს შესაბამისი უნარით დინამიურ, მაღალი ლირებულებისა და სასურველი ნიშის მქონე სექტორებში სამსახურის მოპოვების შესაძლებლობით;
- ქართველი მეცნიერებისა და სტუდენტების მონაწილეობის გაზრდა საერთაშორისო და გაცვლით პროგრამებში;
- მკვლევართა ინტერესის მიპყრობა უნივერსიტეტებისკენ, დაფინანსების პრობლემის სასწრაფო მოგვარების გზით;
- ინტელექტუალური პოტენციალის გადინების პროცესის შეჩერების მიზნით მაღალკვალიფიციური კადრების მოტივაციების გაზრდის რეალისტური პოლიტიკის წარმოება;
- შესაძლებლობის - სწავლა სიცოცხლის მანძილზე - ხელშეწყობა და განათლების, მეცნიერებისა და ტრენინგების სფეროში რეფორმის გაგრძელება პიროვნული რესურსებისა და კაპიტალის მყარი განვითარების ხელშეწყობის მიზნით;
- საჯარო მოსამსახურეთა განათლების სპეციალური პროგრამების განვითარება (პირველ რიგში სამოქალაქო ინტეგრაციის მიზნით);
- მეცნიერების მართვის სისტემის რეფორმა შესაბამისი მარეგულირებელი სტრუქტურის, საფინანსო მოდელის, სამეცნიერო ოსტატობაზე დაფუძნებული მმართველობის, შესაძლებლობების შექმნის და საერთო ინიციატივების გზით;
- კლასტერების განვითარების დახერგვა და ზრდის ხელშეწყობა განხორციელებისათვის მყარი საფუძვლის მქონე სტრატეგიის განსაზღვრის გზით, რომელიც საჭიროა კლასტერების კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად მათი განვითარების და ზრდის დასაჩქარებლად;

- ადმინისტრაციული სტრუქტურისა და პროცედურების გაძლიერება სტრატეგიული დაგეგმვისა და შესაბამის აქტორებს შორის კოორდინაციის განმტკიცების მიზნით;
- ხარისხის მართვის ცენტრების ჩამოყალიბება ცოდნის გაზიარებისა და კომერციალიზაციის დაჩქარების მიზნით, საერთო გამოყენების მქონე მოწყობილობების ქსელისა და წარმოების სრულყოფის კავშირის ჩათვლით;
- საქართველოში ინოვატორთა და საუკეთესო გამომგონებელთა მოძიება და "მომავალი თაობის ნოვატორთა" გამოვლენა;
- საქართველოს სამრეწველო შესაძლებლობების გაძლიერება და სამეწარმეო ეკონომიკის ამოქმედება.

დასახული მიზნების მისაღწევად საჭიროა აღმასრულებელი ხელისუფლების ეგიდით ცალკე სტრუქტურის (სავარაუდო საჯარო სამართლის პირის) ჩამოყალიბება, რომელსაც ეყოლება ექსპერტთა საბჭო.

საქმიანობა გათვლილ უქნდა იყოს შუალედურ პერიოდზე - სავარაუდოდ 2008-12 წელზე და შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს საქართველოში მოქმედ საერთაშორისო პროგრამებთან და პირველ რიგში - ევროპის სამეზობლო პოლიტიკასთან.

საქმიანობის პირველ ეტაპევე გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს:

- სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება - მიზნობრივ ჯგუფებთან პარტნიორული ნაბიჯების განსაზღვრა.
- მეფინგი - არსებული ინფორმაციის თავმოყრა და სისტემატიზირება.
- ანალიზი - პირველადი და მეორადი წყაროების კვლევა საინოვაციო სისტემის ხედვების, განვითარების ეტაპების დაგეგმვისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით.
- სტრატეგიულ დოკუმენტზე მუშაობა - პარტნიორთა განსაზღვრა (მობილიზაცია - დიაგნოსტიკა - თანამშრომლობა).
- რეკომენდაციებისა და ხედვების შემუშავება - ეკონომიკის საკვანძო სექტორებში (კლასტერებში) ინოვაციურობის სისტემის დამკვიდრებისათვის აუცილებელი ქმედებების განმსაზღვრელი დოკუმენტის შექმნა.

- საპილოტო პროგრამების განხორციელება - ძირითად მონაწილეების (სახელმწიფო, ბიზნესის სექტორი და აკადემიური სისტემა) ინფორმირება და ურთიერთშეთანხმება. თანამშრომლობის შემდგომი მიმართულებების განსაზღვრა.
- შეფასება უნდა განხორციელდეს ბენჩმარკინგის პრინციპით. ყოველი ციკლის შეფასება მომდევნო ციკლის სამოქმედო გეგმად უნდა ტრანსფორმირდეს.
- ცალკე უნდა შემუშავდეს ინფორმაციის გავრცელების სისტემა პერსპექტივაში ყველა მიზნობრივი ჯგუფების ჩართვის მიზნით.
- ცალკეული პროექტების განხორციელების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საზოგადოების ნდობისა და სოციალური კაპიტალის ზრდა.

ჩვენი აზრით, საქართველოს მთავრობას ესაჭიროება დასავლური გამოცდილების გაზიარება სტრატეგიული მართვისა და დემოკრატიული პრინციპების განხორციელების საკითხებში. ამ ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება ხელს შეუწყობს ორგორც ინსტიტუციონალური სისტემის ქმედითუნარიანობის გაუმჯობესებას, ისე ქვეყნის სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრასა და მმართველი სტრუქტურების ანგარიშვალდებულების გაზრდას საზოგადოების წინაშე.

იმის აღიარება, რომ მმართველობის გაუმჯობესება უმთავრეს საშუალებას წარმოადგენს ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის, ქმნის საფუძველს საერთაშორისო დონორების მხრიდან დახმარების თანმიმდევრული პროგრამების შესაქმნელად. ასეთმა პროგრამებმა უნდა უზრუნველყოს, რომ სამთავრობო სტრუქტურები, კანონები და დებულებები კომპეტენტურობის, გამჭვირვალეობისა და ანგარიშვალდებულების პირობებში უჭერდნენ მხარს თავისუფალ ბაზარსა და დემოკრატიულ პრინციპებს.

## დასკვნა

დისერტაციაში დასმული ამოცანების გადაჭრამ საშუალება მოგვცა  
მიგვეღწია კვლევის მიზნისათვის და პასუხი გაგვეცა მთავარი კითხვისათვის,  
თუ რა წარმოადგენს ერი-სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის  
განმაზღვრელ ფაქტორებს გლობალიზაციის ეპოქაში და როგორია მათი  
ზემოქმედების ხარისხი. კვლევის შედეგად სახეზეა მეცნიერული სიახლეები,  
რომლებსაც ჩვენი აზრით, აქვთ როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული  
დირექტულება. კვლევის ობიექტის ფართო ინტერდისციპლინარულ კონტექსტში  
გაანალიზებამ შესაძლებელი გახადა ახალი ხედვის ჩამოყალიბება  
ტრანსნაციონალიზაციის, ტრანსნაციონალური კომპანიების, ეროვნული და  
რეგიონული საინოვაციო სისტემების, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების,  
მთლიანი ეროვნული პროდუქტის საკითხების თეორიულ გააზრებაში.  
დადგინდა, რომ გლობალიზაციის ერთერთი მთავარი წარმმართველი და  
მამოძრავებელი მალა, ეროვნული ბიზნესის ტრანსნაციონალიზაცია  
წარმოადგენს ერი-სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის უმთავრეს  
მახასიათებელს, რომელიც ექსპანსიონური გლობალურ გარემოში და ხელს  
უწყობს მთლიანი ეროვნული შემოსავლის ზრდას. ამ მეცნიერული სიახლის  
საფუძველზე ჩვენ ვიძლევთ რეკომენდაციას, რომ გლობალური  
კონკურენტუნარიანობის ინდექსში მოცემული შეფასების ინდიკატორები  
მოიცავდეს მთლიან ეროვნულ პროდუქტს, როგორც სახელმწიფოს  
კონკურენტუნარიანობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს.

საზო უნდა გაესვას კვლევაში დანერგილ მეთოდოლოგიურ ინვაციას  
სტრატეგიული მართვის ანალიტიკური მოდელების სახით, რამაც საშუალება  
მოგვცა ფართო სპექტრში გაგვანალიზებინა კვლევის ობიექტი, მიგვეღწია  
კვლევის მიზნისათვის და დაგვესაბუთებინა ჩვენს მიერ დასმული პიპოთეზა.  
კერძოდ, პორტფერის ალმასის მოდელისა და სამმაგი სპირალის მოდელის  
გამოყენების შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კონკურენტუნარიანობის  
ამაღლებას ხელს უწყობს ცოდნის ეპონომიკისა და საინოვაციო პოლიტიკის  
პრინციპებზე ორიენტირებული სინერგიული ურთიერთქმედება მთავრობას,  
კერძო სექტორსა და უნივერსიტეტებს შორის, რაც თავის მხრივ იძლევა  
ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს  
ეროვნული პროდუქტიულობის მაღალ ხარისხს.

გლობალიზაციის ეპოქაში, ყველა ერს აქვს კონკურენტულობის განვითარების თეორიული შესაძლებლობა, რომელიც დამოკიდებულია როგორც გარე, ისე შიდა ფაქტორებზე. გარე ფაქტორები მოიცავს რეგიონული და გლობალური მმართველი ინსტიტუტების პოლიტიკას, გლობალური პოლიტიკურ-ეკონომიკური კლიმატის ასინქრონულობისა და ასიმეტრიულობის ხარისხს, ბრეტონ ვუდსის ინსტიტუტების პოლიტიკას, ტრანსნაციონალური კომპანიების ზემოქმედების ხარისხს, შიდა ფაქტორები კი ეროვნული ბიზნესის ტრანსნაციონალიზაციის დონეს, მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდას, მაღალტექნოლოგიური, დამატებითი ღირებულების შემცველი პროდუქციის წარმოებას, ცოდნის ეკონომიკისა და მერიტოკრატიულ ფასეულობებზე ორიენტაციის ხარისხს, ეროვნული და რეგიონული საინვაციო კლიმატის არსებობას, ეროვნულ კულტურულ მენტალიტეტს და სოციალური კაპიტალის განვითარების დონეს. ამიტომაც, კონკურენტული უპირატესობის მოპოვების თვალსაზრისით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად იქმნება ქვეყანაში ცოდნის კომერციალიზაციისა და ინოვაციური ტექნოლოგიებისათვის აუცილებელი გარემო, ვითარდება ეროვნული წარმოება და ბიზნესი, რომელიც ექსპანსიონური გლობალურ სივრცეში და ზრდის მთლიან ეროვნულ შემოსავალს.

ვინაიდან გლობალიზაციის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ეკონომიკა, რომლის დროსაც ერთ ცალკეულ სახელმწიფოს არ შესწევს ტრანსნაციონალური კაპიტალის, მულტიეროვნული ბიზნესის, განსაკუთრებით ფინანსებისა და საბანკო სისტემების რეგულირების უნარი, კონკურენტუნარიანობის ხარისხი დამოკიდებულია არა მხოლოდ გარე ძალების ზეგავლენაზე, არამედ თვით სახელმწიფოთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიძლიერეზე.

გლობალიზაციის, ნეოლიბერალიზმის, ეროვნული კონკურენტული უპირატესობის თეორიის, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების, მსოფლიო სისტემის, საინვაციო სისტემების თეორიების კრიტიკული ანალიზის შედეგად შეგვიძლია დაგასკვნათ, რომ გლობალიზაცია წარმოადგენს კაპიტალიზმის განვითარების უმაღლეს სტადიას, რომლის დროსაც ტრანსნაციონალური კაპიტალი და ბაზრები სხვადასხვაგვარ ზეგავლენას ახდენენ ძლიერი და სუსტი ქვეყნების კონკურენტუნარიანობაზე. თანამედროვე ეტაპზე *Laissez-faire*-ის პოლიტიკა არარელევანტურია და ჩვენი პროგნოზირებით იგი უნდა ჩაანაცვლოს

ინსტიტუციონალური რეგულირების პოლიტიკამ, როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში, ვინაიდან გლობალიზაციის გამოწვევები და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისები განვითარებულ ქვეყნებსაც უქმნიან პრობლემებს ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების თვალსაზრისით.

განვითარებადი ქვეყნების ეროვნული მთავრობები, ექცევიან რა ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და საბანკო სტრუქტურების ზეგავლენის ქვეშ, ამ უკანასკნელთ სთავაზობენ თავისუფალ სატარიფო სივრცეს, რაც ამცირებს შემოსავლებს ბიუჯეტში და სერიოზულ დარტყმას აყენებს სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკას. ამ ფონზე, კერძო ბიზნესისათვის საკანონმდებლო კლიმატის უზრუნველყოფა ნებისმიერი სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, რაც ეკონომიკური აუცილებლობით არის ნაკარნახევი. ქვეყნის სიმდიდრეს ქმნის არა გადასახადები, არამედ წარმოება და ბიზნესი. მოწესრიგებული საგადასახადო სისტემა ხელს უწყობს მხოლოდ ბიუჯეტის შევსებას იმპორტიდან მიღებული შემოსავლებით, კონკურენტუნარიანობის სტრატეგია კი დამოკიდებულია ექსპორტის მოცულობისა და ვაჭრობის გაფართოებაზე;

ქვეყნის შიგნით კონკურენტუნარიანი პროდუქტის წარმოება განსაზღვრავს ექსპორტის ხვედრით წილს, რომელიც უნდა აღემატებოდეს იმპორტის მოცულობას. ამიტომ რაც მეტ დამატებითი დირებულების შემცველ პროდუქტს აწარმოებს ქვეყანა და გააქვს საერთაშორისო ბაზარზე, მით უფრო მდგრადია მისი ეკონომიკური პოტენციალი.

გლობალისტურ შეხედულებათა კრიტიკული ანალიზის შედეგად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ტრანსნაციონალური კომპანია გამოხატავს კონკრეტული ქვეყნის ბიზნეს ინტერესს გლობალურ სივრცეში, ამიტომ შემოსავალი და მის საკუთრებაში არსებული ქონება (ისევე, როგორც თავად ეს კომპანია) წარმოადგენს იმ ქვეყნის მთლიანი ეროვნული სიმდიდრის შემადგენელ ნაწილს, სადაც ეს კომპანია არის დაფუძნებული. ტრანსნაციონალური კომპანია წარმოადგენს კონკრეტული ქვეყნის ბიზნესს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიულ სივრცეში. შედეგად ხდება ადგილობრივი, სუსტი ბიზნესის შთანთქმა უფრო ძლიერი, გლობალურის მიერ, რაც ნიშნავს ძლიერი სახელმწიფოს უფრო მეტად გამდიდრებას და სუსტის უფრო მეტად გადარიბებას.

გლობალიზაცია წარმოადგენს კაპიტალიზმის განვითარების უმაღლეს სტადიას, რომლის დროსაც ტრანსნაციონალური კაპიტალი და ბაზრები სერიოზულ ზეგავლენას ახდენენ ეროვნულ პოლიტიკაზე. ამ ფონზე, კერძო ბიზნესისათვის პროტექციონისტური პოლიტიკის განხორციელება და საკანონმდებლო კლიმატის უზრუნველყოფა ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, რაც ეკონომიკური აუცილებლობით არის ნაკარნახევი. სახელმწიფო კი არ ადგენს თამაშის წესებს, ის თავისთავად ხდება ამ თამაშის მონაწილე.

ქვეყნის სიმდიდრეს ქმნის არა გადასახადები, არამედ წარმოება და ბიზნესი. მოწესრიგებული საგადასახადო სისტემა ხელს უწყობს მხოლოდ ბიუჯეტის შევსებას იმპორტიდან მიღებული შემოსავლებით, კონკურენტუნარიანობის სტრატეგია კი დამოკიდებულია ექსპორტის მოცულობის გაფართოებაზე.

დემოკრატიის პოზიციები თანამედროვე გლობალური მმართველობის ყველა სფეროში არამდგრადია, ვინაიდან მაღალია ასინქრონულობისა და ასიმეტრიულის დონე. დღევანდელ გლობალიზებულ მსოფლიოში, პოლიტიკური პროცესები ძირითათად ელიტების კონკურენციის ფონზე მიმდინარეობს, და მათ სუსტი შეხება აქვთ წარმომადგენლობით დემოკრატიასთან. აქედან გამომდინარე, აუცილებელია გლობალური ინსტიტუტების მხრიდან აქამდე არსებული პარადიგმების გადახედვა და ახალი სტრატეგიების დასახვა.

დასარულს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაშრომში წამოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინება ხელისუფლების მიერ სასარგებლო იქნებოდა ქართული სახელმწიფოებრივი სტრატეგიის შემუშავებასა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში. საქართველოს კონკურენტუნარიანობის სტრატეგია გლობალიზაციის პროცესში ჩვენი აზრით, დამოკიდებულია შემდეგ ლონისძიებებზე, რომლებსაც რეკომენდაციების სახით ვთავაზობთ:

- მეცნიერებისა და განათლების პრიორიტეტიზაცია და მერიტორატიული პრინციპების დამკვიდრება;
- სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების განსაზღვრა იმ პოლიტიკური პროცესების შესაბამისად, რომლებიც მნიშვნელოვანია ცოდნის ეკონომიკისა და სოციალური კაპიტალის შესაქმნელად;

- უმთავრესი საზოგადოებრივი დირექტულებები უნდა აისახებოდეს რეალურ პოლიტიკურ ქმედებებში, მათ განხორციელებასა და პოლიტიკურ მექანიზმებში;
- მმართველი ელიტა პასუხისმგებელი უნდა იყოს დასახული მიზნებისა და მათ შესაბამისად გატარებული კოორდინირებული პოლიტიკის შეთავსებადობაზე;
- უნდა განხორციელდეს ეფექტური საკადრო პოლიტიკა მაღალი ზნეობის, პროფესიონალიზმისა და კომპეტენციის მქონე ადამიანებისათვის უპირატესობის მინიჭების შესაბამისად;
- ხელისუფლებამ უარი უნდა თქვას ულტრა ნეოლიბერალური ე.წ. „შოკური თერაპიის“ პოლიტიკაზე და შეიძლება რეგულირების პრინციპებზე აგებული ინსტიტუციონალური პოლიტიკის სტრატეგია;\*
- ბუნებრივი რესურსები და ნედლეული მასალები რაციონალურად უნდა იქნას გამოყენებული; უნდა დაწესდეს მორატორიუმი მათ ექსპორტზე ან უცხოურ ინვესტორისთვის გადაცემაზე და გამოყენებულ იქნას ისინი ეროვნულ გადამამუშავებელ მრეწველობაში;
- ჩამოყალიბდეს შედაგათიანი საგადასახადო სისტემა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისათვის;
- მოხდეს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა სოციალურად დაუცველი ფენებისათვის რისკების შემცირების მიზნით;
- შემუშავდეს სტრატეგიები ეროვნული გადამამუშავებელი მრეწველობის აღორძინებისათვის და ექსპორტის მოცულობის გაზრდისათვის;
- დაწესდეს მაღალი აქციზები განსაზღვრული სახის იმპორტზე ეროვნული წარმოებისა და ბიზნესის პრიორიტეტიზაციის მიზნით;
- ხელი შეეწყოს ქართული ბიზნეს-სექტორის გაძლიერებას და გლობალურ სიგრცეში მის ტრანსნაციონალიზაციას;

\* ჯოზეფ შტიგლიცი დიდი ხნის მანძილზე იკვლევდა გარდამავალი საბაზრო ექონომიკის პოლიტიკას პისტაბჭოთა სიფრცეში. იგი მხარს უჭერს თანმიმდევრულ გარდაქმნებს და რეფორმებს და წინამდებარებული ეწ. ბალცეროვიჩისეული „შოკური თერაპიის“, რომელმაც მართალია გაამართლა პოლონეთში, მაგრამ ძალიან ცუდი შედეგები გამოიწვია რუსეთსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.

- პოლიტიკური გადაწყვეტილებების სოციალური შედეგები გადაიქცეს რეფორმების დროს არსებული კონკურენტული პრიორიტეტების შეფასების კრიტერიუმად.

ამ მოთხოვნების ფონზე საქართველოს მთავრობას ესაჭიროება დასავლური გამოცდილების უფრო ფართოდ გაზიარება სიდარიბის დაძლევის, ექსპორტის მოცულობის ზრდისა და ეკონომიკური მრავალფეროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ცოდნისა და ინფორმაციის ეპოქაში, ინდივიდუალურ თუ სახელმწიფოებრივ დონეზე კონკურენცია მოითხოვს განათლებისა და მეცნიერებლი პალეოების მაღალ სტანდარტებზე თრიენტირებას, რაც თანამედროვე ქართულ რეალობაში სერიოზულ დეფიციტს წარმოადგენს. სახელმწიფოს ესაჭიროება ახალი სტრატეგიების შემუშავება ინსტიტუციონალურ სტრუქტურებში მაღალი დონის პროფესიონალების დასაქმებისათვის.

ამრიგად, გლობალიზაცია განსხვავებულ ეფექტს ახდენს თითოეულ სახელმწიფოსა და საზოგადოებაზე და იმისათვის რომ ალდო აუდოს მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებს, გარდამავალ ეტაპზე მყოფ საქართველოს, გლობალურ გარემოში კონკურენტუნარიანობისათვის ესაჭიროება მაღალ ცოდნასა და პროფესიონალიზმზე თრიენტირებულ მსოფლიო თანამეგობრობაში ინტეგრირება. ამისათვის მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ განახორციელოს სწორი რეფორმები ეფექტური კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის დასახვისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის.

## ბიბლიოგრაფია

- 1 Abramovitz, M.A. (1979), ‘Rapid Growth Potential and its Realisation: The Experience of Capitalist Economies in the Postwar Period’, in E. Malivaund (ed.), *Economic Growth and Resources: The Major Issues*, vol. 1, London: Macmillan.
- 2 Abramovitz, M. (1986). Catching up, forging ahead, and falling behind. *The Journal of Economic History* 46 (2), 385–406.
- 3 Albrow, M. (1996), *The Global Age: State and Society beyond Modernity* (Cambridge: Polity).
- 4 Archibugi, D. and Pietrobelli, C. (2002), ‘The Globalisation of Technology and its Implications for Developing Countries: Windows of Opportunity or Further Burden?’ mimeo, University of Rome III.
- 5 Banks, James A., *Educating Global Citizens in a Diverse World*, February, 2003.  
<http://www.newhorizons.org/strategies/multicultural/banks2.htm>
- 6 Beck, U. (1999), *What is Globalization?* (Cambridge: Polity Press).
- 7 Bell, D., *The End of Ideology: On the Exhaustion of Political Ideas in the Fifties, with "The Resumption of History in the New Century"*, 1962
- 8 Bleifuss, J., *Dictatorship or Democracy*, In These Times magazine, May 27, 2002
- 9 Bordo, M.D., Eichengreen, B., Irwin, D.A. (1999), *Is Globalization Today Really Different Than Globalization A Hundred Years Ago?* (Cambridge, Mass.: National Bureau of Economic Research; Working Paper 7195).
- 10 Boyer, R., Drache, D., eds. (1996), *States against Markets: The Limits of Globalisation* (London: Routledge).
- 11 Braczyk H.-J., Cooke Ph., Heidenreich M. (eds.), *Regional Innovation Systems*, UCL Press, London 1998.
- 12 Brzezinski, Zbigniew., *The Grand Chessboard: American Primacy and Its Geostrategic Imperatives*, HarperCollins Canada, 1998
- 13 Cable, V., (1995), The Diminished Nation-State: A Study in the Loss of Economic Power, *Daedalus*, 124(2), pp. 23-54.
- 14 Cairncross, F. (1997), *The Death of Distance: How the Communications Revolution Will Change Our Lives* (London: Orion).
- 15 Camilleri, J.A., Falk, J. (1992), *End of Sovereignty? The Politics of a Shrinking and Fragmenting World* (Aldershot).

- 16 Cantwell, J. and Iammarino, S. (2002), *Multinational Enterprises and Regional Systems of Innovation in Europe*, London: Routledge.
- 17 Cerny, P. (1990), *The Changing Architecture of Politics: Structure, Agency and the Future of the State* (London: Sage).
- 18 Cerny, P. (1995), Globalization and the Changing Logic of Collective Action, *International Organization*, 49(4), pp. 595-625.
- 19 Clark, I. (1999), *Globalization and International Relations Theory* (Oxford: Oxford University Press).
- 20 Dahlman, C. J. and R. Nelson (1995). Social absorption capacity, national innovation systems and economic development. In B. H. Koo and D. H. Perkins (Eds.), *Social Capability and Long-Term Economic Growth*, Chapter 5, pp. 82–122. MacMillan Press Ltd.
- 21 Downey, Joseph - Georgia Competitiveness Initiative - Cluster Assessment Baseline And Constraint Report, USAID, 2004.
- 22 დავით მელიძე, ხ. ნაციონალური და გლობალური ფონდი “დია საზოგადოება—საქართველო”. “მეცნიერება”. ობილისი. 2003
- 23 Edquist Ch., *Systems of Innovation Approaches*, 1997.
- 24 Evenson, R.E. and Westphal, L. (1995), ‘Technological Change and Technological Strategy’, in J. Behrman and T.N. Srinivasan (eds), *Handbook of Development Economics*, vol. 3, Amsterdam: Elsevier Science.
- 25 Freeman, C. (1987), *Technology Policy and Economic Performance: Lessons from Japan*, London: Pinter.
- 26 Falk, R. (1999), *Predatory Globalization: A Critique* (Cambridge: Polity).
- 27 Featherstone, M., ed. (1990), *Global Culture: Nationalism, Globalisation and Modernity* (London: Sage).
- 28 Friedman, L. Thomas., *The Lexus and the Olive Tree: Understanding Globalization*, Farrar Straus Giroux, New York, 1999
- 29 Fukuyama, F. (1995). *Trust: The social virtues and the creation of prosperity*. New York, The Free Press
- 30 Garrett, G. (1998), Global Markets and National Politics: Collision Course or Virtuous Circle?, *International Organization*, 52(4), pp. 787-824.
- 31 Georgia: Public Expenditure Review, November 2002
- 32 Georgia Poverty Update, January 2002

- 33 Gibbons M., Limoges C., Novotny H., Schwartzman S., Scott P., Trow M., New Production of Knowledge, The Dynamics of Science and Research in Contemporary Societies, SAGE Publications, London 1994.
- 34 Grossman, G. and Helpman, E. (1991), *Innovation and Growth in the Global Economy*, Cambridge, MA: The MIT Press.
- 35 Giddens, A. (1990), *Runaway World: How Globalization is Reshaping Our Lives*, Cambridge, Polity
- 36 Giddens, A., Lash, S. (1994), *Reflexive Modernisation: Politics, Tradition and Aesthetics in the Modern Social Order*, (Cambridge: Polity).
- 37 Guehenno, J.M. (1995), *The End of the Nation-State* (Minneapolis: Minnesota University Press).
- 38 Held, D., *Political Theory Today*. Stanford University Press. 1991
- 39 Held, D., McGrew, A. (2000), The Great Globalization Debate: An Introduction, In D. Held and A. McGrew, eds., *The Global Transformations Reader: An Introduction to the Globalization Debate* (Cambridge: Polity), pp. 1-45.
- 40 Held, D., McGrew, A., Goldblatt, D., Perraton, J. (1999), *Global Transformations: Politics, Economics and Culture* (Cambridge: Polity).
- 41 Hirst, P., Thompson, G. (1996/1999), *Globalization in Question: The International Economy and the Possibilities of Governance*, 2nd edn. (Cambridge: Polity).
- 42 Hirst, P., *Globalization and the Nation State*, SEF-Symposium 2002
- 43 Holm, H.H., Sorensen, G., eds., (1995), *Whose World Order? Uneven Globalization and the End of the Cold War* (Boulder, Co.: Westview).
- 44 Hurrell, A., Woods, N., eds. (1999), *Inequality, Globalization and World Politics* (Oxford: Oxford University Press).
- 45 Ivaniashvili, G. (2007), *Analyzing EU-Georgia Neighbourhood Policy Action Plan: Modern Benchmarking Approaches to Knowledge Management and Innovations in Georgia*. Norwegian Institute of International Affairs.
- 46 Ivaniashvili, G. (2006), *Implications of Globalization on European Integration: Black Sea Region in the Context of Future Eastern Enlargement*. Insight Turkey
- 47 ივანიაშვილი, გ. გლობალიზაცია, მდგრადობა და საქართველოს ტრანზისი პოტენციალი. პირველი საერთაშორისო აბრეჭუმის გზის სიმპოზიუმი. 2003

- 48 ივანიაშვილი, გ. გლობალიზაცია და ეკოტექნიკური კორპუსი  
კონფერენცია საქართველოში. ქურნ. ”პოლიტიკა”, 2002
- 49 Ivaniashvili, G. *Globalization, Sustainability and Transit Potential of Georgia*.  
International Black Sea University. 1<sup>st</sup> International Silk Road Sympozium. 2003.  
<http://www.ibsu.edu.ge/common/confr/first/paper%2018.djvu>
- 50 Ivaniashvili, G. *States and Societies Towards the Challenges of Globalization*. Midle  
East Technical University. 2002
- 51 Kagan, R., *Of Paradise and Power: America and Europe in the New World Order*,  
Alfred A. Knopf, 2003
- 52 Kennedy, P., *The Rise and Fall of the Great Powers: Economic Change and Military  
Conflict From 1500 to 2000*, Harper Collins Publishers, 1987
- 53 Keohane, R.O., Nye, J.S. (2000), Globalization: What's New? What's Not? (And So  
What?), *Foreign Policy*, 118 (Spring), pp. 104-119.
- 54 Krieg, Joann P. ed. *Dwight D. Eisenhower, Soldier, President, Statesman* (1987)
- 55 ჯვინიკაძე, გიორგი. გეოგრონომიკა (მსოფლიო განვითარების  
ცენტრალური კექტორი). 2008
- 56 Landabaso M., Mouton B. and Miedzinski M., “Regional Innovation Strategies : a tool  
to improve social capital and institutional efficiency ? Lessons from the European  
Regional Development Fund innovative actions”, 2003 (conference paper).
- 57 Lipschutz, R. (1992), Reconstructing World Politics: The Emergence of Global Civil  
Society, *Millennium: Journal of International Studies*, 21(3), pp. 389-420.
- 58 Leydesdorff & Etzkowitz 1996; "Emergence of a Triple Helix of Univeristy-Industry-  
Government Relations", Science and Public Policy.
- 59 Lopes C. and Theisohn T., “Ownership, Leadership and Transformation. Can we do  
better for capacity development?”, United Nations Development Programme 2003  
(executive summary available on-line), <http://www.undp.org/capacity>.
- 60 Lundvall, B-A. (1988), ‘Innovation as an Interactive Process: From User-Producer  
Interaction to the National Systems of Innovation’, in G. Dosi et al. (eds), *Technical  
Change and Economic Theory*, London: Pinter.
- 61 Lundvall, B-A. (ed.) (1992), *National Systems of Innovation: Towards a Theory of  
Innovation and Interactive Learning*, London: Pinter.
- 62 Lyons, G.M., Mastanduno, M., eds. (1995), *Beyond Westphalia? State Sovereignty and  
International Intervention* (Baltimore: John Hopkins University Press).

- 63 Mann, M. (1997), Has Globalization Ended the Rise and Fall of the Nation-State?, *Review of International Political Economy*, 4(3), pp. 472-496.
- 64 Mani, S. (1999), ‘Public Innovation Policies and Developing Countries in a Phase of Economic Liberalisation’, DP, no. 9902, Maastricht, The Netherlands: UNU-INTECH.
- 65 McKelvey, M. (1991), ‘How do National Systems of Innovation Differ? A Critical Analysis of Porter, Freeman, Lundvall and Nelson’, in G.M. Hodgson and E. Scopelliti (eds), *Rethinking Economics: Markets Technology and Economic Evolution*, Aldershot: Edward Elgar.
- 66 Maureen McKelvey (eds), *Systems of Innovation: Growth, Competitiveness and Employment*, vol. 1, Cheltenham: Edward Elgar.
- 67 Mittelman, J.H. (2000), *The Globalization Syndrome: Transformation and Resistance* (Princeton: Princeton University Press).
- 68 Mittelman J.H. (1996), “The Dynamics of Globalization” in Mittelman J.H. (ed.), Globalization: Critical Reflections, Lynne Rienner Publishers.
- 69 Mittelman, J.H., ed. (1996), *Globalization: Critical Reflections* (Boulder, Colo.: Lynne Rienner).
- 70 Morgenthau, Hans. *Politics Among Nations. The Struggle for Power and Peace*, N. Y., 4th Ed.
- 71 Mowery, D. and Rosenberg, N. (1993), ‘The US National Innovation System’, in R.R. Nelson (ed.), *National Systems of Innovation: A Comparative Study*, Oxford: Oxford University Press.
- 72 Nelson Richard R., (eds), *Technology, Learning, and Innovation: Experience of Newly Industrializing Economies*, Cambridge: Cambridge University Press.
- 73 Nye, Joseph S. *The Paradox of American Power: Why the World's Only Superpower Can't Go It Alone*, Oxford Press, 2003
- 74 Ohmae, K. (1990), *The Borderless World: Power and Strategy in the Interlinked Economy* (London: Collins).
- 75 Ohmae, K. (1995), *The End of the Nation State: The Rise of Regional Economies* (New York: Free Press).
- 76 Panitch L. (1996), “Rethinking the Role of the State” in Mittelman J.H. (ed.), Globalization: Critical Reflections, Lynne Rienner Publishers.
- 77 Patel, P. and Pavitt, K. (2000), ‘National Innovation Systems: Why They are Important, and How They Might be Measured and Compared’, in Charles Edquist.

- 78 Porter, Michael L., *The Competitive Advantage of Nations*. The Free Press, New York, 1990
- 79 Porter, Michael L., *The Competitive Advantage of Nations*. The Free Press, New York, 1990.
- 80 Rieger, E., Leibfried, S. (1998), Welfare State Limits to Globalization, *Politics & Society*, 26(3), pp. 363-390.
- 81 Robertson, R. (1992), *Globalisation: Social Theory and Global Culture* (London: Sage).
- 82 Robertson, R. (1995), Glocalization: Time-Space and Homogeneity-Heterogeneity, In M. Featherstone et al., eds., *Global Modernities* (London: Sage), pp. 25-44.
- 83 Rodrik, D. (1997), *Has Globalization Gone Too Far?* (Washington: Institute of International Economics).
- 84 Romer, P.M. (1986), 'Increasing Returns and Long Run Growth', *Journal of Political Economy*, 94: 5, pp. 1002–37.
- 85 Ruttan, V.W. (2001), *Technology, Growth, and Development: An Induced Innovation Perspective*, New York: Oxford University Press.
- 86 Rothkopf, David. *In Praise of Cultural Imperialism? Foreign Policy*, Number 107, Summer 1997
- 87 Rupert, M. (2000), *Ideologies of Globalization: Contending Visions of a New World Order* (London: Routledge).
- 88 Sassen, S. (1996), *Losing Control? Sovereignty in an Age of Globalization* (New York: Columbia University Press).
- 89 Sassen S., *Globalization and its Discontents* (New York: New Press 1998)
- 90 Shaw, M. (2000), *Theory of the Global State: Globality as Unfinished Revolution* (Cambridge: Cambridge University Press).
- 91 Scholte, J. A., *Globalization: A Critical Introduction* (London: McMillan, 1997).
- 92 Simerly, Roy L. The global economy and the new role of governments. B>Quest 2000, <http://www.westga.edu/~bquest/2000/global.html>
- 93 Siddharthan, N.S. (2004), 'Globalisation: Productivity, Efficiency and Growth – An Overview', *Economic and Political Weekly*, 39: 5 (31 January), pp. 420–22
- 94 Stalker, P. *Workers Without Frontiers: The impact of Globalization on International Migration*. International Labour Organization. Geneva. Lynne.

- 95 Stanley, A. (1999). Opening Remarks presented at the Stanley Foundation's 34<sup>th</sup> United Nations of the Next Decade Conference. Adare Manor, Adare, Country Limerick, Ireland, June 13-18, 1999
- 96 Stiglitz, Joseph e. Joseph E. Stiglitz, *Globalization and Its Discontents*, An excerpt, <http://www.wwnorton.com/catalog/spring03/032439excerpt.htm>
- 97 Stiglitz, Joseph e. Global Playing Field: More Level, but It Still Has Bumps; The New York Times 04-30-2005
- 98 Stiglitz, Joseph E. (1999), 'Knowledge as a Global Public Good', in Inge Kaul, Isabelle Grunberg and Marc A. Stern (eds), *Global Public Goods: International Cooperation in the 21st Century*, New York: Oxford University Press.
- 99 Strange, S. (1996), *The Retreat of the State: The Diffusion of Power in the World Economy* (Cambridge: Cambridge University Press).
- 100 Suh, Joonghae (2000), *Korea's Innovation System: Challenges and New Policy Agenda*, Discussion Paper No. 2000-4, Institute for New Technologies, United Nations University, Maastricht, The Netherlands.
- 101 UNDP (2001), *Making New Technologies Work for Human Development: Human Development Report 2001*, New York: Oxford University Press.
- 102 Védrine, Hubert. *France in an Age of Globalization*, Brookings Institute, 2001
- 103 Virilio, P. *The Art of the Motor* (Minneapolis: University of Minnesota Press, 1995), pp. 133-156
- 104 Wade, Robert (1990), *Governing the Market: Economic Theory and the Role of Government in East Asian Industrialization*, Princeton, NJ: Princeton University Press. World Bank (2006), *World Development Report 1998/99: Knowledge for Development*, Oxford: Oxford University Press and the World Bank.
- 105 Wallerstein, Immanuel M., *Geopolitics and Geoculture: Essays on the Changing World-System*, Cambridge University Press, 1991
- 106 Wallerstein, Immanuel M., *Utopistics*, New York: Academic Press. 1998
- 107 Waters, M. (1995/2001), *Globalization*, 2nd edn. (London: Routledge).
- 108 Waterman P. (1998), Globalization, Social Movements and the New Internationalisms, Mansell Publishing Limited, London and Washington.
- 109 Weiss L. (1997), "Globalization and the Myth of the Powerless State", *New Left Review*, 225.
- 110 Wolf, Martin., Will the Nation-State Survive Globalization? From *Foreign Affairs*, January/February 2001

- 111 World Bank (2003), *World Development Report 2003: Sustainable Development in a Dynamic World – Transforming Institutions, Growth, and Quality of Life*, New York: Oxford University Press.
- 112 World Economic Forum (2007), *The Global Competitiveness Report 2002–2003*, New York: Oxford University Press.
- 113 Xu, B. (2000), ‘Multinational Enterprises, Technology Diffusion and Host Country Productivity Growth’, *Journal of Development Economics*, 62: 2, pp. 477–93.
- 114 Zacher, M.W. (1992), The Decaying Pillars of the Westphalian Temple: Implications for International Order and Governance, In J.fN.